ლელო

№077
(12 147)

3 აპრილი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

ქაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენც გვინდა და კლაუსსაც...

## ვფიქრობთ კონტრაქტის გაგრძელებაზე. მიზანი უცვლელია: მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლა

2

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან





**ასათიანი და ისევ შალკე... არსენალისთ**

სატრანსფერო სპეკულაციები საქართველოს ნაკრების ნახევარმცველზე 5



**მუჯირს რუსეთი დაუკეტეს**

ისევ პოლიტიკა? 5



**ანჩელოტი: მიუნხენში გადაწყდება**

დღეს ლიგა მეოთხედფინალებით განახლდება 6

ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი

## ჩვენი ოცეული დრეზდენში

მას შემდეგ, რაც 2003 წელს **ზურაბ აზმაიფარაშვილი** ევროპის ჩემპიონი გახდა, ამ ტურნირზე აღარ უთამაშია. ზურაბმა მხოლოდ 4 წლის შემდეგ გადაწყვიტა ასპარეზობაში ჩაბმა, რითაც ევროპის პირველობა ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესო იქნება.

ტურნირი დღეს, გერმანიის ქალაქი დრეზდენში იწყება. სულ 43 ქვეყნის 600-მდე მოჭადრაკე შეგროვდა. ქართველთა რაოდენობა შთამბეჭდავია, თუმცა ბევრად მეტიც შეიძლებოდა ყოფილიყო - დრეზდენში 9 ქართველი მამაკაცი და 11 ქალბატონი ითამაშებს.

ქალები: **ნინო ხურციძე, ქეთევან არახამია-გრანტი, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, სოფიო გვეტაძე, სოფიკო ხუხაშვილი, მაია ლომინეიშვილი, სალომე მელია, თამარ წერეთელი, სოფიკო გურამიშვილი, მარიამ დანელია.**

ვაჟები: **ბაადურ ჯობავა, ზურაბ აზმაიფარაშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, გიორგი ყაჭეიშვილი, დავით არუთინიანი, დავით ლობჟანიძე, დავით შენგელია, თორნიკე სანიკიძე, კონსტანტინე შანავა.**

ვაჟთა ტურნირის მონაწილეთა შორის მსოფლიოს რეიტინგ-ათეულის ორი წარმომადგენელია, მეოთხე და მეხუთე ნომრები: **შახრიარ მამედიაროვი** (აზერბაიჯანი, 2754), და **ვასილი ივანჩუკი** (უკრაინა, 2750). სამწუხაროდ, ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე საუკეთესო ათეული ძველი, 1 იანვრის რეიტინგის მიხედვითაა მოცემული.

შემდეგ მოდიან რუსი **დმიტრი იაკოვენკო** (2691), რუმინელი **ლივიუ-დიტერ ნისიპიანუ** (2689), ჰოლანდიელები - **ლუკ ვან ველი** (2683) და **სერგეი ტივიაკოვი** (2682); ესპანელი **ფრანსისკო ვალიეხო** (2679), უკრაინელები - **სერგეი კარიაკინი** (2678) და **პაველ ელიანოვი** (2675). ათეულის ბოლოში რუსი **ვლადიმირ მალახოვია** (2663). ათეულის სიახლოვესაა **ბაადურ ჯობავაც** (2650), თუმცა 1 აპრილს გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში მას უკვე 2658 ქულა აქვს.

ქალებში საუკეთესო რეიტინგი აქვს რუს **ნადეჟდა კოსინცევას** (2496, მსოფლიოს მე-9 მოჭადრაკე 1 იანვრის რეიტინგით). შემდეგ მოდიან **ანტუანეტა სტეფანოვა** (ბულგ, 2483), **მონიკა სოცკო** (პოლ, 2481), **ანა მუზიჩუკი** (სლოვენია, 2475), **ტატიანა კოსინცევა** (რუს, 2474), **ალისა გალიამოვა** (რუს, 2470), **ჰოანგ ტრანგი** (უნგ, 2470), **ელენა დემბო** (საბერძ, 2469), **ვიქტორია ჩმილიტე** (ლიტ, 2466). ათეულის ბოლოში ქართველი **ნანა ძაგნიძეა** (2463, 2435 - ახალ რეიტინგში).

ტიტულს დაიცავს ორივე შარშანდელი ჩემპიონი - **ზდენკო კოჟული** (ხორვატია, 2616) და **ეკატერინა ათალიქი** (თურქეთი, 2374).

ჩემპიონატი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდება. პირველი ტური, დღეს, საქართველოს დროით 17 საათზე დაიწყება. შესვენების დღე 10 აპრილს, მერვე ტურის წინ არის გამოცხადებული. სათამაშო დრო 90 წუთია პირველ ორმოც სვლაზე, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. 40 სვლის შემდეგ მოჭადრაკეებს პარტიის ბოლომდე 15 წუთი ემატებათ.

EURO 2007
CHESS EUROPEAN CHAMPIONSHIP
DRESDEN

ევროპის ჩემპიონატი ბოლო შანსია მსოფლიო ჩემპიონატის საგზურების მოსაპოვებლად. ქართველთა ერთ-ერთი მიზანიც სწორედ იმ ზონაში მოხვედრაა, საგზურს რომ იძლევა, თუმცა ჩვენები არც სოლიდური საპრიზო ფონდის მოხვეჭაზე იტყვიან უარს. სქესთა შორის თანასწორობა დარღვეულია - ვაჟთა ჩემპიონი 20 000 ევროს მიიღებს, ქალთა გამარჯვებულის ჯილდოა 10 000.

გუშინ, სალამოს, ჩემპიონატის გახსნის ცერემონიალი გაიმართა, დღეს დილით კი - პირველი ტურის წილისყრა.

**ზვიად შათირიშვილი**

LIVE

სპორტული საინფორმაციო ცენტრი

272-272

ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული შეხვედრების შესახებ

LIVE

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# ჩვენც გვინდა და კლაუსსაც...

## ვისაც პროგრესის დანახვა არ სურს, მისი პრობლემაა

**ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის სამუშაო დღე გუშინ ჩვეულებრივ დაიწყო. კაბინეტში შესვლამდე, ის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ესაუბრა, "სიონისა" და "ზესტაფონის" პროტესტით დაინტერესდა. მერე კი "ლელოს" კითხვებსაც უპასუხა...**

**- საუბარი ეროვნული ნაკრებითა და გლაზგოური მატჩით დავიწყოთ. პირველ ტაიმში კარგად ვითამაშეთ, მოგების თუ არა, ფრის შანსი ნამდვილად გვქონდა. თუმცა ბოლო წუთებზე გაშვებული გოლის გამო დავმარცხდით. როგორ შეაფასებდით ამ მატჩს?**

- ჩვენმა გუნდმა შოტლანდიასთან კარგად ითამაშა, გოლის გატანა და ანგარიშის გათანაბრება მოახერხა, გულდასაწყვეტია, რომ ფრეს ვერ გავკარით ხელი... შვიდი-რვა ფეხბურთელი გვაკლდა, რომლებიც სასტარტოში თუ არა, 18-კაციან განაცხადში ნამდვილად იქნებოდნენ. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ძნელია ქულის მოპოვება იმ გუნდთან, რომელიც, საფრანგეთისა და უკრაინის ნაკრებებთან ერთად, ჯგუფს ლიდერობს. ფიფას რეიტინგში სხვაობის მიუხედავად, ჩვენმა ნაკრებმა მეტოქეს ტოლი არაფერში დაუდო. შესაბამისად, სრულიად ლოგიკურია დასკვნა, რომ თამაშის ხარისხი უმჯობესდება. შესაძლოა, ეს დღეისთვის ქულებში სათანადოდ არ აისახება, მაგრამ მჯერა, ამის დროც მალე დადგება. ჯგუფის ერთ-ერთ ლიდერ უკრაინასთან სტუმრად ორი ბურთის გატანა მოვახერხეთ და მართალია, ქულა ვერც იქიდან წამოვიღეთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც უნდა აღვნიშნო, რომ ძლიერ გუნდებთან სტუმრად თანაბრად თამაშიც შეგვიძლია. როცა ხედავ, რომ შანსი გაქვს და თამაშს მაინც აგებ, სწორედ ესაა გულდასაწყვეტი. მაგრამ მეორე მხრივ, ეს პრობლემაა და ამასაც უნდა ვუშველოთ. სამწუხაროდ, წამყვანი ფეხბურთელების სათანადო შემცვლელები არ გვყავს. გლაზგოურ მატჩში ხიზანიშვილისთვის საზარდულს რომ არ ემტყუნა, შესაძლებელი იყო, მატჩი 1:1 დაგვესრულებინა... ვფიქრობ, აშკარაა, რომ ჩვენი ნაკრები სხვადასხვა სათამაშო კომპონენტებში ნელ-ნელა ვითარდება, ბრძოლისუნარიან გუნდად ყალიბდება, ახალი ფეხბურთელების გამოცდა და მათი გამოყენებაც არ გაგვიწყდება, თუნდაც ზაალ ელიავას მაგალითი ავიღოთ. კი, შეცდომები მანაც დაუშვა, მაგრამ ფეხბურთელს თუ შანსი არ ექნა, ისე ვერ გაიზრდება. ახალბედებმა სწორედ შეცდომებზე უნდა ისწავლონ... ფეხბურთელებთან ერთად მატჩის ანალიზი უკვე ჩატარდა. მჯერა, რომ ახლო მომავალში, ისეთ თამაშებშიც, როცა ფეხბურთელებს დანის წვერზე მოუწევთ გავლა, წარმატებას მივაღწევთ. ამისთვის დროა კიდევ საჭირო.

**- მატჩს მიხეილ სააკაშვილთან და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდით. საინტერესოა მათი რეაქცია...**

- ცხადია, ყველას ერთნაირად დაგვწყდა გული. თუმცა ხელისუფლებისთვისაც თვალშისაცემია, რომ ჩვენი ნაკრები იზრდება. ვისაც ამის დანახვა არ სურს, ეს მისი პრობლემაა.

**- ახლა ფარერებთან მატჩზე ვთქვათ. თქვენი აზრით, რა იყო მიზეზი ნაკრების ასეთი უფერული თამაშისა?**

- ამ შეხვედრაშიც გვაკლდა წამყვანი ფეხბურთელები. შეიძლება, ზოგი ფიქრობდეს, ფარერებს მათ გარეშეც უნდა მოვუგოთო, ასეთი აზრიც მსმენია და უნდა გითხრათ, რომ აბსურდულად მიმაჩნია. წარმოიდგინეთ, მხოლოდ დაცვაში ხუთი წამყვანი მცველი გვაკლდა, მაშინ, როცა ნაკრები ოთხი მცველით თამაშობს. ფარერებს სტუმრად 6:0 რომ მოვუგეთ, ეს გუნდის სრული მობილიზების შედეგი იყო. ეტყობა, მას მერე პროგრესი ფარერების ნაკრებმაც განიცადა... პირველ ტაიმში ჩვენც კარგად ვითამაშეთ და სრულიად დამსახურებულად ვიგებდით ორი ბურთის სხვაობით. ფეხბურთელები რობოტები არ არიან და რაც არ უნდა მოუნოდო, ქვეცნობიერად, მაინც უჭირთ მაქსიმალურად მობილიზება ფარერებთან 2:0-ის შემდეგ. ამ და სხვა მომენტების თავმოყრამ განაპირობა სწორედ ის უნიათო თამაში, რომელიც არც მე მომეწონა და არც მთავარ მწვრთნელს. ამასთან, მეორე ნახევარში დაგვაკლდა კობიაშვილიც... იცით, რაშია საქმე, იგივე კობიაშვილის, კალაძისა და არველაძის სრულფასოვნად შეცვლა "შალკესაც" უჭირს, "მილანსაც" და "ალკმაარსაც". ამიტომაცაა, რომ კლაუს ტოპმიოლერი ფეხბურთელებს ასაკობრივ ნაკრებებშიც აკვირდება. მაისში, ის შოტლანდიაში გასამართ ელიტრაუნდის მატჩებს დაესწრება და 19-წლამდელებს შეხედავს. და იქნება არა ტრიბუნაზე, როგორც რიგითი ქომაგი, არამედ გუნდის მომზადებაშიც აქტიურად ჩაერთვება. ამას გარდა, ის 17-წლამდელთა ნაკრებსაც გაჰყვება პორტუგალიის ტურნირზე... ანუ, ორი სიტყვით რომ შევაჯამოთ ფარერებთან მატჩი, ასე ვიტყოდი: მთავარი იყო, რომ მოვიგეთ. ადრე მხოლოდ ეს გვესმოდა - ოღონდ შედეგი იყოს და, თამაშის ხარისხს აღარ ვჩივითო. რა თქმა უნდა, იდეალურია, როცა ხარისხიც ჩანს და შედეგიც... იმასაც ამბობენ ხოლმე - მეკარემ ერთხელ მაინც ხომ უნდა გვიშველოსო და აგერ, ბოლო მატჩზე უკვე თქვეს კიდეც - როგორც იქნა, მეკარემ ერთი თამაში მოგვაგებინაო... საერთოდ, რთულია ისეთ გუნდთან თამაში, რომელიც 11 კაცით იცავს თავს. სწორედ ასეთი გუნდია ფარერების ნაკრები. მოკლედ, განვლილ 6 ტურში 6 ქულა ავიღეთ. ორივე თამაში მოვუგეთ გუნდს, რომელთანაც ეს აუცილებლად უნდა გაგვეკეთებინა, წავაგეთ საფრანგეთთან, რომელიც, ჩემი აზრით, და ალბათ ბევრი დამეთანხმება, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მსოფლიო ჩემპიონ იტალიასთან ანგარიში კი გავათანაბრეთ, მაგრამ კაცნაკლულნი დავრჩით და საბოლოოდ წავაგეთ... უკრაინასა და შოტლანდიას კი არაფერი დავუთმეთ... სხვათა შორის, იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ ჯგუფში ყველაზე მეტი გოლი ჩვენ გავიტანეთ.



**- ბოლო ორი მატჩის შემდეგ კლაუს ტოპმიოლერი მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ. მას აკრიტიკებენ როგორც წმინდა საფეხბურთო, ისე სხვა ნიუანსების გამო. ზოგი ამ კრიტიკას ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს და თქვენზე ირიბ დარტყმად აღიქვამს. ამაზე რას ფიქრობთ?**

- რა გითხრათ... ალბათ, ამ ორიდან არცერთის გამორიცხვა არ შეიძლება. ჩემთვის ერთი რამ ცხადია - ამ სახის კრიტიკა აბსოლუტურად უადგილოა. მე მგონი, ამას გულშემატკივართა უმრავლესობაც ხვდება. წელიწადია, რაც ტოპმიოლერი ჩვენს ნაკრებს წვრთნის და იმის მოთხოვნა, შედეგი რატომ არ გვაქვსო, აბსურდულად მეჩვენება. შედეგი არის ის, რომ ჩვენი ნაკრები პროგრესირებს. უკვე ვთქვი, რომ მეტის მისაღწევად დროა საჭირო, საამისოდ, გარკვეული საფეხურების გავლა მოგვიწევს... არადა, ეს პროგრესი ბევრად უფრო სწრაფად მიდის, ვიდრე ერთი წლის წინ წარმომედგინა.

**- ტოპმიოლერის მოსაზრებამ, ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებზე, ბევრი გაალიზიანა...**

- ამაზე მან უკვე გააკეთა განმარტება ერთ-ერთ ტელეარხთან კომენტარში. მეც მკითხეს და ჩემი აზრი ვთქვი. ვფიქრობ, მას ალოგიკური და არასწორი არაფერი უთქვამს. როცა ნაკრებს წამყვანი მოთამაშეები აკლდებიან, შევსება შინაურ პირველობაზე უნდა ვეძებოთ. იმას ნამდვილად ვერავინ დაგვწამებს, რომ ნაკრებებში ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელთა სიმწირეა. პირიქით, 21 და 19-წლამდელთა გუნდები ახლახან იყვნენ უცხოურ შეკრებებზე. გადახედეთ შემადგენლობებს და დარწმუნდებით, რომ უმრავლესობა სწორედ ეროვნულ პირველობაზე თამაშობს. კლაუსმა ისიც თქვა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატის დონემ აიწია. თუმცა სასურველია, რომ აქ მოასპარეზე ფეხბურთელებმა, შემდგომი განვითარებისთვის, უცხოეთის ძლიერ კლუბებს მიაშურონ. არა რუსეთისა და უკრაინის გავლით, არამედ პირდაპირ დასავლეთ ევროპაში. სჯობს, რუსებისა და უკრაინელების ნაცვლად, ქართულმა კლუბებმა აიღონ ის სატრანსფერო თანხები და ისევ ქართული ფეხბურთისთვის გამოიყენონ. საქართველოდან მოთამაშეთა მიგრაცია შეუქცევადი პროცესია, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რათა ამ პროცესს სწორი მიმართულება მივცეთ, ანუ - ფეხბურთელები სათამაშოდ დასავლეთ ევროპაში წავიდნენ.

**- არველაძე ნაკრებიდან წასვლაზე ფიქრობს. ეს ამ ციკლის დასრულების შემდეგ მოხდება თუ მანამდე?**

- ბევრი რამ მის მუხლზეა დამოკიდებული. ბუნებრივია, ეს დიდი დანაკლისი იქნება, თუმცა ჩვენ საამისოდ მზად უნდა ვიყოთ. როცა ის ნაკრებს გამოეთხოვება, ღვაწლს სათანადოდ დავუფასებთ, საკადრისი პატივით გავაცილებთ.

**- აქამდე, არსებობდა აზრი, რომ კლაუს ტოპმიოლერის კონტრაქტი რაც შეიძლება მალე უნდა გაგრძელებულიყო. ამ მხრივ რას აპირებთ?**

- როგორც იცით, მოქმედი ხელშეკრულება 2+2 პრინციპზეა აგებული. ეს იყო სწორედ მისი სურვილი. ფიქრობდა, რომ პირველი ორი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაირკვეოდა და მერე გადაწყვეტდა, გააგრძელებდა თუ არა ჩვენთან ურთიერთობას. ვადასტურებ, რომ ჩვენ დღესაც გვაქვს სურვილი, ამ ურთიერთობის გაგრძელებისა. კლაუსიც არაა წინააღმდეგი, პირიქით, ძალიანაც უნდა აქ დარჩენა... ჩვენ ხომ ერთი მიზანი გვაქვს: 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლა. ვერ ვხედავ საბაბს საიმისოდ, რომ პოზიცია შევცვალოთ.

**- ალბათ, თქვენც გსმენიათ: ზოგიერთ მოთამაშეს ნაკრებში ამა თუ იმ მიზეზით იწვევენო... ანუ, არასაფეხბურთო მოტივებზე მიუთითებენ...**

- დიახ, გამიგია ასეთი საუბრებიც... ნაკრებში გამოსაძახებელ ფეხბურთელთა სიას ტოპმიოლერი ადგენს იმის მიხედვით, თუ რამდენადაა მზად ესა თუ ის ფეხბურთელი კონკრეტული მატჩისთვის. მატჩის განაცხადი 18-კაციანია და მასში, შესაძლოა, ვერ მოხვდეს ფეხბურთელი, რომელიც მართლა კარგ ფორმაშია (?! - რედ). ამასთან, დასაშვებია, რომ ამხანაგურ მატჩისთვის მთავარმა მწვრთნელმა შეგნებულად არ გამოიძახოს რომელიმე ფეხბურთელი და მის ნაცვლად, ის გამოსცადოს, ვინც სტაბილურად თამაშობს კლუბში და ეროვნულ გუნდის მოთხოვნებს გარკვეუწილად მაინც პასუხობს. გახსოვთ, რომ საუბარი იყო ურუგვაისა და თურქეთთან მატჩებში ალექსანდრე იაშვილის გამოუძახებლობაზე. კლაუსმა მისი შესაძლებლობები კარგად იცოდა და ამიტომაც გადაწყვიტა ბურდულისა და სირაძის გამოცდა. ეს ჩვეულებრივი მომენტია. მე ვფიქრობ, ამ ფეხბურთელებმა საკმაოდ კარგად ჩაატარეს ეს მატჩები და ყველას დაანახვეს, რომ ნაკრებში თამაშს იმსახურებენ. საერთოდ, ძალიან ცოტაა ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ყველა შეხვედრას ერთ დონეზე ატარებს. ვილაცამ, შეიძლება, ერთი თამაში ჩააგდოს. ნათელია, რომ ნაკრებში ვერ მოხვდება ისეთი ფეხბურთელი, რომელიც ფიზიკური კონდიციებით არ შეესატყვისება მწვრთნელის მოთხოვნებს.

**- ბოლო დროს, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც გაუჩნდათ გარკვეული კითხვები ფეხბურთის ფედერაციის მისამართით...**

- ეს კითხვა ცოტა მეტ კონკრეტიკას მოითხოვს. ჩვენ იმისთვის ვართ ქართული ფეხბურთის სათავეში, რომ ყველა კონკრეტულ კითხვას კონკრეტული პასუხი გავცეთ. ჩვენ არავის წინაშე დასამალი არაფერი გვაქვს...

**- დაბოლოს, კითხვა, რომელიც ეროვნულ ჩემპიონატს ეხება. ბოლო ტურის შემდეგ, ორი გუნდი აპირებს ფედერაციაში პროტესტის შეტანას. საუბარია "სიონსა" და ზესტაფონზე". "დინამო"-"სიონის" მატჩს თავადაც ესწრებოდით...**

- დიახ, ვიყავი ამ თამაშზე, მაგრამ არა როგორც ფედერაციის ოფიციალური პირი, არამედ, როგორც რიგითი ქომაგი. ამ შემთხვევაში, ჩემი სუბიექტური აზრი, თუ რა დავინახე და რა არა, არაფრისმთქმელია. თუ კლუბებს რაიმე პრეტენზია აქვთ, პროფლიგას უნდა მიმართონ...

**დავით ცაბაძე**



ყაზბეგი
www.kazbegi.com
გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ინტერვიუ გიორგი ნავალოვსკისთან

# მე ვიპოვე ჩემი გუნდი



რუსთავის "ოლიმპი" მეორე წრეში მნიშვნელოვნად შეიცვალა. ახალია მწვრთნელიც და შემადგენლობაც. ზოგი ახალწვეული გუნდს კარგად შეეწყო, ზოგიც – ისე რა. გიორგი ნავალოვსკის ტრანსფერმა რომ გაამართლა, ეს სადავო არაა. თბილისის "დინამოს" 20 წლის მცველის რუსთავის "ოლიმპში" გადასვლა ზამთრის სატრანსფერო სეზონის ერთ-ერთი მოვლენა გახდა.

მან უკვე დაიმკვიდრა ადგილი "ოლიმპის" "მზის ქვეშ" და ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მარცხენაფლანგელადაც ყალიბდება.

**- გიორგი, ახალ, თანაც აწყობილ გუნდთან შეგუება ბევრ მოთამაშეს უჭირს. შენ "ოლიმპში" ადაპტაცია არ გაგიჭირდა?**

- არანაირად. ოლიმპელებთან ისედაც ვმეგობრობდი და ამას გუნდში მისვლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთიდან მეორე სამეგობროში წავედი. ბუნებრივია, პრობლემა არ შემქმნია. ასეთ გარემოში თამაშზე ნებისმიერი მოთამაშე ოცნებობს.

**- პირველ წრეში "დინამოსა" და "ოლიმპის" მატჩი ჩხუბით დამთავრდა და რუსთავში იმ მატჩის "კუდები" ხომ არ დაგხვედრია?**

- ხომ გითხარით, ორივეგან ჩემი მეგობრები არიან და შუაში, გამშველებლად ჩავდექი. გარემოს შეცვლამ ჩემზე კარგად იმოქმედა. აქ უფრო ლაღად და თავისუფლად ვთამაშობ. ეს წვრილმანი არ არის, გარემო ნებისმიერ მოთამაშეზე ახდენს გავლენას. რატომლაც, "დინამოში" უფრო დაძაბული ვიყავი.

**- რატომ?**

- არ ვიცი რატომ, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიხსენი. არ მინდა წარსულზე საუბარი. "დინამომ" დიდ ფეხბურთში გზა გამიკვალა, გამზარდა, მაგრამ დარჩენა აღარ მინდოდა და მიხარია, "ოლიმპში" რომ აღმოვჩნდი. ეს ჩემი გუნდია.

**- დღეს ბევრი თვლის, რომ რეალურად ჩემპიონი შენს ძველ და ახალს გუნდებში, "დინამოსა" და "ოლიმპს" შორის უნდა ვეძებოთ. ამ აზრს ეთანხმები?**

- რატომლაც, ბოლოს დროს საქმეები მართლა ასე აეწყო, მაგრამ "ზესტაფონისა" და "ამერის" ნაადრევად ჩამოწერაც გაუმართლებელი იქნება. საერთოდ, წლეულს დაძაბული ჩემპიონატია, მეორე წრე ახალი დაწყებულია და ძნელი სათქმელია, ჩემპიონი ვინ გახდება.

**- "დინამოსა" და "ოლიმპის" დადებით და უარყოფით მხარეებზე რას გვეტყვი?**

- ძლიერს ჩვენი უშუალო შეხვედრა გამოაჩენს. ამ მატჩს ყველა ძალიან ველით. თუმცა მე მაინც უპირატესობას "ოლიმპს" ვანიჭებ. ძალიან მეგობრული გუნდია, ამ ატმოსფეროს შენარჩუნება ძოძუაშვილმაც მოახერხა და ჩემპიონობისთვის თავსაც დავდებთ.

**- ძლიერ "დინამოსთან" გამკლავება ყოველთვის უჭირდათ კონკურენტებს.**

- არა მგონია, "ოლიმპს" "დინამოს" შიში ან მოკრძალება ჰქონდეს. ჩვენთან ყველას სჯერა, რომ ჩემპიონობის ღირსები ვართ.

**- ზამთარში მარტო "ოლიმპი" გინდოდა?**

- სიმფეროპოლის "ტავრიაში" გასინჯვაზე იყო საუბარი, მაგრამ "ოლიმპთან" კონტრაქტის გაფორმება ვამჯობინე. ნაღდი იყო და იმიტომ. კლუბის ხელმძღვანელობას წინასწარ შევუთანხმდი, თუკი რომელიმე უცხოური გუნდი მიმიწვევს, ხელს არ შემიშლიან.

**- გვარის მიუხედავად, "თეთრი ბაირაღების" გოგოლის მსგავსად, ქართველი ყოფილხარ...**

- ასეა, ქართველი ვარ. ბაბუაჩემის ბაბუა პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოში გადმოასახლეს. ისე, წარმოშობით პოლონელები ვყოფილვართ.

**- პოლონური არ იცი?**

- არა, რა პოლონური, როგორც შენ იცი, ისე ვიცი მეც.

**- საფრანგეთთან შეხვედრამდე ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებში გამოგიძახა. მას შემდეგ ასეთი ინტერესი აღარ გამოუვლენია?**

- იმ მიწვევამაც გამაკვირვა. ლეგიონერების ჩამოსვლამდე დამიმატეს, სრულფასოვანი ვარჯიში რომ ჩაეტარებინათ. ნაკრებში თამაში ჯერ მხოლოდ ჩემი ოცნებაა. ნაკრებში მარცხენა ფლანგზე ისეთი კონკურენციაა, ამის წარმოდგენაც მიჭირს.

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

17-წლამდელთა ნაკრები

# საპორტუგალიო სია ცნობილია

## გელა შეყილაძე ცანკერის შტაბში

19-წლამდელთა ნაკრების შემდეგ, პორტუგალიას 17-წლამდელთა ნაკრებიც ეწვევა. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი (1991 წელში დაბადებულები, რომლებიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებენ) 6-10 აპრილს, კასტელო ბრანკოს ოთხთა საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს. საქართველოს ნაკრების გარდა, ტურნირზე პორტუგალიისა და დანიის 17-წლამდელთა ნაკრებები, ასევე კასტელო ბრანკოს რეგიონის 18-წლამდელთა გუნდი იასპარეზებს.

ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა ჰერბერტ ცანკერმა სასელექციო მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით წარმართა და მარტის დასაწყისში დაასრულა. შედეგად მწვრთნელმა შეარჩია 33 ფეხბურთელი, რომლებიც, 26 მარტიდან 1 აპრილის ჩათვლით, ურეკში მოსამზადებელ შეკრებაზე ჰყავდა. სწორედ ამ შეკრებისას შეირჩა ის 18 ფეხბურთელი, რომელსაც მოუწევს პორტუგალიაში წასვლა:

მეკარეები: **დავით მეფარიძე (გაგრა), თორნიკე ნიორაძე (დინამო, აკადემია).**

მცველები: **დათა რიგვავა (ოლიმპის აკადემია), გიორგი ბაგალიშვილი (ვიტ ჯორჯია), გივი ხაჩიძე (ბათუმის აკადემია), ერნესტ ახალბედაშვილი, ნუგზარ ჭანკვეტაძე (ორივე დინამოს აკადემია).**

ნახევარმცველები: **მერაბ მამულაძე (ბათუმი), ნიკა ძალამიძე (ბაია, ზუგდიდი), ბექა ქარდავა, ნიკა შონია, ერეკლე ფილია (ყველა ოლიმპის აკადემია), გიგა მელიქიშვილი (კახეთი), გიორგი გორდეზიანი (რუსთავის ოლიმპი), დავით ბოლოთაშვილი (დილა).**

თავდამსხმელები: **ირაკლი შეყილაძე (ბაია, ზუგდიდი), შალვა კვანტალიანი (სპარტაკი, თბილისი), გიორგი ვაშაკიძე (დინამოს აკადემია).**

17-წლამდელთა ნაკრების შტაბში **ლევან ხომერიკსა** და **ასლან ბალაძეს** (მეკარეთა მწვრთნელი), კიდევ ერთი ასისტენტი, ეროვნული ნაკრებისა და ბათუმის "დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი **გელა შეყილაძე** დაემატა. პირინეებზე ჭაბუკთა ნაკრებს ქართველი არბიტრი **ლევან კვარაცხელიაც** გაჰყვება და ტურნირის მატჩებს მოემსახურება.

პირველ მატჩს ჩვენი ნაკრები 7 აპრილს გამართავს პორტუგალიის წინააღმდეგ, მომდევნო დღეს კი დანიას ეთამაშება. დასკვნით შეხვედრას ქართველი ჭაბუკები 10 აპრილს გამართავენ კასტელო ბრანკოს 18-წლამდელთა გუნდთან.

გაზაფხულზე საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები იტალიაში კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს, სადაც უკვე 8 გუნდი იასპარეზებს.

**დავით ცაბაძე**

ზესტაფონი

# პროტესტი ადგილზეა

გუშინდელ ნომერშიც გაცნობეთ, რომ "ჩიხურა"-"ზესტაფონის" მატჩის დასრულების შემდეგ, ზესტაფონელებმა კარების ზომებთან დაკავშირებით ეჭვი გამოთქვეს და როგორც გადაღებული ვიდეომასალიდან ჩანს, "ქართლის" სტადიონის ძელების სიმაღლე დასაშვებზე რვა სანტიმეტრით მოკლეა.

"ზესტაფონმა" გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგაში პროტესტი შეიტანა და შეხვედრის გადათამაშებას ითხოვს.

***სერგო ფუტკარაძე,*** *"ზესტაფონის" პრესსამსახურის უფროსი: "მატჩის დაწყებამდე ჩვენმა მეკარე ჭანტურიამ გვითხრა, რომ კარი ზომაზე დაბალი ეჩვენებოდა. ამის თაობაზე შეხვედრის დელეგატსა და დამკვირვებელს ვაცნობეთ, თამაშის დასრულებისთანავე კი ძელები გავზომეთ და ჩვენი ეჭვი გამართლდა. ძელების დასაშვები სიმაღლე 244 სანტიმეტრია, დასაშვებია პლუს-მინუს ორსანტიმეტრიანი სხვაობა. "ქართლის" ძელები კი 236-237 სანტიმეტრი სიმაღლისაა. ამასთან დაკავშირებით, განცხადება შევადგინეთ, რომელსაც დელეგატმა და დამკვირვებელმა ხელი არ მოაწერეს. იმედია, ჩვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდება და "ჩიხურასთან" მატჩს გადავითამაშებთ. როგორც გავიგე, ამის სანაცვლოდ, "ჩიხურა" "ქართლზე" გამართული სხვა შეხვედრების გადათამაშებასაც ითხოვს, მაგრამ ეს მისი მეტოქეების საქმეა, შესაძლოა, სხვა მატჩების დროს კარის ზომა სტანდარტებს შეესაბამებოდა".*

***ოთარ გუნთაძე,*** *"ჩიხურა"-"ზესტაფონის" მატჩის დამკვირვებელი: "დებულების მიხედვით, დამკვირვებელსა და მსაჯებს უფლება აქვთ, ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ძელები მატჩამდე გაზომონ. ჩვენ ეს ეჭვი არ გაგვჩენია. ზესტაფონელებს მატჩამდე ამის თაობაზე არ მოუმართავთ, მათ მხოლოდ მოედნის ცუდი მდგომარეობის გამო გამოთქვეს უკმაყოფილება. მატჩისშემდგომ გაზომვას მე და მსაჯები არ დავსწრებივართ, არ ვიყავით ვალდებული. ისე კი, პატაკში ყველაფერი აღვწერე".*

პროფლიგის სხდომაზე გადაწყვეტილებას, სავარაუდოდ, ჩემპიონატის მომავალ ტურამდე მიიღებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიონი

# ბოლნისელებმა მსაჯის დასჯა მოითხოვეს

"დინამო"-"სიონის" შაბათის მატჩის შემდეგ სახალხოდ გამოთქმული პრეტენზიები, ქვემოქართლელებმა გუშინ ფურცელზე გადაიტანეს და დოკუმენტი ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტში მიიტანეს. მატჩის შედეგს რომ არავინ გააუქმებს, ბოლნისელებმა მშვენივრად უწყიან, მაგრამ მსაჯის დასჯას კი ითხოვენ.

*"ახლახან პროფესიული ფეხბურთის ლიგაში ვიყავით. სარჩელის შეტანა გვინდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, დებულების მიხედვით, მსგავს საკითხებზე პრეტენზიები არ მიიღება. რომ ამის მერე ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა კომიტეტს მივმართეთ. მოვახსენეთ ყველაფერი მთავარი მსაჯის შეცდომების თაობაზე... თუ ჩვენი სიმართლე დამტკიცდება, მაქსიმუმ არბიტრი დაისჯება, რაც სხვა მსაჯებისთვის მაგალითი უნდა იყოს. ეროვნულ ჩემპიონატში მსაჯობის დონე უნდა ამაღლდეს. იმედია, ამ მხრივ მდგომარეობა მალე გამოსწორდება"*, - განაცხადა "ლელოსთან" საუბარში "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა**

**დავით ცაბაძე**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა. სტატისტიკა

### სულ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 18 | 14 | 3 | 1 | 43-6 | 45 |
| 2. დინამო | 18 | 14 | 0 | 4 | 36-13 | 42 |
| 3. ზესტაფონი | 18 | 11 | 6 | 1 | 33-6 | 39 |
| 4. ვიტ ჯორჯია | 18 | 11 | 4 | 3 | 38-23 | 37 |
| 5. ამერი | 18 | 11 | 4 | 3 | 33-12 | 37 |
| 6. სიონი | 18 | 9 | 2 | 7 | 22-16 | 29 |
| 7. ტორპედო | 18 | 8 | 4 | 6 | 18-16 | 28 |
| 8. ბათუმი | 18 | 6 | 4 | 8 | 19-18 | 22 |
| 9. ბორჯომი | 18 | 5 | 5 | 8 | 17-27 | 20 |
| 10. მერანი | 18 | 4 | 5 | 9 | 14-30 | 17 |
| 11. ლოკომოტივი | 18 | 4 | 4 | 10 | 12-26 | 16 |
| 12. ჩიხურა | 18 | 3 | 5 | 10 | 11-27 | 14 |
| 13. დილა | 18 | 1 | 3 | 14 | 10-45 | 6 |
| 14. კახეთი | 18 | 0 | 1 | 17 | 13-54 | 1 |

### შინ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 9 | 8 | 1 | 0 | 25-3 | 25 |
| 2. დინამო | 9 | 8 | 0 | 1 | 19-5 | 24 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 9 | 7 | 2 | 0 | 23-9 | 23 |
| 4. ამერი | 9 | 7 | 2 | 0 | 17-3 | 23 |
| 5. ზესტაფონი | 9 | 6 | 3 | 0 | 18-1 | 21 |
| 6. ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 11-9 | 17 |
| 7. სიონი | 9 | 5 | 1 | 3 | 13-5 | 16 |
| 8. ბათუმი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-9 | 13 |
| 9. ლოკომოტივი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-12 | 13 |
| 10. ბორჯომი | 9 | 3 | 3 | 3 | 11-14 | 12 |
| 11. ჩიხურა | 9 | 2 | 4 | 3 | 6-10 | 10 |
| 12. მერანი | 9 | 1 | 3 | 5 | 5-16 | 6 |
| 13. დილა | 9 | 1 | 1 | 7 | 3-21 | 4 |
| 14. კახეთი | 9 | 0 | 1 | 8 | 7-22 | 1 |

### სტუმრად

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 9 | 6 | 2 | 1 | 18-3 | 20 |
| 2. დინამო | 9 | 6 | 0 | 3 | 17-8 | 18 |
| 3. ზესტაფონი | 9 | 5 | 3 | 1 | 15-5 | 18 |
| 4. ამერი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-9 | 14 |
| 5. ვიტ ჯორჯია | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 6. სიონი | 9 | 4 | 1 | 4 | 9-11 | 13 |
| 7. ტორპედო | 9 | 3 | 2 | 4 | 7-7 | 11 |
| 8. მერანი | 9 | 3 | 2 | 4 | 9-14 | 11 |
| 9. ბათუმი | 9 | 2 | 3 | 4 | 7-8 | 9 |
| 10. ბორჯომი | 9 | 2 | 2 | 5 | 6-13 | 8 |
| 11. ჩიხურა | 9 | 1 | 1 | 7 | 5-17 | 4 |
| 12. ლოკომოტივი | 9 | 0 | 3 | 6 | 3-14 | 3 |
| 13. დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 7-24 | 2 |
| 14. კახეთი | 9 | 0 | 0 | 9 | 6-32 | 0 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფიფია (ზესტაფონი) | 11 |
| 2-3 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 10 |
| | იაშვილი (დინამო) | 10 |
| 4 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 8 |
| 5-8 | იონანიძე (ზესტაფონი) | 7 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 7 |
| | ტატანაშვილი (ამერი) | 7 |
| | დოლიძე (ამერი) | 7 |
| 9 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 6 |
| 10-16 | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 5 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 5 |
| | ჩასემი (სიონი) | 5 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლიმპი/ბათ.) | 5 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 5 |
| 17-27 | ხუციშვილი (დინამო) | 4 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 4 |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 4 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 4 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 4 |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯ.) | 4 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 4 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 4 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 4 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 4 |
| 28-42 | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 3 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 3 |
| | ევოჩე (სიონი) | 3 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 3 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | გაგუა (მერანი) | 3 |
| | აფციაური (ოლიმპი) | 3 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 3 |
| | კობახიძე (დინამო) | 3 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | ტუღუში (ბათუმი) | 3 |
| 43-70 | გ. თოდუა (ოლიმპი) | 2 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 2 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 2 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 2 |
| | ვაჩეიშვილი (დილა/ამერი) | 2 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 2 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 2 |
| | კობაიძე (კახეთი) | 2 |
| | ნკემი (ბორჯომი) | 2 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | ყენია (ლოკომოტივი) | 2 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 2 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 2 |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 2 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ქემაშვილი (მერანი) | 2 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 2 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 2 |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბოიომო (სიონი) | 2 |
| | ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 2 |
| | დარასელია (სიონი) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |

### რეალიზებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-4 | საჯაია (ზესტაფონი) | 3 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 3 |
| | გ. ონიანი (ოლიმპი) | 3 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 3 |
| 5 | იაშვილი (დინამო) | 2 |
| 6-18 | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გამეზარდაშვილი (ტორპედო) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ბაქრაძე (ბორჯომი) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორ.) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |

### გაცუდებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-9 | ტიაგო (ბათუმი) | 1 |
| | შ. კაშია (დინამო) | 1 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომოტივი) | 1 |
| | იაშვილი (დინამო) | 1 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დინამო) | 1 |
| | გაგუა (მერანი) | 1 |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 1 |
| | იმედაძე (ტორპედო) | 1 |

### მოგერიებული პენალტები

| | | |
|---|---|---|
| 1-6 | ქვაჩახია (ამერი) | 1 |
| | ცინაძე (კახეთი) | 1 |
| | სეფიაშვილი (მერანი) | 1 |
| | ილურიძე (დილა) | 1 |
| | თოთლაძე (ბათუმი) | 1 |
| | გრიშიკაშვილი (დინამო) | 1 |

### გოლი+პასი

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფიფია (ზესტაფონი) | 14 (11+3) |
| 2 | იაშვილი (დინამო) | 13 (10+3) |
| 3-4 | ფეიქრიშვილი (ვიტ ჯ./დ.) | 12 (6+6) |
| | გელაშვილი (ვიტ ჯვ) | 12 (10+2) |
| 5-6 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 11 (8+3) |
| | დოლიძე (ამერი) | 11 (7+4) |
| 7-9 | ტატანაშვილი (ამერი) | 9 (7+2) |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 9 (5+4) |
| | ს. დავითაშვილი (ამერი) | 9 (5+4) |
| 10-12 | იონანიძე (ზესტაფონი) | 8 (7+1) |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 8 (5+3) |
| | აფციაური (ოლიმპი) | 8 (3+5) |
| 13-14 | ბობოხიძე (დინამო) | 7 (5+2) |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 7 (6+1) |
| 15-21 | კახელიშვილი (ოლიმპი) | 6 (4+2) |
| | ჩასემი (სიონი) | 6 (5+1) |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 6 (4+2) |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 6 (2+4) |
| | დილმელაშვილი (ვიტ ჯ./დ.) | 6 (1+5) |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 6 (3+3) |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 6 (4+2) |
| 22-34 | გაგუა (მერანი) | 5 (3+2) |
| | სირბილაძე (ოლ./დინ.) | 5 (4+1) |
| | ხუციშვილი (დინამო) | 5 (4+1) |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 5 (3+2) |
| | გამეზარდაშვილი (ტორ.) | 5 (4+1) |
| | საჯაია (ზესტაფონი) | 5 (4+1) |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 (5+0) |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 5 (3+2) |
| | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 5 (5+0) |
| | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 5 (4+1) |
| | კობახიძე (დინამო) | 5 (3+2) |
| | ბერიაშვილი | 5 (3+2) |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯ.) | 5 (4+1) |
| 35-44 | ჯელაძე (ამერი) | 4 (0+4) |
| | ჩომახიძე (ჩიხ./ლოკო.) | 4 (0+4) |
| | გურული (ტორპედო) | 4 (1+3) |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 4 (3+1) |
| | ევოჩე (სიონი) | 4 (3+1) |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 4 (4+0) |
| | შ. ლონდაძე(ზესტაფონი) | 4 (3+1) |
| | კიკნაძე (ბორჯ./ვიტ ჯ.) | 4 (4+0) |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 4 (2+2) |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 4 (3+1) |
| 45-60 | დ.გოგოლაძე (ბათუმი) | 3 (2+1) |
| | მუჯირი (ბათუმი) | 3 (3+0) |
| | მ.ლონდაძე (ტორპედო) | 3 (2+1) |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 3 (3+0) |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 3 (1+2) |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | გ.თოდუა (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ვ. უგრეხელიძე (სიონი) | 3 (2+1) |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 3 (1+2) |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 3 (1+2) |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტ.) | 3 (2+1) |
| | ლუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 (0+3) |
| | რ. გოცირიძე (ოლიმპი) | 3 (2+1) |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 3 (2+1) |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 3 (1+2) |
| | ტუღუში (ბათუმი) | 3 (3+0) |

### შეცვლილთა გოლები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ტატანაშვილი (ამერი) | 5 |
| 2-4 | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათუმი) | 3 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 3 |
| | ტუღუში (ბათუმი) | 3 |
| 5-12 | ფიფია (ზესტაფონი) 2 | |
| | ქემაშვილი (მერანი) 2 | |
| | კიკნაძე (ბორჯომი/ვიტ ჯორჯ.) 2 | |
| | იაშვილი (დინამო) | 2 |
| | ბეჟანიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბენაშვილი (ზესტაფონი) | 2 |
| | ჩიმაკაძე (ამერი) | 2 |
| 12-31 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | დოლიძე (ამერი) | 1 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | გალოგრე (ბათუმი) | 1 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 1 |
| | კრასოვსკი (ტორპედო) | 1 |
| | სევასტოპულო (ამერი) | 1 |
| | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ხუციშვილი (დინამო) | 1 |
| | ხოჯავა (ოლიმპი) | 1 |
| | მჭედლიშვილი (ამერი) | 1 |
| | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | მ. ლონდაძე (ტორპედო) | 1 |
| | კაკალაძე (ჩიხურა/ბორჯომი) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | ალავერდაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ფურცელაძე (მერანი) | 1 |
| | ბ. ნოზაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |

### საგოლე პასები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ფეიქრიშვილი (ვიტ/დინამო) | 6 |
| 2-3 | დილმელაშვილი (ვიტ/დინამო) 5 | |
| | აფციაური (ოლიმპი) | 5 |
| 4-10 | ს. დავითაშვილი (ამერი) | 4 |
| | წინამძღვრიშვილი (ამერი) | 4 |
| | ბოლქვაძე (ამერი) | 4 |
| | ჯელაძე (ამერი) | 4 |
| | ჩომახიძე (ჩიხურა/ლოკომ.) | 4 |
| | დოლიძე (ამერი) | 4 |
| | ა. ალავიძე (სიონი) | 4 |
| 11-18 | ტატანაშვილი (ამერი) | 3 |
| | გურული (ტორპედო) | 3 |
| | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | ლუჭაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 3 |
| | იაშვილი (დინამო) | 3 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 3 |
| | რ. ონიანი (ოლიმპი/ზესტაფონი) | 3 |
| 19-39 | გ. მერებაშვილი (დინამო) | 2 |
| | კობახიძე (დინამო) | 2 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 2 |
| | ლ. ნოზაძე (დინამო) | 2 |
| | ვიეირა (ზესტაფონი) | 2 |
| | განუგრავა (ზესტაფონი) | 2 |
| | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 2 |
| | გველესიანი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | გ. მელქაძე (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ბავჯელიძე (სიონი) | 2 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 2 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 2 |
| | გაგუა (მერანი) | 2 |
| | გულორდავა (ლოკომოტივი) | 2 |
| | ზ. ჩხეტიანი (ტორპედო) | 2 |
| | ლ. მანწკავა (მერანი) | 2 |
| | შალამბერიძე (ბათუმი) | 2 |
| | ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | ნ. დავითაშვილი (კახეთი) | 2 |
| | ოდიკაძე (დინამო) | 2 |
| | კერესელიძე (ბათუმი) | 2 |

### დუბლი

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | დვალიშვილი (ოლიმპი) | 3 |
| | იაშვილი (დინამო) | 3 |
| 3-4 | გელაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 2 |
| | იონანიძე (ზესტაფონი) | 2 |
| 5-23 | გ. ჭელიძე (ზესტაფონი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | სირბილაძე (ოლიმპი/დინამო) | 1 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ლომაია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 1 |
| | დ. გოგოლაძე (ბათუმი) | 1 |
| | არუდაშვილი (კახეთი) | 1 |
| | ქებაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | ვ. კვარაცხელია (ოლ./ბათ.) | 1 |
| | მუშკუდიანი (ტორპედო) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ევოჩე (სიონი) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯ.) | 1 |
| | ბობოხიძე (დინამო) | 1 |
| | ა. ნოზაძე (მერანი) | 1 |
| | იმედაძე (ზესტაფონი/ტორპედო) | 1 |

### ჰეთ-თრიკი

| | | |
|---|---|---|
| 1-6 | დვალი (დინამო/ჩიხურა) | 1 |
| | გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯ.) | 1 |
| | გეწაძე (ოლიმპი) | 1 |
| | ჩასემი (სიონი) | 1 |
| | ფიფია (ზესტაფონი) | 1 |
| | ტუღუში (ბათუმი) | 1 |

### ყველაზე დიდი სხვაობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| 2 | დილა-ვიტ ჯორჯია | 0:6 | (XII ტური) |
| 3-7 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | სიონი-კახეთი | 5:0 | (X ტური) |
| | კახეთი-ოლიმპი | 0:5 | (XV ტური) |
| | ზესტაფ.-ვიტ ჯ. | 5:0 | (XVII ტური) |
| | ტორპედო-დინამო | 0:5 | (XVII ტური) |

### უხვგოლიანი მატჩები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1-4 | დინამო-დილა | 6:1 | (II ტური) |
| | ოლიმპი-კახეთი | 7:0 | (II ტური) |
| | ბორჯომი-მერანი | 3:4 | (IV ტური) |
| | ვიტ ჯორჯია-ამერი | 4:3 | (XIII ტური) |

### მიღებული გოლები

(მატჩების ნახევარზე მეტი)

| | | |
|---|---|---|
| 1-2 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 5 |
| | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 5 |
| 3 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 6 |

### XVIII ტურის სიმბოლური ნაკრები




### მიმდინარე მშრალი სერიები

| | | |
|---|---|---|
| 1 | კოდალაევი (ტორ./ბორჯ.) | 275 |
| 2 | გრიშიკაშვილი (დინამო) | 211 |
| 3 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 207 |
| 4 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 180 |
| 5 | სეფიაშვილი (მერანი) | 151 |
| 6 | შეყრილაძე (ბორჯომი) | 141 |
| 7 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 106 |

### ყველაზე ხშირი ანგარიშები

| | | |
|---|---|---|
| 1 | 1:0 | 16 |
| 2 | 0:0 | 15 |
| 3 | 0:1 | 13 |
| 4 | 2:0 | 10 |
| 5 | 3:0 | 9 |
| 6 | 2:1 | 8 |
| 7-8 | 3:1 | 6 |
| | 1:1 | 6 |
| 9 | 0:3 | 5 |
| 10-11 | 0:2 | 4 |
| | 1:3 | 4 |

### წითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1-27 | ფარტენაძე (ბათუმი) | 1 |
| | ჯინჭარაძე (ბათუმი) | 1 |
| | კარსანიძე (მერანი) | 1 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 1 |
| | ელბაქიძე (ამერი) | 1 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კახელიშვილი (ოლიმპი) | 1 |
| | ქარქუზაშვილი (ბორჯომი) | 1 |
| | სანიკიძე (ჩიხურა/სიონი) | 1 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 1 |
| | ბესარაშვილი (მერანი) | 1 |
| | პ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | ლაბაძე (ბორჯომი) | 1 |
| | აბრამიშვილი (დილა) | 1 |
| | მუჯირი (ბათუმი) | 1 |
| | მახვილაძე (ოლიმპი) | 1 |
| | გ. მერებაშვილი (დინამო) | 1 |
| | ნ. ნოზაძე (დილა) | 1 |
| | ტეტიაშვილი (კახეთი) | 1 |
| | მახარაძე (ჩიხურა) | 1 |
| | კედელაშვილი (ამერი/მერანი) | 1 |
| | დობროვოლსკი (ამერი) | 1 |
| | სპასოევიჩი (დინამო) | 1 |
| | კობახიძე (დილა) | 1 |
| | მალიჩავა (ლოკომოტივი) | 1 |
| | სახოკია (ვიტ ჯორჯია) | 1 |
| | კოდალაევი (ტორპედო/ბორჯომი) | 1 |

### მეკარეთა მშრალი სერიები (წუთი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 829 |
| 2 | მ. ალავიძე (ოლიმპი) | 769 |
| 3 | ქვაჩახია (ამერი) | 520 |
| 4 | ქვაჩახია (ამერი) | 454 |
| 5 | ქვილითაია (ტორპედო) | 339 |
| 6 | ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) | 306 |
| 7 | ბათიაშვილი (სიონი) | 305 |
| 8 | ჭანტურია (ზესტაფონი) | 302 |
| 9 | კოდალაევი (ტორ.ო/ბორ.) | 275 |
| 10 | სომხიშვილი (ბათუმი) | 264 |
| 11 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 260 |
| 12 | ბოგლიაშვილი (სიონი) | 256 |

### არბიტრები

(მატჩების რაოდენობა)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ვადაჭკორია | 12 |
| 2-3 | ფანიაშვილი | 11 |
| | კვარაცხელია | 11 |
| 4-5 | სილაგავა | 10 |
| | ხარიტონაშვილი | 10 |
| 6-9 | მაისურაძე | 9 |
| | კრიჭაშვილი | 9 |
| | სანაია | 9 |
| | ბუქლიშვილი | 9 |
| 10-12 | კიკაჩეიშვილი | 6 |
| | პ. დოგრაშვილი | 6 |
| | ხეცაძე | 6 |
| 13 | ჭაჭუა | 5 |
| 14-16 | ნონიკაშვილი | 4 |
| | ბუიშვილი | 4 |
| | ელისაბედაშვილი | 4 |

### ყვითელი ბარათები

| | | |
|---|---|---|
| 1 | ბესარაშვილი (მერანი) | 8 |
| 2 | დოლიძე (ამერი) | 6 |
| 3-10 | ქებაძე (ოლიმპი) | 5 |
| | გ. კვახაძე (ლოკომოტივი) | 5 |
| | გუშარაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | გოჩაშვილი (ლოკომოტივი) | 5 |
| | რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) | 5 |
| | შ. ჯიქია (ბორჯომი) | 5 |
| | გ. მიქაძე (ჩიხურა) | 5 |
| | მესხი (ჩიხურა/ამერი) | 5 |

### ავტოგოლი

| | | |
|---|---|---|
| 1-3 | გიგაური (დინამო) | 1 |
| | შ. ლონდაძე (ზესტაფონი) | 1 |
| | ლ. გრიგალაშვილი (მერანი) | 1 |

### გასულ ტურში

12 გოლი
(საშუალოდ მატჩში 1.71)

13 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 3.42)

0 წითელი ბარათი

### ჩემპიონატში

319 გოლი
(საშუალოდ მატჩში 2.53)

398 ყვითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 3.15)

27 წითელი ბარათი
(საშუალოდ მატჩში 0.21)

ლეგიონერები

# ასათიანი: არსენალი და შალკე?

## ის კი ამბობს, არავინ დამკავშირებიაო

რუსულმა ყვითელმა გაზეთმა "ტვოი დენ" მოსკოვის "ლოკომოტივისა" და საქართველოს ნაკრების მცველ **მალხაზ ასათიანს** ინტერვიუ ჩამოართვა.

"მე გვარიანი შრომა დამჭირდება, ძირითად შემადგენლობაში რომ დავბრუნდე. "ლოკომოტივში" ძალიან ბევრი კვალიფიციური მცველია და იოლი არ იქნება პოზიციების დაბრუნება. მზად ვარ, მეკარის გარდა, ნებისმიერ პოზიციაზე ვითამაშო, ოღონდ "ლოკომოტივს" სარგებლობა მოვუტანო.

საბედნიეროდ, უკვე შემიძლია ბურთთან ვარჯიში, მაგრამ მკვეთრი მოძრაობების გაკეთება მეკრძალება. მინდა, რაც შეიძლება მალე დავუბრუნდე მოედანს. ცსკა-სთან იმ საბედისწერო შეხვედრას არც ვიხსენებ. ხორვატმა ივიცა ოლიჩმა თამაშის შემდეგ მომიბოდიშა და მასზე გულში წყენა არც ჩამიდია.

ახლა მთავარია, მოედანს დავუბრუნდე, ძირითადში მოვხვდე და "ლოკომოტივი" ჩემპიონთა ლიგაში დაბრუნდეს", - აღნიშნა ფეხბურთელმა.

მალხაზ ასათიანმა შესაძლო ტრანსფერზე დასმულ კითხვასაც უპასუხა - თქვენით ლონდონის "არსენალი" და "შალკე" დაინტერესდნენ და მორალურად მზად ხართ "ლოკომოტივიდან" წასასვლელადო?

"პირადად მე არც ერთი კლუბის წარმომადგენელი არ დამკავშირებია. ასე რომ, ჯერ "ლოკომოტივიდან" ჩემს წასვლაზე საუბარი ნაადრევია", - განაცხადა ქართველმა მცველმა.

**მერაბ მამულაშვილი**



მალხაზ ასათიანი

# მუჯირს რუსეთში არ უშვებენ

საქართველო-ფარერების მატჩიდან თითქმის ერთი კვირა გავიდა, **დავით მუჯირი** კი კვლავ თბილისშია. საქმე ისაა, რომ იგი რუსეთის ვიზას რამდენიმე დღეა, უშედეგოდ ელის. ფორმის შესანარჩუნებლად კი "ლოკომოტივის" შემადგენლობაში ვარჯიშობს.

"გარკვეული ფორმალობებია მოსაგვარებელი, იმედია, ყველაფერი მალე დადგება თავის ადგილზე და დღეს-ხვალ რუსეთში გავემგზავრები. "ლოკომოტივის" მწვრთნელი **გიორგი კიკნაძე** ჩემი მეგობარია, თანადგომისთვის მას დიდ მადლობას ვუხდი", - განაცხადა მუჯირმა.

რუსეთის საელჩოს ამ ქმედებამ საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს უკვე გამოატოვებინა "კრილიას" ერთი ოფიციალური მატჩი. სამარელებმა შინ "მოსკვასთან" უგოლო ფრე ითამაშეს.



დავით მუჯირი

# დემიანენკოს მარცვალაძე მოეწონა

კიევის "დინამო" უკრაინის ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს. ქართველი მოთამაშეები კი გუნდის ძირითადში მოხვედრას ცდილობენ და ბოლო დროს იმედი გაჩნდა, რომ დუბლებში თამაშისგან თავის დაღწევას შეძლებენ.

ასე მაგალითად, **კახა ალადაშვილი** ბოლო დროს "დინამოს" განაცხადში სისტემატურად ხვდება და შეცვლებზე თამაშობს.

სხვათა შორის, კიეველთა მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი დემიანენკომ** სანაკრებო პაუზის დროს კიევის "არსენალთან" საკონტროლო მატჩი ექსპერიმენტისთვის გამოიყენა და ალადაშვილი ისეთ პოზიციაზე ათამაშა, გაგიკვირდებათ. კახას უმთავრესად მარჯვენა მცველად ათამაშებენ, იშვიათად - მარჯვენა ნახევარმცველად. ისრაელის შეკრებაზე საყრდენადაც კი გამოცადეს. "არსენალთან" კი დემიანენკომ ყველაფერი. თავდაყირა დააყენა და ქართველი ფეხბურთელი ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე მოსინჯა (?!), ისევე როგორც **დავით იმედაშვილი**.

მეოცე ტურის მატჩამდე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე დემიანენკოს ამ უცნაურ სიახლეზე ჰკითხეს - ექსპერიმენტის გაგრძელებას უნდა ველოდოთო?

"იმედაშვილმა თამაში ცენტრში დაიწყო და მარცხნივ ეშჩენკოს შეცვლის შემდეგ გადავიყვანე. თავიდან სამი ცენტრალური მცველი დავაყენე და შეიძლება ითქვას, რომ ალადაშვილმა და იმედაშვილმა "არსენალთან" კარგად დაგვამახსოვრეს თავი. თუმცა მათ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შესაძლებლობაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. ეს ისევ და ისევ ქართველ მცველებზეა დამოკიდებული", - თქვა დემიანენკომ.

"დინამოს" მთავარი მწვრთნელი **ოთარ მარცვალაძესაც** შეეხო: "მარცვალაძემ ტრავმა ახლახან მოირჩინა. ამის მიუხედავად, "არსენალთან" მისი თამაში მომეწონა. რაც შეეხება მარცვალაძის ძირითადში გამოჩენის პერსპექტივას, აქაც იგივეს ვიტყვი - ყველაფერი მასზეა დამოკიდებული".

**მერაბ მამულაშვილი**

# კობი ჩემპიონობის იმედს არ კარგავს

გელზენკირხენის "შალკემ" მიუნხენის "ბაიერნთან" 0:2 წააგო და საჩემპიონო ბრძოლაში მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. რუსულმა ინტერნეტ-გაზეთმა "სპორტმა" შეხვედრის შემდეგ **ლევან კობიაშვილს** ინტერვიუ ჩამოართვა.

"რა უნდა ვთქვა, ლოგიკურად წავაგეთ. შეტევაში არაფერი გამოგვდიოდა და დაცვაშიც ხშირად ვცდებოდით. ეტყობა, თამაშისთვის კარგად ვერ განვეწყვეთ და სწრაფმა გოლმაც გაგვტეხა. ტრავმირებული ვარელასა და დისკვალიფიცირებული ლინკოლნის არყოფნაც დაგვეტყო. თუმცა ჩვენ ისევ ბუნდესლიგის ლიდერები ვართ. ასე რომ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა. ლიდერებს აღარ ვხვდებით, მაგრამ აუტსაიდერებთან შეხვედრაც არ იქნება იოლი. იმედია, ამ ბრძოლაში მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ", - განაცხადა ქართველმა ნახევარმცველმა.

**მერაბ მამულაშვილი**



მარჯვნივ ზაალ ელიავა

# სკონტოს ლიტვური ზავი

ბალტიის ლიგაში მორიგი ტურის მატჩები გაიმართა, D ჯგუფში ერთმანეთს ორი ლიდერი შეხვდა, ლატვიურმა "სკონტომ" ლიტვურ "ვეტრას" უმასპინძლა. მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა (1:1). ამ თამაშის შემდეგ კლუბებს 5-5 ქულა დაუგროვდათ. მასპინძელთა რიგებში ორივე ქართველმა ლეგიონერმა 90-90 წუთი ითამაშა. დაცვაში **დავით გამეზარდაშვილი** და სანაკრებო მატჩებიდან დაბრუნებული **ზაალ ელიავა** გაისარჯნენ. ელიავაც და გამეზარდაშვილიც საკმაოდ აქტიურობდნენ და შეტევებშიც ერთვებოდნენ. ერთ ეპიზოდში გამეზარდაშვილს გოლის გატანაც შეეძლო, თუმცა სტუმართა გოლკიპერმა იყოჩაღა. თამაშის 76-ე წუთზე კი ტანმაღალმა ქართველმა ბოლო მომენტში შეძლო "ვეტრას" თავდამსხმელის განეიტრალება და გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა. B ჯგუფში ასპარეზობს **ზურაბ მენთეშაშვილის** ახალი კლუბი "ვენტსპილსი", A-ში კი ლიტვის ჩემპიონი "კაუნასი", სადაც სამი ქართველი ირიცხება. ლატვიაში და ლიტვაში ეროვნული პირველობები 7 აპრილს იწყება.

## ამერიდა შემოგვრჩა

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFFHS) გამოაქვეყნა კლუბთა მარტის თვის რეიტინგ-ლისტი. სიას ესპანური "სევილია" ლიდერობს, მეორე ადგილი იტალიურ "ინტერს" უჭირავს, მესამე - ესპანურ "ბარსელონას". საქართველოს თასის მფლობელ "ამერს" 272-ე პოზიცია უკავია. "ამერმა" 34 ადგილი დაკარგა ერთ თვეში. სამწუხაროდ, მსოფლიოს 350 საუკეთესო კლუბში სხვა ქართული კლუბი აღარ არის. რეიტინგი დატოვეს "სიონმა", "ვიტ ჯორჯიამ" და "ზესტაფონმა".

## მამარდაშვილი პიუნიკში?

სომხეთში საფეხბურთო პირველობა 14 აპრილს იწყება, კლუბები უკანასკნელ შეკრებებს ასრულებენ, შეგახსენებთ, რომ უმაღლეს ლიგაში 8 კლუბი ითამაშებს. ერევნის "პიუნიკში" ვარჯიშობს ქართველი გოლკიპერი **დავით მამარდაშვილი**. "პიუნიკი" ქვეყნის ჩემპიონია, დღეისათვის იქ სამი გოლკიპერი ვარჯიშობს, რომელთაც კლუბთან კონტრაქტი არ აქვთ: მამარდაშვილი, სერბი **ზლატან ადროვიჩი** და კამერუნელი **ჯიოფაკ მილერი**. მამარდაშვილს საქართველოში "ვიტ ჯორჯიასა" და ქუთაისის "ტორპედოში უთამაშა, რომელთან ერთადაც საქართველოს ჩემპიონიც გამხდარა. 29 წლის გოლკიპერის სიმაღლე 190 სანტიმეტრია. მეკარეთა გამოსაცდელად "პიუნიკი" "პიუნიკ 2-ს" ეთამაშა, მატჩი მთავარმა გუნდმა მოიგო, რომლის კარსაც მეორე ტაიმში მამარდაშვილი იცავდა. პირველ ტურში "პიუნიკი" "ულისს" მასპინძლობს, მანამდე უნდა გადაწყდეს მეკარეთა ამ სამეულიდან რომელს დაიტოვებს სომხეთის ჩემპიონი. შეგახსენებთ, რომ "ულისთან" ახლახან გააფორმა კონტრაქტი ფორვარდმა **გიორგი ხუციშვილმა**.

## სეზონი თასით გაიხსნა

ბელარუსში საფეხბურთო სეზონი თასის გათამაშებით დაიწყო. გაიმართა პირველი მეოთხედფინალური მატჩები. ბრესტის "დინამო" სოლიგორსკის "შახტიორს" ეწვია და 2:0 მოუგო. "დინამოში" ქართველი ნახევარმცველი **რომან გოგინაშვილი** თამაშობს. გოგინაშვილი სასტარტოში იყო. უკვე ხუთი წუთში, ქართველმა ფეხბურთელმა სეზონში პირველი საგოლე პასი მიითვალა, მან საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან **მოზოლევსკის** გადააწოდა, რომელმაც გახსნა კიდეც ანგარიში. რომანი მეორე ტაიმში, 64-ე წუთზე შეცვალეს. გოგინაშვილის გარჯა 5,5 ბალით შეაფასეს. შეგახსენებთ, რომ "დინამოს" თავკაცი წარსულში ცნობილი ფეხბურთელი **სერგეი ბოროვსკია**. ამ მოგებით "დინამომ" ფაქტობრივად გაინაღდა ნახევარფინალის საგზური.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ჯინჭარაძის საგოლე პასი

რუსეთის პირველ დივიზიონში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. კალინინგრადის "ბალტიკამ" პრემიერლიგიდან გავარდნილ მოსკოვის "ტორპედოს" უმასპინძლა და 2:0 მოუგო. ორივე გუნდში ირიცხება ქართველი, თუმცა არც **ლავრენტი მიქაძეს** ("ბალტიკა") უთამაშია და არც **გედევან დარასელიას** ("ტორპედო"). ბრიანსკის "დინამომ" 2:1 მოუგო როსტოვის არმიელთა კლუბს. **პაატა ჯინჭარაძემ** 90 წუთი ითამაშა. 54-ე წუთზე მასპინძლებმა ანგარიში პაატას პასით გაათანაბრეს. მატჩის შემდეგ ჯინჭარაძის თამაშით კმაყოფილი დარჩა გუნდის მწვრთნელი, რომელმაც ქართველი ჯერ დაცვის მარცხენა ფლანგზე ათამაშა, მეორე ტაიმში კი წინ, ჩვეულ პოზიციაზე წანია. ცუდად დაიწყო სეზონი **ომარ თეთრაძის** "ანჟიმ", დაღესტნელებმა "ნოსტასთან" შეხვედრა ნეიტრალურ მოედანზე ("ლუჟნიკიზე") 0:3 დათმეს. ქართველთაგან მხოლოდ **გოჩა ხოჯავამ** ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

# ანჩელოტი: ყველაფერი მიუნხენში გადაწყდება

## ჰიტცფელდი ათენურ ფინალში ბალაკის მოკითხვას აპირებს, მიუნხენელებს რუსი მსაჯი არ მოეწონათ, კუმანი კი ინგლისური გუნდების გაწბილების დიდოსტატია...



მიხაელ რენზინგი ოლივერ კანის ადგილს დაიკავებს

### მილანი–ბაიერნი

"მილანისა" და "ბაიერნის" შორის პირველი მეოთხედფინალის წინ ორივე გუნდის წარმომადგენლები ირწმუნებიან, ამ წყვილს ფავორიტი არ ჰყავს, შანსები თანაბარიაო. აი, ბუქმეკერებს კი ეჭვი არ ეპარებათ – "მილანი" ფავორიტია. მაგრამ მილანისტები ფრთხილად არიან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შაბათს "ბაიერნმა" ბუნდესლიგის ლიდერი "შალკე" დაამარცხა. გასულ წელს, მერვედფინალში, "როსონერიმ" "ალიანს არენაზე" 1:1 ითამაშა, განმეორებით შეხვედრაში კი მიუნხენურ გუნდს სასტიკად გაუსწორდა – 4:1. მაგრამ "მილანი" მაშინ სხვა იყო: გოლები გოლებზე გაჰქონდა და ელეგანტურად თამაშობდა. წელს კი წვალობს. შაბათს "ოლიმპიკოზე" "რომასთან" ძალიან გაუჭირდა და ბედნიერი იყო, რომ შეხვედრა 1:1-ზე დაასრულა (**ჯილარდინოს** გოლით). **არიგო საკი** ამბობს, ორივე გუნდმა იცის, რომ საუკეთესო ფორმისგან შორსაა და ამიტომ ერთმანეთს უფრთხიანო.

გუშინ **კარლო ანჩელოტიმ** ასეთი კომენტარი გააკეთა: *"რომაულ შეხვედრასთან შედარებით გაცილებით უფრო დიდი მონდომებითა და ჟინით უნდა ვითამაშოთ. უნდა ვიფიქროთ კარგი შედეგის მიღწევაზე, რათა განმეორებითი მატჩის წინ მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსები გავზარდოთ. დეკემბრის შემდეგ "ბაიერნმა" საგრძნობლად მოუმატა. ის სოლიდური და კარგად ორგანიზებული გუნდია. მასთან თამაში ძალიან ძნელია, რადგან ყველა ღირსებასთან ერთად, შემტევი მენტალიტეტი აქვს. "სან სიროზე" გამარჯვება კატეგორიული იმპერატივი არაა. რადგან ყველაფერი განმეორებით თამაშში გადაწყდება... წელს უმძიმესი სეზონი გვქონდა, მაგრამ ისევ ვაგრძელებთ გამოსვლას ყველაზე მნიშვნელოვან ტურნირში და ჩვენც ისეთივე შანსები გვაქვს, როგორც დანარჩენ შვიდ გუნდს. "მილანის" მიზანი ამ ეტაპზე ნახევარფინალში გასვლაა და შეიძლება, რომ იქ "რომას" შევხვდეთ. იტალიური ფეხბურთისთვის ეს დიდებული რამ იქნება, რადგან ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი იტალიური გუნდი ფინალში ითამაშებს".*

სეზონის დასკვნით ფაზაში "მილანი" ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ შემადგენლობას. ოთხთვიანი უფეხბურთობის შემდეგ, **ალესანდრო ნესტამ** შაბათს რომში პირველად ითამაშა. გამოჯანმრთელდა **პაოლო მალდინიც** და ნესტასთან ერთად ძირითადში იქნება. **კალაძემაც** განაახლა ვარჯიში და შეიძლება დღეს თადარიგში ვიხილოთ. ანჩელოტის საბოლოოდ ჯერ არ გადაუწყვეტია ორი გამოკვეთილი ფორვარდით ითამაშოს თუ ერთით, მაგრამ იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ მწვრთნელი ამ მეორე ვარიანტისკენ გადაიხრება და ძირითადში ჯილარდინოს ათამაშებს, **ინძაგის** კი სკამზე დატოვებს. გუშინ პრესასთან მცირე კომენტარი კაპიტანმა მალდინიმაც გააკეთა: *"უკვე ათეული წელია, რაც ჩვენს მთავარ მიზანს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვება წარმოადგენს. ამ მიზნის მიღწევა წლევანდელ მძიმე სეზონს უცებ ტრიუმფალურად გადააქცევდა. საამისოდ გუნდმა უნდა მოუმატოს, უფრო გაბედულად და ხარისხიანად ითამაშოს, ვიდრე ბოლო თვეებში თამაშობდა. ბევრს შეიძლება ეს სასწაული ჰგონია, მაგრამ მე შედეგების მიხედვით ვმსჯელობ. ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი მეოთხედფინალისტებიდან "მილანი" ერთადერთია, რომელიც წელსაც ევროპის რვა საუკეთესო გუნდს შორისაა. თუ ვითამაშებ? თავს კარგად ვგრძნობ, მზად ვარ, 90 წუთი ვითამაშო".*

ახლა გერმანელთა ბანაკში გადავინაცვლოთ და ვნახოთ, რას ფიქრობს **ოტმარ ჰიტცფელდი**: *"მილანთან" უფრო ძნელი იქნება, ვიდრე "რეალთან". ესპანელებთან ტრადიციულად კარგად გამოგვდის თამაში, ისინი სანახაობას ეძებენ და სივრცეებს გიხსნიან, მაგრამ იტალიელებთან ასე არ არის. კატენაჩოს დრო წავიდა, დღეს სულ სხვა სიტუაციაა: იტალიაში ძალიან მაღალია დაცვითი ფეხბურთის კულტურა. "მილანი" შეტევაზეა ორიენტირებული, მაგრამ ისე, რომ მუდამ დაცვაზე უჭირავს თვალი, რადგან იმ სკოლას მიეკუთვნება, რომელიც ასე აზროვნებს. კარგად მახსოვს ჩემი მეგობარი მარჩელო ლიპის შედევრი მუნდიალის ნახევარფინალში გერმანიასთან. "როსონერი" შესანიშნავი გუნდია, პრობლემები ტრავმების სიმრავლისა და დისციპლინური სასჯელის გამო შეექმნა. ანჩელოტი იძულებული გახდა, იმპროვიზაციაზე წასულიყო, გუნდმა თავდაჯერება დაკარგა, როცა ხედავდა, რომ ლიდერებს ვერ ეწეოდა. გრანდები ცხრილის სათავისგან შორს ყოფნას ვერასდროს ეგუებიან. ძალიან მომწონს "მილანის" ტაქტიკური ორგანიზაცია, თავდაჯერება ბურთის ფლობისას, მაღალი კლასის ნახევარდაცვა. კაკა სუპერფეხბურთელია, მაგრამ ერთადერთი არაა, ვისაც თამაშის მარტო მოგება შეუძლია. პირლოს გრძელი გადაცემები ისეთივე მომაკვდინებელია, როგორც ჯარიმები, ზეედორფისგან ყოველ წამს შეიძლება, აფეთქებას ელოდე, გატუზო აგრესიული ლიდერია. ზონური ნახევარდაცვით ვითამაშებთ, კლასიკური 4-4-2-ით, ცენტრში მჭიდროდ განვლაგდებით კაკას შესაჩერებლად. "შალკესთან" შედარებით, 20 პროცენტით უფრო მეტი უნდა გავილოთ. "მილანის" მსგავსად, ჩვენც სტაბილურობის პრობლემები გვაქვს, თან კანი და ვან ბომელიც დაგვაკლდებიან (ორივე დისკვალიფიცირებულია). ჩვენი მეკარე უეფამ უსამართლოდ დასაჯა, მაგრამ მისთვის კარგი შემცვლელი გვყავს მიხაელ რენზინგის სახით. აი, ჰოლანდიელი ნახევარმცველი კი ძალიან დაგვაკლდება, რადგან ლიდერია, შეუძლია გუნდის გამოღვიძება, დაყვირება და თანაგუნდელების გამხნევება. შეიძლება, დიდი ფანტაზიით არ გამოვირჩევით, მაგრამ ჩვენი ძალა ისაა, რომ დავიბრუნეთ გუნდური ერთიანობა და სულისკვეთება, რაც კარგად გამოჩნდა "რეალთან" და "შალკესთან". "მილანს" მეტი კლასი აქვს, მაგრამ "რეალთან" მიღწეული გამარჯვება იმას მოწმობს, რომ წინასწარ ვერავინ ჩამოგვწერს. მეტიც, შანსები 50 50-ზეა. "მილანი" ძლიერია, მაგრამ ძლიერია "ბაიერნიც". ანჩელოტიმ თქვა, ფინალში "ჩელსის" შევხვდები და შევჩენკოს მოვიკითხავო? მე ვპასუხობ, რომ ლონდონელებს ათენში "ბაიერნი" შეხვდება. ჩვენ გვინდა, რომ მიხაელ ბალაკი მოვიკითხოთ. განწყობა ოპტიმისტური მაქვს, ნახევარფინალში გავალთ".*

ბავარიელები აქამდე კანის დისკვალიფიკაციას აპროტესტებდნენ, გუშინ კი ერთ-ერთი გერმანული სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ ჰაინც რუმენიგემ** მსაჯის გამოც დაიჩივლა. დღევანდელ შეხვედრას რუსი არბიტრი **იური ბასკაკოვი** იმსაჯებს. აი, რა თქვა რუმენიგემ ამასთან დაკავშირებით: *"ჩვენთვის ძალიან უსიამოვნო სიურპრიზი იყო ის, რომ შეხვედრის არბიტრად რუსი, და თან ძალიან გამოუცდელი რუსი დანიშნეს. გასულ წელს სხვა რუსმა დაგვაზარალა (იგულისხმება* ***ვალენტინ ივანოვი****, რომელიც "ბაიერნის" ოფიციალური პირების მტკიცებით, შარშანდელ მერვედფინალში განუწყვეტლივ მილანელთა სასარგებლოდ უსტვენდა. "როსონერიმ" 4:1 მოიგო). იმედია, ამჯერად მაინც არ დავზარალდებით".* ბასკაკოვი შვიდი წელია, ფიფას არბიტრია. ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში მან ოთხი შეხვედრა იმსაჯა.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი:** დიდა, ოდო, ნესტა, მალდინი, იანკულოვსკი, გატუზო, პირლო, ამბროზინი, ზეედორფი, კაკა, ჯილარდინო

**ბაიერნი:** რენზინგი, სანიოლი, ლუსიო, ვან ბიუტენი, ლამი, სალიჰამიჯიჩი, ოტლი, ჰარგრივზი, შვაინშტაიგერი, მაკაი, პოდოლსკი

**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი)

### ეინდჰოვენი–ლივერპული

წყვილის ფავორიტად "ლივერპული" მიიჩნევა, მაგრამ "ეინდჰოვენი" კიდევ ერთი ინგლისური გრანდის დამწუხრებას აპირებს. მერვედფინალში **რონალდ კუმანის** შეგირდებმა ასევე ფავორიტად შერაცხულ "არსენალს" მოუგეს. საგულისხმო დეტალი: ერთი წლის წინ კუმანი "ბენფიკის" მთავარი მწვრთნელი იყო. მან "მანჩესტერ იუნაიტედი" ჯგუფში ჩატოვა, ხოლო მერვედფინალში თავის დღევანდელ მეტოქეს, ჩემპიონთა თასის მფლობელ "ლივერპულს" მოუგო.

"ეინდჰოვენს" საკადრო პრობლემები აქვს. ვერ ითამაშებს ბრაზილიელი ცენტრალური მცველი **ალექსი**, რომლის თავურმა "არსენალთან" ორრაუნდიანი დაპირისპირების ბედი გადაწყვიტა. დაშავებულია კოტდივუარელი თავდამსხმელი **არუნა კონეც**, რომელსაც "მეთოფეებთან" განმეორებითი მატჩის შემდეგ არ უთამაშია. საეჭვოა ახალგაზრდა **იბრაჰიმ აფელეის** ასპარეზობა. ერთი კვირის წინ ამ ბიჭს ჰოლანდიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა, მაგრამ გასულ უქმეებზე "ბრედასთან" (1:1) მატჩისას დაშავდა. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში დაკარგული ორი ქულის გამო, მდევარმა "აიაქსმა" "ეინდჰოვენთან" ჩამორჩენა ორ ქულამდე შეამცირა. გამოცდილ **მიხაელ რაიციგერზე** აღარაფერს ვამბობთ. ის სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

კუმანი: *"ჩვენი გუნდი ოპტიმალური ფორმისაგან შორსაა. ერთი კვირის შუალედით "ლივერპულთან" ორი უმძიმესი მატჩი გველის, მაგრამ უბრძოლველად დათმობას არ ვაპირებთ. ტრავმების გამო ორ ფრონტზე თამაში ძალიან ძნელია."* "ბრედასთან" მატჩში ძირითადში დააყენეს **პატრიკ კლუივერტი**. მას დღესაც სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ.

ამ სეზონში "ლივერპული" "ეინდჰოვენს" ორჯერ შეხვდა. ჯგუფურ ტურნირში ეინდჰოვენური დაპირისპირება უგოლოდ დასრულდა, ლივერპულში კი მასპინძლებმა ორი უპასუხო ბურთი შეაგდეს. პსვ-ს ყველაზე დიდი საფრთხე, შეიძლება, **პიტერ კრაუჩისაგან** დაემუქროს. აყლაყუდა თავდამსხმელმა კარგად დაისვენა (ცხვირის ოპერაციის გამო), შაბათს მოედანს დაუბრუნდა და "არსენალს" უმალ ჰეთ თრიკი უძლვნა. *"პიტერი 20 დღე უსაქმოდ იყო. თამაში და გოლები მონატრებული ჰქონდა,"* - თქვა ბენიტესმა. ესპანელმა არც დაადასტურა და არც უარყო, რომ კრაუჩს ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. *"შაბათს მისი ყველა გოლი ფანტასტიკური იყო. კმაყოფილი ვარ ჩაბი ალონსოსა და ხავიერ მასკერანოს თამაშით. მათ ცენტრი შესანიშნავად გააკონტროლეს. დიდებული გამარჯვება მოვიპოვეთ და ჩემპიონთა ლიგისათვის სათანადოდ განვეწყვეთ."*

"ლივერპულს" ევროსარბიელზე შთამბეჭდავი სეზონი აქვს. მან მხოლოდ ერთი მატჩი წააგო - ჯგუფში "გალათასარაისთან", ისიც იმ დროს, როცა ფლეი ოფში გასვლა გარანტირებული ჰქონდა. ბენიტესმა დაადასტურა, რომ კაპიტანი **სტივ ჯერარდი** მწყობრშია. ის "არსენალთან" მატჩისას, მეორე ტაიმის დასაწყისშივე შეცვალეს. მწვრთნელმა მიზეზად გადაღლილობა დაასახელა.

ჰოლანდიაში გაემგზავრა **კრეიგ ბელამი**. "მეთოფეებთან" არც მას უთამაშია. თავდამსხმელი უელსის ნაკრებში ყოფნისას დაშავდა. სან მარინოსთან მატჩისას ის მეტოქის მეკარეს შეასკდა და კოჭი და ნეკნი დაიზიანა: *"სუნთქვისას მაწუხებს, მაგრამ იმედია, "ეინდჰოვენთან" სათამაშოდ მზად ვიქნები. ეს სეზონი ჩემს კარიერაში საუკეთესოა. ადრე ამ დონეზე არასოდეს მითამაშია."* ბენიტესი ბელამის მდგომარეობას დააკვირდება და გადაწყვეტილებას ბოლო წუთს მიიღებს. კრაუჩის ძირითადში მოხვედრაც ამ გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. მკითხველს შევახსენებთ, რომ ბელამის არყოფნის გამო, "არსენალთან" მატჩისას სენიო რაფამ უკანდახეულ თავდამსხმელად ჯერარდი ათამაშა. შაბათს **სტივ ფინენმა** და **სემი ჰიიპიამაც** დაისვენეს. ისინი გუნდთან ერთად არიან. დისკვალიფიკაციის გამო ჰოლანდიაში **მომო სისოკო** ვერ ითამაშებს. თითო-თითო გაფრთხილება აქვთ **დირკ კუიტსა** და **ჯერმეინ პენანტს**.

რაფა ბენიტესი: *"არ იფიქროთ, რომ ტრავმებით შესუსტებული "ეინდჰოვენი" ნახევარფინალის საგზურს უბრძოლველად დათმობს. წინა რაუნდში მეტოქემ "არსენალი" გამოთიშა, ჰოლანდიის ჩემპიონატს კი ერთპიროვნულად ლიდერობს. მეტოქეს დაცვაში პრობლემები აქვს, მაგრამ ეს ჩვენს საქმეს არ აიოლებს. სავსებით შესაძლებელია, მათ, ვინც წამყვან ფეხბურთელებს შეცვლიან, გაცილებით უკეთ ითამაშონ... ვუყურეთ მათ მატჩს "აიაქსთან". 1:5 მარცხი ნამდვილი შოკი იყო. "ეინდჰოვენმა" სამკაციანი დაცვით ითამაშა და დიდი ანგარიშით წააგო. სხვა დროს მათი შემადგენლობა უფრო დაბალანსებულია ხოლმე, გოლებსაც იშვიათად უშვებენ და ბევრი გააქვთ. რა თქმა უნდა, შეეცდებიან, ჩვენს წინააღმდეგ საუკეთესო თვისებები წარმოაჩინონ."*

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ეინდჰოვენი:** გომესი, კრომკამპი, და კოშტა, ალსიდესი, სალსიდო, აფელეი, მენდესი, სიმონსი, კოკუ, ფარფანი, კლუივერტი.

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, კარაგერი, აგერი, არბელოა, პენანტი, ჯერარდი, ალონსო, რიისე, კრაუჩი, კუიტი.

**მსაჯი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)



სტივ ფინენი ჯეფერსონ ფარფანის წინააღმდეგ ლივერპული-ეინდჰოვენის ჯგუფური ტურნირის მატჩში



კაკა, მილანელთა იმედი ბავარიელებთან მატჩში

მილანი VS ბაიერნი. ინტერვიუ კაკასთან

# ბაიერნს პატივს ვცემთ

## ბრაზილიელის აზრით, მიუნხენური კლუბიდან ყველაზე სახიფათო მაკაია...

**ფუკი ბავარიელები "მილანიდან" ვინმეს უფრთხიან, პირველ რიგში კაკას. მაინც რა იქნებოდა დღევანდელი "მილანი", რიკარდო იზეკსონ დოს სანტოს ლეიტე რომ არ ჰყავდეს? სხვა ბრაზილიელი ფეხბურთელებისგან განსხვავებით, კაკა ღარიბი ოჯახიდან არ არის. ის სან პაულუდანაა და ექიმის შვილი გახლავთ. 2002 წელს "მილანმა" "სან პაულუს" კაკას სანაცვლოდ 7.6 მილიონი ევრო გადაუხადა და მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ "როსონერიმ" ძალიან გარისკა. დღეს კაკას ფასი მინიმუმ ათჯერ მეტია! სხვათა შორის, სანამ "მილანი" კაკასთვის ბრძოლაში ჩაებმებოდა, მისი გადაბირების უპირატესი უფლება ლევერკუზენის "ბაიერს" ჰქონდა, მაგრამ "ფარმაცევტებმა" მსოფლიოს ახალგაზრდა ჩემპიონში დიდი ფულის გადახდა ვერ გაბედეს. ცნობილი გახდა, რომ კაკას "ბაიერნის" სკაუტებიც აკვირდებოდნენ. მიუნხენური კლუბის ვიცე-პრეზიდენტი კარლ-ჰაინც რუმენიგე ამბობს: "20 წლის ასაკში ისე კარგად ვერ თამაშობდა. დღეს კი მისი ყიდვა ფაქტობრივად შეუძლებელია." დღევანდელი მატჩის წინ კაკას გერმანული "ბილდის" კორესპონდენტები გაესაუბრნენ...**

**- ერთი წლის წინ "მილანმა" "ბაიერნი" "სან სიროზე" 4:1 გაანადგურა. განმეორდება იგივე?**

- ის თამაში უკვე ისტორიაა. რა თქმა უნდა, იმედი მაქვს, რომ ისევ სამბურთიანი უპირატესობით მოვიგებთ და საპასუხო მატჩისთვის დიდ უპირატესობას მოვიპოვებთ, მაგრამ "ბაიერნი" ის გუნდია, რომელსაც ზერელედ არასდროს არ უნდა შეხედო. ამ ბოლო დროს ინტერნეტში გერმანულ პრესას ვეცნობი ხოლმე და ხშირად ვკითხულობ, თითქოს ჩვენ, მილანელები ბავარიულ კლუბს ოდნავადაც არ ვუფრთხით. დამიჯერეთ, "მილანი" "ბაიერნს" დიდ პატივს სცემს.

**- მაგრამ "ბაიერნი" ხომ ოლივერ კანის გარეშე ითამაშებს?**

- ოლი გენიალური მეკარეა, ნამდვილი ლიდერი. მისი დისკვალიფიკაცია ჩვენთვის დიდი პლუსია, "ბაიერნისთვის" კი სერიოზული დანაკლისი. მიუხედავად ამისა, სიმართლე გითხრათ, მერჩივნა, რომ ორივე შეხვედრაში ეთამაშა. ასე უფრო სამართლიანი იქნებოდა და თანაც, თუ მოვიგებდით, ჩვენს გამარჯვებასაც უფრო დიდი ფასი დაედებოდა.

**- ბოლოს ლუსიოსთან ერთად ბრაზილიის ნაკრებში იყავით. "ბაიერნის" სისუსტეებზე ხომ არაფერი უთქვამს?**

- (იცინის) ლუსიო და მე კარგი მეგობრები ვართ. ცხადია, რომ ამ თამაშზეც ბევრი ვისაუბრეთ. მაგრამ ასეთ დროს ჩვენ-ჩვენი კლუბების სუსტ მხარეებზე არასდროს ვლაპარაკობთ ხოლმე. მიხარია, რომ უეფამ ლუსიოს დისკვალიფიკაცია არ მიუსაჯა, როგორც გაირკვა, სასჯელი მასაც ემუქრებოდა. ლუსიო მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველია. მისი მოტყუება ფაქტობრივად შეუძლებელია და თუ დამიჯერებთ, ძალიან მინდა, რომ გავაპამპულო. ეს ჩემთვის დამატებითი მოტივაციაა.

**- "ბაიერნის" სისუსტეებს პირადად თქვენ სად ხედავთ?**

- სიმართლე ვთქვა, მე მხოლოდ ჩემი გუნდის სუსტი წერტილები მაინტერესებს. "მილანი" "ბაიერნის" ბარიერს მხოლოდ იმ შემთხვევაში გადალახავს, თუ ორივე შეხვედრაში 100 პროცენტით კონცენტრირებული იქნება. არადა, ბოლო თამაშებში სწორედ რომ კონცენტრაცია გვაკლდა.

**- იტალიის ჩემპიონატში "მილანი" სუსტად გამოიყურება, ისევე, როგორც "ბაიერნი" ბუნდესლიგაში...**

- სწორედ ამიტომ, ჩვენ ჩემპიონთა ლიგას უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამ ტურნირის მოგება "მილანისთვის" უფრო პრიორიტეტული გახდა, ვიდრე სერია A. ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად ძალ-ღონეს არ დავიშურებთ. მაგრამ "ბაიერნიც" ფაქტობრივად ასეთივე სიტუაციაშია და სწორედ ამიტომ, სიფრთხილე გვმართებს. მიუნხენური გუნდიდან ყველაზე მეტად როი მაკაის უნდა ვუფრთხილდეთ, ძალიან სახიფათო კაცია...

**- და ლუკას პოდოლსკი?**

- პოლდი ძალიან კარგი ფეხბურთელია და ძლიერი დარტყმაც აქვს. ისიც მუდმივად ყურადღების ქვეშ უნდა გვყავდეს. ვფიქრობ, პოდოლსკის შეუძლია, დიდი ფეხბურთი ითამაშოს.

**- რას ურჩევდით?**

- თავის თავზე მუშაობა არ უნდა შეწყვიტოს. ყველაფერთან ერთად, მას თანაგუნდელების დახმარებაც ძალიან სჭირდება. რომელიმე ტიტული აუცილებლად უნდა მოიგოს. ჰო, რა თქმა უნდა, არა ამ სეზონში (იცინის).

**- "ბაიერნს" არ ჰყავს კლასიკური გამთამაშებელი, ისეთი, როგორიც თქვენ ხართ...**

- დიახ, ეს ვიცი.

**- ცნობილია, რომ ადრე "ბაიერნის" სკაუტები რეგულარულად გაკვირდებოდნენ. დღესაც, ული ჰიონესი და კარლ-ჰაინც რუმენიგე სწორედ თქვენნაირ მოთამაშეზე ოცნებობენ. "ბაიერნში" გადმოსვლა არ გინდათ?**

- ვიცი, რომ მაკვირდებოდნენ, მაგრამ "ბაიერნს" ჩემი გადაბირება სერიოზულად არასდროს უნდოდა. სხვათა შორის, კინალამ "ლევერკუზენში" ამოვყავი თავი. იმ დროს "ბაიერში" ჩემი მეგობარი ფრანსა თამაშობდა და მეხვეწებოდა, წამოდიო. მაგრამ მერე "მილანიდან" დამიკავშირდნენ და გაცილებით უკეთესი პირობები შემომთავაზეს. რას იზამ, ფეხბურთში ასე ხდება ხოლმე. ნებისმიერ სკაუტს კარგი ყნოსვა უნდა ჰქონდეს - ჩემს შემთხვევაში, "მილანის" სკაუტებს "ბაიერნის" სკაუტებზე უკეთესი ყნოსვა აღმოაჩნდათ. მაშინ 19-20 წლის ვიყავი და ჩემი ფასი არავინ იცოდა. ახლა კი ძალიან ძვირი ვღირვარ (იცინის).

**- თქვენი კალიბრის ფეხბურთელები ბუნდესლიგაში არ გადადიან ხოლმე. რატომ?**

- ნებისმიერ ტოპ-ვარსკვლავს უმაღლეს დონეზე თამაში უნდა. გერმანია ამ მხრივ იტალიას, ესპანეთს და ინგლისს ჩამორჩება. ალბათ სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ მაგალითად, მიხაელ ბალაკი "ბაიერნიდან" "ჩელსიში" გადავიდა. "ჩელსის" აქციები დღეს გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე "ბაიერნისა"...

**- ერთი სიტყვით, კაკას ბუნდესლიგაში ვერასდროს ვიხილავთ?**

- არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ჯერ ხომ ძალიან ახალგაზრდა ვარ.

**- თქვენი სრული სახელია რიკარდო იზეკსონ დოს სანტოს ლეიტე. კაკა რას ნიშნავს და რატომ დაირქვით?**

- ეს ჩემი ძმის დამსახურებაა. როცა პატარები ვიყავით, ჩემს სახელს, რიკარდოს ვერ ამბობდა. ძალიან უჭირდა და რატომლაც კაკა შემარქვა. კაკა, კაკაო, იმეირებდა ხოლმე და ხელებს ჩემსკენ იშვერდა. მას მერე კაკა ვარ.

**- ცოტა ხნის წინ ბრაზილიის ნაკრებში მე-10 ნომერი მიიღეთ - პელეს ნომერი! რონალდინიოს კი 7-იანი უბოძეს. ამ შემთხვევამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია...**

- ბრაზილიის ნაკრებში მე-10 ნომრიანი მაისურით თამაში ჩემთვის უდიდესი პატივია. თავიდან რონალდინიო ხელშეუხებელი იყო და ათნომრიან მაისურას ყოველთვის ის იცვამდა. ახლა კი, მე და რობინიო ვუწევთ კონკურენციას. ისე, სიმართლე გითხრათ, ნომერს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს. აგერ, "მილანში" 22 ნომერი მაქვს და სულაც არ ვჩივი.

**- სპეკულაციების თანახმად, თქვენ "რეალში" ამოყოფთ თავს, რონალდინიო კი "მილანში" გადავა. გაგვარკვიეთ, რა ხდება...**

- "მილანში" რონალდინიოსთან ერთად დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი. ერთმანეთში კარგად ვართ შეთამაშებულები და ძალიან გამიხარდება, თუ ჩვენთან გადმოვა. "მილანთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გავახანგრძლივე და მინდა ყველამ იცოდეს, რომ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე "როსონერიში" ვითამაშებ. მე და ჩემი მეუღლე კაროლინი აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობთ.

**- პატარა კაკა უკვე გზაშია?**

- დიახ, ვფიქრობთ, რომ დროა, შვილი გვყავდეს.

**- სუსტი სქესის წარმომადგენლებში ძალიან პოპულარული ხართ. კაროლინი არ ეჭვიანობს?**

- არა, პირიქით, ძალიან სიამოვნებს, გოგონებს რომ მოვწონვარ. ისე, მას სხვა გზა არც აქვს - ეს ჩემი პროფესიის ნაწილია.

**- როგორ ფიქრობთ, შეუძლია თუ არა "მილანს" ჩემპიონთა ლიგის მოგება?**

- რა თქმა უნდა. და ყველამ იცოდეს, თუ ფინალში გავალთ, მას ისე იოლად აღარ დავთმობთ, როგორც 2005 წელს, "ლივერპულთან". გასულ მუნდიალზე განცდილმა კრახმა კი ის მასწავლა, რომ ფეხბურთში მხოლოდ ტალანტი საკმარისი არ არის...

**გოტფრიდ ლენცი**

მილანი VS ბაიერნი. ინტერვიუ ჰასან სალიჰამიჯიჩთან

# სან სიროზე გავიტან და... იუვეს გავახარებ

## ბოსნიელი იტალიურს სწავლობს და ამბობს, რომ იუვესთვის მზადაა

**ჰასან სალიჰამიჯიჩს წლები ემატება, უკვე 30 წლისაა, მაგრამ დრო მის სისწრაფეს ვერაფერს აკლებს: ისევ ისე და ისევ იმდენს დარბის, როგორც 7-8 წლის წინ. ამ სირბილში ბავარიული კარიერის დასასრულს უახლოვდება და ზაფხულში იტალიაში მიდის. უკვე გააფორმა კონტრაქტი "იუვენტუსთან" და ივლისიდან მას თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდება. "ბრაცო" მეოთხე ბავარიელია, რომელიც მიუნხენიდან ტურინულ გუნდში გადავიდა. ბოსნიელამდე იგივე გზა იურგენ კოლერმა, შტეფან როიტერმა და რობერტ კოვაჩმა გაიარეს. მაგრამ ამის გამო მიუნხენში სალიჰამიჯიჩის მისამართით საყვედური არავის დასცდენია. შაბათს მთელი სტადიონი ფეხზე წამოუდგა და აპლოდისმენტებით აღნიშნა მისი გოლი "შალკეს" კარში. კიდევ უფრო დიდი იყო ოვაცია "ალიანს არენაზე", როცა მაკაისთვის მე-10 წამზე გაკეთებული საგოლე პასით სათავე "რეალის" განადგურებას დაუდო.**

**- რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანო?**

- იღბალი, აგრესიულობა, სიზუსტე. გვინდა, რომ პირველივე წამიდან აგრესიულები ვიყოთ. "რეალთან", როგორც კი მსაჯმა ჩასტვინა, მაშინვე შევუტიე რობერტო კარლოსს, ბურთი მე დამრჩა, ბევრი ვირბინე, ამასობაში მაკაიმაც აჯობა მცველებს და შესაფერის პოზიციაზე დამხვდა.

**- "ბაიერნი" "მილანის" წინააღმდეგაც ასე გააფთრებული დაიწყებს?**

- სურვილი არის. "შალკესთან" სწრაფად გავხსენით ანგარიში. ფანტასტიკური იქნება, თუკი "სან სიროზე" სწრაფ გოლს გავიტანთ, თამაშს ეს სულ სხვა მიმართულებას მისცემს. "მილანი", როგორ ფორმაშიც არ უნდა იყოს, ყოველთვის მაქსიმალურ ყურადღებას იმსახურებს. საინტერესო ბრძოლა იქნება, იმიტომ, რომ ერთმანეთს ვიცნობთ. მინდა, რომ მთელი გატაცებით ვითამაშო, რაც ძალა და ღონე მაქვს, მოედანზე დავტოვო.

**- ალბათ იმიტომაც, რომ ტურნირს მიღმა თუ დარჩით, მინიმუმ კიდევ ერთი სეზონი გავა, სანამ "იუვენტუსთან" ერთად ევროპულ ფეხბურთს დაუბრუნდებით.**



ჰასან სალიჰამიჯიჩისა და მლადენ კრსტაიჩის დუელი ბაიერნი-შალკეს შაბათის მატჩში

- რას იზამ! "იუვენტუსთან" ერთად რაც შეიძლება მალე დავბრუნდები. "იუვეს" საფეხბურთო ელიტაში დაბრუნების იდეა ძალიან მხიბლავს. ამ გუნდში თამაშის გულისთვის ბევრი სერია B-ში დარჩენას დასთანხმდა. კონტრაქტს ხელი ყოველგვარი პირობის გარეშე მოვაწერე, ასე რომ, რომელ სერიაშიც არ უნდა იყოს "ბიანკონერი", მე მასთან ვიქნები. "იუვესთან" ხელმოწერის შემდეგ ბედნიერი და ამაყი ვიყავი. უკვე ვსწავლობ და ცოტ-ცოტას ვლაპარაკობ კიდეც იტალიურად. მოკლედ, მზად ვარ.

**- როგორი ადამიანია "ბრაცო"?**

- ადამიანი, რომელიც სულ კარგ განწყობაზეა და ასი პროცენტით იხარჯება ვარჯიშებზე და თამაშებზე, ყოველთვის ცდილობს, რომ მოუმატოს, არასოდეს ნებდება და ნებისმიერ პოზიციაზე თამაშობს: მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან.

**- კარშიც?**

- არა, ეს ერთადერთი პოზიციაა, სადაც არ ვთამაშობ. ბუფონს შეუძლია, მშვიდად იყოს.

**- შაბათს "შალკეს" გაუტანეთ. იცით, რომ სამშაბათს გოლს "მილანსაც" თუ გაუტანთ, მაშინვე "იუვენტუსის" ტიფოზების კერპად იქცევით?**

- მართლა? გამოდის, რომ ერთი გოლით ორ საქმეს გავაკეთებ: "ბაიერნის" გულშემატკივარსაც დავაკმაყოფილებ და "იუვეს" ტიფოზებსაც. მშვენიერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილანი VS ბაიერნი არიგო საკის თვალით

# ბავარიელების წინააღმდეგ ცოტაა ერთი ფორვარდი

## სახელგანთქმული მწვრთნელი ყოფილ გუნდს ბაიერნთან გამარჯვების რეცეპტს აძლევს



არიგო საკი

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალები კარს მოგვადგა. სამშაბათს "მილანის" ჯერია. მეტოქე მიუნხენის "ბაიერნია", დიდი სახელისა და ტრადიციების გუნდი. "როსონერის" ევროპაში საკმაოდ გაუმართლა (მერვედფინალში "სელტიკს" შეხვდა), თუკი საერთოდ შეიძლება ამ დონის ფეხბურთში გამართლებაზე საუბარი. ბავარიელებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტურნირში ყოველთვის ერთ-ერთი მთავარი გმირის როლს ასრულებენ, ეს წელიწადი მაინც გარდამავალი წელიწადია. შეჩვეულები ვართ იმას, რომ "ბაიერნი" საკუთარ ჩემპიონატში ყოველთვის დომინირებს, მაგრამ წელს გუნდს მხოლოდ მეოთხე ადგილი უკავია, მიუხედავად იმისა, რომ შაბათს ლიდერ "შალკეს" მნიშვნელოვანი შეხვედრა მოუგო. "სან სიროზე" ორი ისეთი გუნდი თამაშობს, რომელთაგანაც არცერთი არ არის საუკეთესო ფორმაში. ამ სეზონში ვერც "მილანი" ბრწყინავს. თუმცა ბოლო დროს ორივე გუნდი გამოღვიძების ნიშნებს იძლევა. ასეთ სიტუაციებში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ნამდვილი ფავორიტი ამ წყვილში არ არსებობს. **ანჩელოტის** გუნდის მხარეს არის ტრადიცია, უფრო მაღალი ინდივიდუალიზმი, სათამაშო ფანტაზია და ბურთის ფლობა. სამაგიეროდ, "ბაიერნის" უპირატესობა ისაა, რომ ფიზიკურად უფრო ძლიერი და სწრაფია და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, განმეორებით შეხვედრას შინ თამაშობს. ამ მომენტში "ბაიერნი" უფრო მეტად არის ტონუსში, ვიდრე "მილანი", თუმცა გასვლით თამაშებში ეს გუნდი ყოველთვის ნაკლებად დამაჯერებელია.

რის ხარჯზე შეუძლია "მილანს", რომ გერმანელები ტაქტიკურ გალიაში გამოამწყვდიოს? განვიხილოთ. დიდია ალბათობა, რომ "როსონერი" 4-3-2-1 ან 4-4-1-1 სქემით ითამაშებს, "ბაიერნი" კი 4-4-2-ით ან 4-4-1-1-ით. ორივე გუნდს ერთმანეთის შიში აქვს, იციან, რომ საუკეთესო ფორმაში არ არიან, ამიტომ შეიძლება, კეთილგონიერებამ "გაიმარჯვოს" და ორივე თითო თავდამსხმელით წარდგეს. "მილანისთვის" ეს შეიძლება, შეცდომა აღმოჩნდეს: მხოლოდ ერთი ფორვარდით თავდასხმის ხაზს ვერ შექმნი. ამასთან, ბოლო დროს გამოჩნდა, რომ ანჩელოტის ნახევარმცველებს უჭირთ ფორვარდებისთვის სათანადო დახმარების გაწევა. ასეთი სქემით თამაში დიდ პრობლემებს ვერ შეუქმნის იმ დაცვას, რომელიც, სხვათა შორის, ტაქტიკურად არცთუ იდეალურია და რომლის ცენტრშიც თამაშობენ **ლუსიო და ვან ბუიტენი** - ორი საკმაოდ ზანტი მცველი. თუმცა ერთით მეტი ნახევარმცველის (ერთით ნაკლები თავდამსხმელის ხარჯზე) გამოყვანას შეუძლია, რომ "როსონერის" ბურთის ფლობაში დაეხმაროს, რაც თავის მხრივ მოედნის ცენტრში უპირატესობის მოპოვებით უნდა დასრულდეს. ცენტრის მოგება კი იმას ნიშნავს, რომ მეტოქეს სასურველ რიტმში თამაშის საშუალებას უსპობ. ასე რომ, არის ეს ორი ვარიანტი. თუ რომელი იქნება მათგან უფრო ხელსაყრელი, ამაზე ანჩელოტიმ უნდა იფიქროს.

"ბაიერნის" ფეხბურთელებს დიდი გამოცდილება აქვთ, მაგრამ ტაქტიკურად ყოველთვის ორგანიზებულები არ არიან. მათი პრესინგი უფრო მეტად ფიზიკური სიძლიერიდან და აგრესიულობიდან მოდის. მათი პასები, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეტოქე დაცვაში ღრმად იხევს, ყოველთვის ზუსტი არ არის. პერსონალურ მეურვეობაზე გადასვლისას ფეხბურთელები ხშირად აგვიანებენ. **ჰიტცფელდის** გუნდი მოედანზე ყოველთვის შეკრული და მიზანდასახული არაა, მაგრამ "შალკესთან" სწორედ ასეთი იყო. თუკი მეტოქის ერთი ფორვარდი საჯარიმოს სიღრმეში მოქმედებს, ყველა მას მისდევს, რითაც მის პარტნიორს საშუალება ეძლევა, რომ ბურთი თავისუფლად მიიღოს. გერმანელებს დიდი პრობლემები აქვთ, როცა მოწინააღმდეგე სისწრაფეს, სისხარტეს, ფინტებსა და, ზოგადად, ლაღ ფეხბურთს უპირისპირებს. თუ "მილანი" ცოტას იმოძრავებს, ბავარიელების უკეთესი ფიზიკური მომზადება გადაწონის. მილანელებმა ბურთი ფეხში ნაკლებად უნდა გაიჩერონ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თითო კაცზე ორი ბავარიელი გაჩნდება. გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება გერმანელების ხასიათი – მტკიცე და შეუვალი. ტექნიკურად ძალიან ძლიერები არ არიან და თუ ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად აგრესიულობას, მჭიდრო მეურვეობასა და პრესინგსაც დაუპირისპირებ, ძალიან გაუჭირდებათ.

შეტევის ფაზაში "მილანმა" ბურთი უნდა აკონტროლოს, მაგრამ სისწრაფეში. უბურთოდ გამუდმებული მოძრაობა აუცილებელი იქნება იმისთვის, რომ მეტოქის დაცვის ხაზი მაქსიმალურად გაწელო და სივრცეები გაახსნევინო. თუ ეს პირობა შესრულდა, დანარჩენს კაკა და კომპანია მიხედავს. "მილანი" ასევე ფრთხილად უნდა იყოს, რომ შეტევებისას რგოლებს შორის ბალანსი არ დაერღვეს, რადგან კონტრშეტევებზე "ბაიერნი" ძალიან სახიფათოა. ამ დროს განსაკუთრებულ ხიფათს მაკაი წარმოადგენს, რადგან ჰოლანდიელს მეურვისგან დასხლტომისა და სიღრმეში გახსნის საოცარი ნიჭი აქვს. "შავ-წითლებმა" დიდი თამაში უნდა ჩაატარონ, დაკვირვებით და ურთიერთშეთანხმებულად. დაცვაში მეტოქეზე უფრო ორგანიზებული თამაში, სისწრაფე, ბურთის სწრაფი გათამაშება, შეტევის მიმართულების ხშირი ცვლა, ცარიელი სივრცეების გამოყენება – ეს ყველაფერი გადამწყვეტი იქნება გამარჯვებისთვის. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია მჭიდრო მეურვეობა, რასაც მიუნხენელი ფეხბურთელები მიჩვეულები არ არიან. "ბაიერნი" სტანდარტული მდგომარეობების დროსაც ძალზე სახიფათოა, განსაკუთრებით ფლანგებიდან ჩაწოდებული საჯარიმოებისა და კუთხურების დროს, როცა შეტევაში ტანმაღალი ლუსიო და ვან ბუიტენი ერთვებიან. გერმანელებს არ უნდა მიეცეთ დიდი სივრცეები, სადაც ტექნიკა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ძალა და სისწრაფე. მეჩვენება, რომ "ბაიერნიდან" დღეს საუკეთესო ფორმაში ლუსიო, ლამი, სალიჰამიჯიჩი და მაკაი არიან. ერთი სიტყვით, "მილანს" იმედი უნდა ჰქონდეს და ბოლომდე სჯეროდეს საკუთარი ფეხბურთისა და საკუთარი ტაქტიკური შესაძლებლობების. თუ ანჩელოტის გუნდი ერთ მუშტად შეიკვრება და მაღალ ტემპში ითამაშებს, შედეგი მის მხარეს იქნება.

**არიგო საკი**
გაძეტა დელო სპორტი



შარშანდელი მილანი ბაიერნი და მიუნხენელთა რისხვა ფილიპო ინძაგი

იუვენტუსი. ტრანსფერები

# პალადინო 13 მილიონად

## ალექსი და მოსალოდნელი არგენტინული გარიგებები, გაისად ფრინგსი ტურინში ითამაშებს...

"იუვენტუსმა" "მანჩესტერ იუნაიტედს" **რაფაელე პალადინოს** სანაცვლოდ 13 მილიონი გირვანქა მოსთხოვა. ეს ბიჭი მიმდინარე სეზონის აღმოჩენაა. მან ევროპული გრანდების ყურადღება მიიპყრო. ტურინელებს ყმაწვილთან გამოთხოვება არ სურთ, მაგრამ ხელშეუხებელი არავინაა. "ბებერი ქალბატონი" თინეიჯერისათვის მეტისმეტად მაღალი თანხის მოთხოვნით ცდილობს დაინტერესებული კლუბების ჩამოცილებას.

"იუვე" "ჩელსის" გადაწყვეტილებასაც ელოდება. ყიდულობს თუ არა "არისტოკრატთა" გუნდი "ეინდჰოვენის" მცველ **ალექსს**? ლონდონელებს ფეხბურთელზე პირველი არჩევანის უფლება აქვთ. თუ ისინი საქმიდან გავლენ, პსვ-ს "ქალბატონი" დაურეკავს.

ტურინელებმა დაადასტურეს, რომ "პალერმოს" მცველი **ანდრეა ბარძალი** სურთ. ეს ბიჭი სხვა იტალიური კლუბების რადარებზეც მოხვდა. "ტუტოსპორტის" ცნობით, "იუვე" სიცილიელებს ყველაზე სარფიან გარიგებას შესთავაზებს. თანხის გარდა, გათვალისწინებულია **ფაბრიციო მიკოლის** დათმობაც. შეგახსენებთ, თავდამსხმელი იჯარით "ბენფიკაში" თამაშობს, საიჯარო ხელშეკრულება კი ივნისში უმთავრდება.

იმავე "ტუტოსპორტში" ვკითხულობთ, რომ შედეგიანად დასრულდა მოლაპარაკებები "იუვესა" და "ვერდერს" შორის. გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი კარიერას ტურინში გააგრძელებს. ბრემენის "ვერდერი" 9 მილიონი ევროთი გამდიდრდება. ტორსტენს ტურინში წლიურად 2.3 მილიონ ევროს გადაუხდიან.

და კიდევ, "ქალბატონი" არგენტინული ტრანსფერებისთვის ემზადება. ცნობილია **ხავიერ სავიოლათი** "იუვეს" დაინტერესების შესახებ, მაგრამ ის ერთადერთი სასურველი არგენტინელი არ არის. ტურინელები "სარაგოსაში" მოთამაშე ძმების, **დიეგო და გაბრიელ მილიტოებს** საკითხებსაც განიხილავენ. მათი ყურადღება მიიპყრეს ემპოლელმა ნახევარმცველმა **სერხიო ალმირონმა** და ატალანტელმა მცველმა **ხოსე ტალამონტიმ**. "ატალანტა"-"სიენის" მატჩს "იუვეს" ემისარი **ჯანლუკა პესოტო** დაესწრო. მას სწორედ ტალამონტიზე დაკვირვება ჰქონდა დავალებული.



ტორსტენ ფრინგსი ტურინში წასასვლელად ემზადება

ახალი იდეები

# თასის მფლობელები ჩემპიონთა ლიგაში?

## ევროტურნირების ფორმატის შეცვლაზე უეფას სტრატეგიული კომიტეტი იმსჯელებს...

2009 წლიდან ეროვნული თასის მფლობელმა გუნდებმა, შეიძლება, ჩემპიონთა ლიგაში ითამაშონ. უეფა ფორმატის შეცვლას აპირებს და ერთ-ერთ ვარიანტად ამასაც განიხილავს. მაგრამ როგორ მოხვდება თასის მფლობელი ლიგაში? ერთი ვარიანტია, რომ სეზონის ბოლოს ჩატარდება ფლეი ოფი სათასო ტურნირში გამარჯვებულსა და ჩემპიონატში ერთ-ერთ უმაღლეს საფეხურზე გასულ გუნდს შორის. მეორე ვარიანტია, რომ თასის მფლობელი ლიგის ავტომატური საგზურით დაჯილდოვდეს. იდეას უეფას ახლადშექმნილი სტრატეგიული კომიტეტი შეაფასებს. მასში შევლენ ფეხბურთელთა პროფკავშირის, ეროვნული ლიგებისა და კლუბების წარმომადგენლები. ამავე კომიტეტს განსახილველად გადაეცემა უეფას პრეზიდენტ **მიშელ პლატინის** იდეა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნებიდან ჩემპიონთა ლიგაში მონაწილე გუნდების რაოდენობის შემცირების შესახებ.

## მარადონა: კიდევ ერთი კვირა საავადმყოფოში

**დიეგო მარადონა** საავადმყოფოში კიდევ ერთ კვირას გაატარებს. ეს ინფორმაცია მისმა ექიმმა **ალფრედო კაემ** გაავრცელა. ლეგენდა კლინიკაში გასულ უქმეებზე, ზომაზე მეტი ალკოჰოლის, საკვებისა და სიგარეტის მოხმარების გამო გადაიყვანეს. საფუძვლიანმა გამოკვლევამ მარადონას ღვიძლში ცვლილებები აღმოაჩინა. კაეს მტკიცებით, ცვლილებები ჯანმრთელობისთვის საზიანო არ არის. სწორი მკურნალობის შემთხვევაში, ღვიძლის ფუნქციების ნორმალიზება მაქსიმალურად მოკლე დროში შეიძლება. ექიმის განცხადებით, კვლავ დღის წესრიგში დგას მარადონას შვეიცარიაში გამგზავრება, მას შემდეგ, რაც ის მკურნალობის პირველ ეტაპს სამშობლოში დაასრულებს.

## მესინას ახალი ძველი მწვრთნელი

ორშაბათს "მესინამ" მთავარი მწვრთნელი **ალბერტო კავაზინი** დაითხოვა. მისი ადგილი იმ **ბრუნო ჯორდანომ** დაიკავა, რომელსაც იანვარში კარისკენ მიუთითეს - სწორედ იმიტომ, რომ კავაზინი მიეწვიათ. ჯორდანოს გაშვებისა და ხელახლა დანიშვნის იდეა პრეზიდენტ **პიეტრო ფრანცას** ეკუთვნოდა. ეს პატივცემული სენიორი "კალიარისთან" 0:2 დამარცხებამ ისე შეაშფოთა, რომ პატივმოყვარეობა გვერდზე გადადო და შერისხული სპეციალისტის ტელეფონის ნომერი აკრიფა. კავაზინიმ "მესინაში" რვა თამაში ჩაატარა და მხოლოდ რვა ქულა (ორი გამარჯვება და ორი ფრე) მოიპოვა.

ბაიერნი

# ნუთუ, ოლივერს ყველაფერი ეპატიება?

## შალკელები თავს დაჩაგრულად გრძნობენ, ასეთი საქციელისთვის ნებისმიერ ჩვენგანს გააძევებდნენო...


კანი და ლარსენი

ბევრი ლაპარაკი არ სჭირდება იმას, რომ ბუნდესლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელთაგან ყველაზე წონადი ფიგურა **ოლივერ კანია**. "ბაიერნის" 37 წლის მეკარესა და კაპიტანს გერმანიაში ყველა პატივს სცემს და ასე განსაჯეთ, ბევრს მისი ეშინია კიდეც. ოლივერი ფიგურაა, ფიგურებს კი ხშირად ბევრი რამ ეპატიებათ ხოლმე. კანს შაბათსაც აპატიეს არასპორტული საქციელი - გუშინდელ ნომერში დაწვრილებით ვწერდით, რაც მოხდა "ბაიერნისა" და "შალკეს" დაპირისპირების დროს, მატჩის 61-ე წუთზე (განრისხებულმა ოლიმ "შალკეს" ფორვარდ **სიორენ ლარსენს** ვაჟკაცურად მოსდო და მინდორზე გაშხლართა), რისთვისაც თამაშის მთავარმა არბიტრმა **ჰერბერტ ფანდელმა** მას მხოლოდ ყვითელი ბარათი უჩვენა. არადა, ყველამ დაინახა, რომ ეს არასპორტული საქციელი იყო, რისთვისაც მოთამაშეები ჩვეულებისამებრ წითელ ბარათს იღებენ ხოლმე. არცაა გასაკვირი, ამ ფაქტს გერმანიაში დიდი გამოხმაურება რომ მოჰყვა.

ყველაფერთან ერთად ისიც აღსანიშნავია, რომ ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა კანი აშავებს და გაძევებას იმსახურებს, მაგრამ მსაჯები ინდობენ. სწორედ ამის გამოა, "შალკელები" თავს დაჩაგრულად რომ გრძნობენ და ფანდელს კანის დანდობაში რომ ადანაშაულებენ. შესაბამისად, ისმის კითხვა: რატომ არ გააძევა ფანდელმა "ტიტანი"? გელზენკირხენული კლუბის მთავარი მწვრთნელი **მირკო სლომკა** პირდაპირ ამბობს, რომ ასეთი საქციელისთვის "შალკეს" ნებისმიერი ფეხბურთელი მყისვე წითელ ბარათს მიიღებდა. აი, რას ამბობს **ლევან კობიაშვილის** მწვრთნელი სიტყვა-სიტყვით: *"მაგალითად, ასეთი რამ მანუელ ნოიერს რომ ჩაედინა, ფანდელი არც დაფიქრდებოდა, ისე აუფრიალებდა წითელ ბარათს. მაგრამ ეს კანია, "ბაიერნის" კაპიტანი! მიუნხენურ კლუბს ყოველთვის ჰქონდა და ექნება გარკვეული ბონუსი და ამას ვერსად გავექცევით. "ბაიერნმა" ეს ბონუსი წლების განმავლობაში ბატონობით მოიპოვა. და ასეთივე ბონუსით სარგებლობს თვითონ კანიც."*

ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა თვითონ მსაჯსაც მოსთხოვეს ახსნა-განმარტებები. ფანდელი: *"ჩემი აზრით, კანს დარტყმა არ უნდოდა და არც უცდია. ესეც არ იყოს, ოლი განერვიულებული იყო, რადგან მანამდე ლარსენი შეასკდა."* "შალკეს" მენეჯერ **ანდრეას მიულერისთვის** ასეთი ალიბი სასაცილოა: *"ეს იყო დაცინვა! ფანდელი "შალკეს" შეურაცხყოფას აყენებს. ასეთივე საქციელისთვის ლინკოლნმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, კანს კი მხოლოდ ყვითელი ბარათი აკმარეს. ფანდელს ვაჟკაცობა არ ეყო, რომ ოლივერი მოედნიდან გაეძევებინა. ამაზე თვალს არავინ დახუჭავს! "ბაიერნელებს", რატომღაც, ბევრ რამეს პატიობენ ხოლმე!"*

აღსანიშნავია, რომ კანის გამართლება თვით **ფრანც ბეკენბაუერსაც** კი არ უცდია. მეტიც, ბავარიული გრანდის პრეზიდენტმა ოლიზე გაილაშქრა: *"ასე არცერთი ფეხბურთელი არ უნდა იქცეოდეს! ფეხბურთი არ არის კრივი! არ ვიცი, რატომაა ოლი ბოლო დროს ასეთი აგრესიული."*

ოლივერს ბუნდესლიგაში წითელი ბარათი სულ სამჯერ აქვს მიღებული. ერთხელ სიბრაზისგან ბურთი ტრიბუნებისკენ გაგზავნა და ამის გამო მეორე ყვითელი და შესაბამისად, წითელი ამოუღეს, ერთხელ საჯარიმოს გარეთ განგებ ითამაშა ხელით, ერთხელ კი არასპორტული საქციელისთვის დაიფრინეს. დააკვირდით, არასპორტული საქციელისთვის ოლი მხოლოდ ერთხელ გააძევეს, არადა, ფეარ პლეის პრინციპები ძალიან ხშირად დაურღვევია. ის შემთხვევა 1996 წელს დაფიქსირდა - კანი იმიტომ გააძევეს, რომ "მიუნხენ 1860"-ის ფორვარდ **ოლაფ ბოდენს** მუხლი ჩაარტყა. ახლა კი გავიხსენოთ შემთხვევები, როცა კანი დაუსჯელი დარჩა.

1999 წლის 3 აპრილი. დორტმუნდის "ბორუსიასთან" მატჩის დროს, რომელიც 2:2 დასრულდა, კანმა BVB-ს ფორვარდ **ჰაიკო ჰერლიხს** უკბინა (?!), რის შემდეგაც თქვა, მინდოდა, მისთვის აგრესიულად მეჩვენებინა, რომ ჩემს კარში გოლის გატანას ვერ ეღირსებოდაო. საკვირველი ისაა, რომ ამისთვის კანს ყვითელი ბარათიც კი არ მისცეს. იმავე შეხვედრაში ოლიმ კუნგფუს ილეთი ჩაუტარა დორტმუნდის მეორე თავდამსხმელ **სტეფან შაპუიზას**. მართალია, ფეხი ვერ მოარტყა, მაგრამ გაძევებას მაინც იმსახურებდა, რადგან ყველამ დაინახა, რომ შვეიცარიელი თავდამსხმელის აყირავებას ლამობდა. მიუხედავად ამისა, ოლის ყვითელი ბარათიც კი არ მისცეს!

2002 წლის 28 სექტემბერს, ლევერკუზენის "ბაიერთან" მატჩის დროს ("ბაიერნმა" ის თამაში 1:2 წააგო და იმხანად "ფარმაცევტებს" **კლაუს ტოპმიოლერი** წვრთნიდა), კანი **თომას ბრდარიჩს** კისერში სწვდა და მოუგრიხა, რისთვისაც მხოლოდ გაფრთხილება აკმარეს. მატჩის შემდეგ ბრდარიჩი ამბობდა, მეგონა, მოკვლას მიპირებდა და მართლა ძალიან შემეშინდაო. მოგვიანებით, 2004 წლის 2 ოქტომბერს კი, "ვერდერთან" შეხვედრის დროს, **მიროსლავ კლოზეს** სწვდა ცხვირში. ოლი ამ შემთხვევაშიც დაუსჯელი დარჩა - მსაჯისგან მხოლოდ გაფრთხილება მიიღო.


კანი და კლოზე

*"მოკლედ, ისეთი სიტუაციაა, რომ კანმა რაც არ უნდა დააშავოს, არაფერი მოხდება,"* - ასეთ ფრაზას ისვრის "შალკეს" კაპიტანი **მარსელო ბორდონი**, რომელსაც შაბათის მატჩის შემდეგ **ჰასან სალიჰამიჯიჩი** და თვითონ კანი საქმეს ურჩევდნენ და რომ არა სლომკა, რომელმაც ისინი გააშველა, შესაძლოა, კამათი ჩხუბში გადაზრდილიყო. "ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰიონესი** მიიჩნევს, რომ ოლის საქციელი ჩვეულებრივი რეფლექსი იყო და რომ "ტიტანი" გაძევებას არ იმსახურებდა. ფანების უმრავლესობა სხვაგვარად ფიქრობს...

### კანი: გადავაჭარბე, მაგრამ მიზეზი მქონდა!

**- ჰერ კან, თქვენ და ლარსენი - რა მოხდა შაბათს?**

- საჰაერო ორთაბრძოლისას "შალკეს" თავდამსხმელისგან ძლიერი დარტყმები მივიღე, ყველა მხრიდან რაღაც მომხვდა. საკმაოდ მტკივნეული დარტყმები მომაყენა და ამიტომაც გავბრაზდი. არ უარვყოფ, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი და გადავაჭარბე, მაგრამ მიზეზი მქონდა. თანაც, მისთვის დარტყმა არ მინდოდა და არც მიცდია. მსაჯმა სავსებით სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო და მხოლოდ გამაფრთხილა. წითელ ბარათს არ ვიმსახურებდი.

**- ფრანც ბეკენბაუერმა თქვა, აუცილებლად გაძევებას იმსახურებდაო...**

- ამ დისკუსიაში ჩართვას არ ვაპირებ. ფეხბურთში ხშირია ასეთი შემთხვევები. ვისაც ფეხბურთი უთამაშია, ისიც უნდა იცოდეს, რომ მატჩის დროს ყველა დაძაბული და ნერვებდაწყვეტილია.

**- ეს არ არის პირველი შემთხვევა. ასეთი რამ ყოველთვის თქვენ რატომ გემართებათ?**

- მაინც რა გინდათ, რომ მითხრათ? ბუნდესლიგაში 500-ზე მეტი თამაში მაქვს ჩატარებული, ჩემპიონთა ლიგაში კი 100-ზე მეტი. თუკი ნახავთ, როგორც მოვიქეცი საბოლოო ჯამში, დარწმუნდებით, რომ გაძევებას არ ვიმსახურებდი. ჰო, ასეთი რამ არ უნდა ჩავიდინო. მაგრამ ახლა დაფიქრდით, მაგალითად, იქნებ მეც არ მომწონს, როგორ იქცევით თქვენს სამსახურში?

გოტფრიდ ლენცი


კანი შაპუიზას, ჰერლიხსა და ბრდარიჩის წინააღმდეგ

### ვიდიჩის ოთხი ან ხუთი კვირა

**ნემანია ვიდიჩს** ლავიწის ძვალი აქვს გატეხილი. ის "ბლეკბერნთან" შაბათის მატჩში დაშავდა (4:1) და თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო. ექიმების ვარაუდით, სერბ მცველს ოთხი-ხუთი კვირა გაუცდება. "იუნაიტედს" დაცვაში პრობლემები აქვს. დაშავებულები არიან **გარი ნევილი** და **მიკაელ სილვესტრიც**. ვიდიჩის გასვლის შემდეგ **სერ ალექს ფერგიუსონმა** უკანა ხაზში კორექტივები შეიტანა. მან მარჯვენა ფლანგზე, ნევილის ნაცვლად მოთამაშე **ვესლი ბრაუნი** ცენტრში, **რიო ფერდინანდს** შეუწყვილა, ხოლო მარჯვნივ **ჯონ ოში** გამოიყვანა. "რომასთან" ხვალინდელ მატჩში, შესაძლოა, ასეთი განლაგება ვიხილოთ: ცენტრში ფერდინანდის გვერდით მარცხენა მცველი **გაბრიელ ჰაინცე**, ხოლო მარცხნივ ოში ან **პატრის ევრა**.

### ლემპარდის ახალი კონტრაქტი

**ფრენკ ლემპარდი** "ჩელსისთან" ახალ ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთელს 30 მილიონ გირვანქას გადაუხდიან. ლონდონელებს იმედი აქვთ, რომ ეს ინფორმაცია წერტილს დაუსვამს გაუთავებელ სპეკულაციებს ლემპარდის მოსალოდნელი აბარგების შესახებ. ინგლისელ ვარსკვლავს ესპანურ და იტალიურ გრანდებში გადასვლას უწინასწარმეტყველებენ. "მირორის" ცნობით, 25 წლის ნახევარმცველი კვირაში 120 ათას გირვანქას მიიღებს. ეს 25 ათასით აღემატება ფეხბურთელის დღევანდელ ხელფასს.

დანიშვნა

# აბეტე, კალჩოს ახალი ბოსი

## 18 აპრილს უეფა ევრო 2012-ის მასპინძელს დაასახელებს. იტალიას?

**ჯანკარლო აბეტე** იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტია. თითქმის ათი თვის განმავლობაში საგანგებო კომისრებისგან მართული ფედერკალჩო ნორმალურ რეჟიმს დაუბრუნდა. გუშინ რომში ფედერალურმა ასამბლეამ აბეტე ხმათა დიდი უმრავლესობით აირჩია: 266 ხმა 5-ის წინააღმდეგ. სანამ "კალჩოპოლის" სკანდალი მოხდებოდა, აბეტეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა ეკავა, მსოფლიო ჩემპიონატის დროს კი იტალიის სანაკრებო დელეგაციის ხელმძღვანელი იყო. *"მადლობა იმ ნდობისთვის, რომელიც მე გამომიცხადეთ. გარანტიას გაძლევთ, რომ ვეცდები, ვიყო ყველას პრეზიდენტი. ამიერიდან მხოლოდ მომავალზე უნდა ვიფიქროთ და არ უნდა გვქონდეს წარსულის შიში. ღირებულებები და კანონები მნიშვნელოვანია, მაგრამ ფეხბურთი მონსტრად არ უნდა წარმოვაჩინოთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ სპორტის ეს სახეობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვან სიმდიდრეს წარმოადგენს ფინანსური თვალსაზრისითაც"*, - განაცხადა აბეტემ პრეზიდენტად არჩევის შემდეგ. ახალ პრეზიდენტს პირველი დიდი გამოწვევა 18 აპრილს ელის, როცა უეფამ კარდიფში ევრო 2012-ის მასპინძელი ქვეყანა უნდა დაასახელოს. იტალია კი დიდი ფავორიტია. მისი კონკურენტები პოლონეთი-უკრაინა და უნგრეთი-ხორვატია არიან. *"კარდიფის გადაწყვეტილება ძალიან მნიშვნელოვანია. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა მთელ ქვეყანას დიდ სიკეთეს მოუტანდა. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ამ ბრძოლაში გავიმარჯვოთ"*, – თქვა აბეტემ.


სელტა-რეალი. ფერნანდო გახო ორი გალისიელის გარემოცვაში

სელტა

# რეალთან ნაგება მსაჯის ბრალია

## ვიგოელები ფედერაციაში სარჩელს შეიტანენ

"სელტისა" და "რეალის" საკვირაო დაპირისპირებას ესპანურ საფეხბურთო წრეებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. სამეფო კლუბის თავგადაკლულმა ფანმა ჟურნალისტებმა (!) ერთხმად აღიარეს, რომ **ფაბიო კაპელოს** ბიჭებმა დაუმსახურებლად გაიმარჯვეს. ისინი მხოლოდ ვიგოელთა უპირატესობაზე აპელირებდნენ, თუმცა მსაჯის მიერ დაშვებულ შეცდომებზე სიტყვაც არ დაუძრავთ. აი, თავად "სელტის" პრეზიდენტი, **კარლოს მოურინიო** კი წაგებას თემიდის მიზანმიმართული მავნებლური მოქმედებით ხსნის: *"თუ ჩვენი გუნდის პრიმერა დივიზიონში ყოფნა არ სურთ, პირდაპირ გვითხრან. ის, რაც ალფონსო პერს ბურულმა გააკეთა, ყაჩაღობაა და სხვა არაფერი. სამეფო კლუბის საუკეთესო ფეხბურთელად სწორედ სენიორ ბურული მოგვევლინა. თითქმის ყველა საკამათო ეპიზოდი სტუმართა სასარგებლოდ გადაწყვიტა. გარდა ამისა, ის დაუმსახურებლად და უსამართლოდ გვსჯიდა. გადავწყვიტეთ, სამეფო ფედერაციაში სარჩელი შევიტანოთ. ბავშვები არ ვართ და წინასწარვე ვიცით, რომ ისინი საკუთარ თავს არ დასჯიან. მიუხედავად ამისა, სარჩელის შეტანას მაინც აუცილებლად მივიჩნევთ. ფედერაციაში ეცოდინებათ, რომ ბრმები არ ვართ."*

სამსაჯო კომიტეტიდან სენიორ მოურინიოს არავინ გამოხმაურებია. აღსანიშნავია, რომ მსაჯის შეცდომებზე ფაბიო კაპელომაც ისაუბრა და აღნიშნა, პერეს ბურული მიუკერძოებელი გახლდათო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# რონალდინიო კამპ ნოუზე დარჩება

## ბრაზილიელის აგენტი კატალონიური გრანდის ხელმძღვანელებს შეხვდა და კონტრაქტის გახანგრძლივებაზე სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია

თუ "ბარსელონა" მომაკვდინებელ შეცდომას არ დაუშვებს და ბოლო მომენტში გაუთვალისწინებელი პრობლემები არ წარმოიქმნება, **რონალდინიო** კატალონიურ გრანდში კიდევ მრავალ წელს გაატარებს. ბრაზილიელი ფორვარდის ძმა ბარსელონაში იმყოფებოდა. იქ ის კლუბის ეკონომიკური საკითხების გამგებელ, ვიცეპრეზიდენტ **ფერან სორიანოსა** და გენერალურ დირექტორს, **ჩიკი ბეგირისტაინს** შეხვდა. მოლაპარაკებებზე მხარეები სიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ უახლოეს დღეებში კონტრაქტის გახანგრძლივებასა და მისი პირობების მნიშვნელოვნად გაუმჯობესებაზე იმსჯელებენ. აღსანიშნავია, რომ საქმის მკვდარი წერტილიდან დაძვრა სენიორ სორიანოს გასაოცარი თვისებების დამსახურებაა. ხშირად აღუნიშნავთ, რომ "ბარსას" ვიცეპრეზიდენტს ურთულესი მოლაპარაკებების წარმატებით წარმოების ფანტასტიკური უნარი გამოარჩევს. თითქოს, ეს თვისება მას ღმერთისგან აქვს ნაბოძები. მიმომხილველები შიშობდნენ, რომ სირთულეს რონალდინიოს კომერციული საქმიანობის საკითხების გარკვევა წარმოქმნიდა, მაგრამ სკეპტიკური ვარაუდი არ გამართლდა. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე არანაირი წინაპირობა არ არსებობს, რომ მხარეები ჩიხში მოექცნენ.

ვიცეპრეზიდენტს რონალდინიოს მრავალმილიონიანი კომერციული საქმიანობის წილზე სიტყვაც კი არ დაუძრავს. გაუჩო უწინდებურად მთელ ფულს თავად ჩაიჯიბავს. სენიორ სორიანომ რობერტო დე ასის მხოლოდ ერთი ნოვაციით მიმართა. "ბარსელონა" წილს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოითხოვს, თუ რომელიმე სარეკლამო კამპანია კლუბის ხელმძღვანელობის მიერ იქნება ორგანიზებული. თუ კატალონიური გიგანტის მარკეტინგის დეპარტამენტი რომელიმე მსხვილი კომპანიის დაკვეთას მოიპოვებს და ეს კომპანია რონალდინიოს სარეკლამო სახედ გამოყენებას მოისურვებს, თანხა შუაზე გაიყოფა. დანარჩენ შემთხვევებში ბრაზილიელი აბსოლუტურად ხელშეუხებელი იქნება. მას სრულ უფლებას მისცემენ იმისთვის, რომ კერძო შეთავაზებები პირადი შეხედულებისამებრ განიხილოს და კონტრაქტები კლუბის უკითხავად გააფორმოს. რობერტო დე ასისი ამ პირობებით უაღრესად კმაყოფილი დარჩა. მან სორიანოსა და ბეგირისტაინს პირობა მისცა, რომ მილანში მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ დაპირისპირებას დაესწრება და იტალიური გუნდის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს არ დაიწყებს. რონალდინიოს ძმამ გულწრფელად განაცხადა, **გალიანისთან** საკმაოდ კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ მისთვის ფუჭი ილუზია არასოდეს შემიქმნია და უსაფუძვლო იმედიც არ მიმიციაო. "როსონერის" მმართველმა შესანიშნავად იცის, გაუჩოს ხელშიჩაგდების შანსი მხოლოდ მას შემდეგ გაუჩნდება, თუ "ბარსელონა" და დე ასისი შეთანხმებას ვერ შეძლებენ.

მართლაც სასიხარულო სიახლის მიუხედავად, რონალდინიოს ძმა მოქმედების არეალის შეზღუდვას არ აპირებს. ბრაზილიელმა აგენტმა ბეგირისტაინს სრულიად გულღიად მოახსენა, ყოველი შემთხვევისთვის "მილანთან" კონტაქტს არ გავწყვეტ, თუ ბოლო წამს ჩვენს შორის პრობლემები წარმოიქმნება, გალიანისთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს დავიწყებო. უნდა ითქვას, რომ ეს არ გახლდათ შანტაჟის შემცველი განცხადება. საქმე უბრალო პრაგმატიზმს ეხება. მართლაც, რატომ უნდა მოიჭრას მან ეს გზა? გამორიცხული არ არის, მოლაპარაკებათა დასკვნით ეტაპზე კატალონიელებს რაიმე არ მოეწონოთ და ბრაზილიელის დატოვებას რამდენიმე ათეული მილიონი ევროთი გამდიდრება ამჯობინონ. ეს ყველაფერი უახლოეს მომავალში გამოაშკარავდება.

დღეს კი "ბარსას" მესვეურები რობერტო დე ასისთან შეხვედრის შედეგებით გამოწვეულ სიხარულს ვერ მალავენ. აი, რა განაცხადა ჩიკი ბეგირისტაინმა: *"ვგონებ, უმნიშვნელოვანესი საუბარი გვქონდა. ახლა უკვე დარწმუნებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ კარგ გზას დავადექით. ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ რონალდინიო ჩვენთან გააგრძელებს კარიერას. რატომღაც, ბოლო დროს ხმები ვრცელდებოდა, თითქოს ჩვენ მასთან თანამშრომლობა აღარ გვსურდა. ეს მტკნარი სიცრუეა. უბრალოდ, სხვა საკითხებით ვიყავით დაკავებულები. ახლა მოვიცალეთ და რობერტო დე ასისი ბარსელონაში დავპატიჟეთ. ვფიქრობ, უპრიანი იქნება, რონალდინიოს კონტრაქტი გავუხანგრძლივოთ. ის არ არის ამის წინააღმდეგი. თუ ამას შევძლებთ, ერთხელ და სამუდამოდ დაგვასვენებენ. ყველას ეცოდინება, რომ გაუჩოს წასვლა არ სურს. "ბარსა" კი მის გაყიდვაზე არც არასოდეს ფიქრობდა. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდის გამართვა მოგვიწევს. ჩვენ პროფესიონალები ვართ და არ დავუშვებთ, რომ ყველაფერი დაწვრილებით არ განვიხილოთ. შესაძლოა, ეს რამდენიმე დღეში მოესწროს, ან პირიქით, დროში გაიწელოს... თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, "ბარსელონას" მკაფიო მიზანი ექნება. ჩვენ რონალდინიო "კამპ ნოუზე" უნდა დავტოვოთ. ის ძალიან გვჭირდება. არ დავუშვებთ, საუკეთესო ფეხბურთელები სხვებმა წაიყვანონ. რობერტო დე ასისს გულწრფელობისთვის დიდ მადლობას მოვახსენებთ. მჯერა, ურთიერთობა მომავალშიც პოზიტიურ ფორმატში წარიმართება."*

დღის ბოლოს საზოგადოების წინაშე **ხოან ლაპორტაც** წარსდგა: *"რონალდინიომ პირადად მითხრა, რომ მისთვის ქუჩიდან მისულ ინფორმაციებს არანაირი ფასი არ აქვს. ამით ვრწმუნდებით, რომ ბრაზილიელს აქ დარჩენა და ლამაზი ფეხბურთის თამაში სურს. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რაც გაზეთებში იწერებოდა, ჭორები იყო და სხვა არაფერი. გაჰყვიროდნენ, ლაპორტამ გაუჩო მილიონებში გაცვალაო. შეუძლებელია, კლუბის პრეზიდენტი ყოველდღე ტელევიზიით გამოდიოდეს, ჟურნალისტებს ხვდებოდეს და ერთსა და იმავეს ამბობდეს. განა, ერთხელ და ორჯერ განმიცხადებია, რომ ჩვენთვის რონალდინიო ერთ-ერთი ფუნდამენტური ფიგურაა? მისთვის ზურგი არასოდეს შეგვიქცევია. პირიქით, ახლაც მზად ვართ, ხელშეკრულება გაუმჯობესებული პირობებით გავუხანგრძლივოთ. თუ რონალდინიო კარიერის "კამპ ნოუზე" დასრულებას ისურვებს, მის პირობას უყოყმანოდ მივიღებთ. მოკლედ, ბრაზილიელი აქ იმდენ ხანს იქნება, რამდენსაც თავად მოისურვებს. გასაოცარია, მაგრამ ამ სიტყვების გამო, "ბარსელონის" ღალატში დამდეს ბრალი, პრეზიდენტი უნდა ამბობდეს, კლუბის საუკეთესო მოთამაშეს არასოდეს არსად გავუშვებთო. კი მაგრამ, მონათმფლობელები ხომ არ ვართ? კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მხოლოდ დირექტორატზე რომ იყოს დამოკიდებული, რონალდინიოს, რა თქმა უნდა, სამუდამო ხელშეკრულებას გავუფორმდებდით... მაგრამ საკუთარ ბედს ის თავად წყვეტს. ახლა უკვე ვიცით, რომ "კამპ ნოუდან" აბარგება არ სურს. ამას რა სჯობს? მჯერა, მოლაპარაკებები ყველასთვის სასურველი შედეგით დასრულდება. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რონალდინიო "ბარსელონაში" იქამდე დარჩება, სადამდეც თვითონ ენდომება. იმედია, საზოგადოება ჩემს სიტყვებს სწორად გაიგებს."*

"დიარიო სპორტის" კორესპონდენტმა რონალდინიოსთან ტელეფონით დაკავშირება შეძლო. აი, როგორი კომენტარი მოიპოვა ჩვენმა კოლეგამ: *"ბარსელონისადმი" სიყვარული არაერთხელ დამიმტკიცებია. უბრალოდ, დრო არ მაქვს იმისთვის, ჟურნალისტებს სისტემატურად შევხვდე და მათთან დაუსრულებლად ვისაუბრო. ჩემი მთავარი მოვალეობა, ვარჯიში და ფეხბურთის თამაშია. ბედნიერი გახლავართ, რომ პრიმერა დივიზიონის წინა ტურში შესანიშნავი შთაბეჭდილება დავტოვეთ და სამი ქულა მოვიპოვეთ. ერთი დღის შემდეგ კი "სევილიამ" ფრედ ითამაშა. ამის წყალობით, ორი ქულით დავწინაურდით. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: ვოცნებობ, "ბარსელონასთან" ერთად მესამედ გავხდე ესპანეთის ჩემპიონი. ჩემი ძმისა და კლუბის ხელმძღვანელობის მოლაპარაკებებს რაც შეეხება, ნუ მიწყენთ, მაგრამ ამ თემაზე მე ვერ ვისაუბრებ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კატალონიაში ძალიან ბედნიერად ვგრძნობ თავს. ვერავინ გაიხსენებს, თუნდაც ერთხელ მეთქვას, "კამპ ნოუდან" აბარგებაზე ვფიქრობმეთქი. სენიორ ლაპორტასთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს. ჩიკი ბეგირისტაინთან მიმართებაშიც ამავეს ვიტყოდი. მოკლედ, სანერვიულო არავის არაფერი აქვს. გულშემატკივრებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ. მჯერა, ეს ისტორია სასიკეთოდ დასრულდება."*

"ბარსას" გულშემატკივრებმა შვებით ამოისუნთქეს. ქომაგების მიერ ინტერნეტ ფორუმებში გამოთქმული მოსაზრებებით თუ ვიმსჯელებთ, ხოან ლაპორტას რეიტინგმა მნიშვნელოვნად აიწია. თუ კი გასულ კვირაში მას ფორუმების მონაწილეთა დაახლოებით 80 პროცენტი უნდობლობას უცხადებდა, ახლა პრეზიდენტს ემადლიერებიან და ბოდიშსაც კი უხდიან.

**ილია ნიკოლაიშვილი**

## მოსალოდნელი ტრანსფერები

### ლუსიო და პალასიო კამპ ნოუზე?

**"დიარიო სპორტის"** ცნობით, "ბარსელონა" ლუსიოთი დაინტერესდა. კატალონიელები "ბაიერნის" 29 წლის მცველს ვეტერანი ლილიან ტურამის სავარაუდო შემცვლელად განიხილავენ. მოსალოდნელია, რომ ფრანგი მცველი ზაფხულში "კამპ ნოუს" დატოვებს. ამიტომ, ჩიკი ბეგირისტაინი ვაკანსიის შევსებაზე ამთავითვე ზრუნავს. აღსანიშნავია, რომ ლუსიოს გადაბირების სურვილს "ინტერი" და რეალიც" გამოთქვამდნენ. მათი ინტერესი დღესაც არ განელებულა. ასე რომ, ბეგირისტაინს აქტიურად მუშაობა მართებს. ლუსიოს გარდა, "ბარსამ" ბოკახუნიორსელ როდრიგო პალასიოსაც დაადგა თვალი. "დიარიო სპორტი" გვარწმუნებს, რომ კატალონიელთა დელეგაცია ბუენოს აირესში უახლოეს დღეებში ჩაფრინდება. აქამდე მხარეები ტელეფონით ურთიერთობდნენ, მაგრამ არგენტინული კლუბის პრეზიდენტმა, მაურისიო მაკრიმ ესპანელი კოლეგების ბაირესში ჩასვლა მოითხოვა. წინასწარი ინფორმაციით, ხოან ლაპორტა პალასიოს სანაცვლოდ მხოლოდ 9 მილიონ ევროს იმეტებს. არადა, როდრიგო ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ არგენტინელ ფეხბურთელად მიიჩნევა.



რონალდინიო ბარსელონა-დეპორტივოს შაბათის მატჩში


კრეიგ ბელამი

ლივერპული. ტრანსფერები

# ბელამი არ იყიდება

## ბენიტესი ტრეზეგეს ადასტურებს, ახალი სტადიონის მშენებლობა ერთ თვეში დაიწყება

"ლივერპული" **კრეიგ ბელამის** გაყიდვას არ აპირებს. "ასტონ ვილას" განზრახული აქვს, თავდამსხმელის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაიხადოს, მაგრამ ეს მიზნის მისაღწევად საკმარისი არ იქნება. "მირორის" ცნობით, **რაფა ბენიტესს** ბელამის შენარჩუნება სურს. 27 წლის თავდამსხმელმა უელსის ნაკრებში მიღებული ტრავმა მოიშუშა და დღეს "ეინდჰოვენთან" სათამაშოდ მზადაა. "ვილის" ბოსი **მარტინ ონილი** ბელამის "სელტიკიდან" იცნობს. ორი წლის წინ თავდამსხმელი "ნიუკასლიდან" გლაზგოში ექვსი თვით გაანათხოვრეს.

ბენიტესმა დაადასტურა, რომ "იუვენტუსთან" **დავიდ ტრეზეგეს** საკითხის განხილვა სურს. მწვრთნელი მზადაა, ტურინელებს ფული და რომელიმე ფეხბურთელი შესთავაზოს. სენიორ რაფა რამდენიმე წელია, ფრანგ თავდამსხმელს აკვირდება. დავიდს ტურინულ კონტრაქტში წელიწადზე ცოტა მეტი აქვს დარჩენილი. "იუვენტუსს" "ლივერპულის" საყრდენი ნახევარმცველები, **ჩაბი ალონსო** და **მომო სისოკო** მოსწონს. ტრეზეგეს სანაცვლოდ, მან, შეიძლება, რომელიმე მათგანი მოითხოვოს, მაგრამ მიმომხილველები ამ ფეხბურთელთა "ენფილდიდან" აბარგებას გამორიცხავენ.

ბენიტესმა "არსენალის" ფორვარდ **ჟერემი ალიადიერსაც** დაადგა თვალი, მაგრამ მას ბევრი კონკურენტი ჰყავს. ფრანგ ლეგიონერს "მიდლსბრო", "მანჩესტერ სიტი", "პორტსმუთი" და "ევერტონიც" ეპატიჟებიან. მიმომხილველთა ვარაუდით, ყველაზე მეტი შანსი "ბოროს" აქვს. რივერსაიდელები ალიადიერს ძირითადში თამაშს ჰპირდებიან.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია მერსისაიდელთა ბანაკიდან. გადაწყდა, რომ "სტენლი პარკზე" ახალი სტადიონის მშენებლობა ერთ თვეში გაჩაღდება. "ლივერპულის" ახალმა ბოსებმა, **ჯორჯ ჯილეტმა** და **ტომ ჰიკსმა** ქალაქის მუნიციპალიტეტთან მოლაპარაკებები დაასრულეს და სამუშაოთა დასაწყებად ოფიციალური თანხმობა მიიღეს. კლუბის პრესრელიზში ვკითხულობთ, რომ კვლავ დღის წესრიგში დგას პროექტის შეცვლა ტევადობის გასაზრდელად. თავდაპირველი გეგმით, "სტენლი პარკი" 60 ათასიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯილეტმა 15 ათასი სკამიც დამატება მოისურვა. "ლივერპულის" ახალი სახლი "მანჩესტერ იუნაიტედის" "ოლდ ტრეფორდს" უნდა გაუთანაბრდეს. მშენებლობა 2008 წლის მიწურულს დასრულდება. უცნობია, როდის შეიცვლის კლუბი მისამართს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# სამმაგი ბიუჯეტი და სამმაგი შედეგი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პრესკონფერენციაზე. მარცხნიდან მესამე: ავთანდილ შოშიაშვილი

საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები დაბრუნდა ბაქოს საერთაშორისო ტურნირიდან, სადაც რვა მედალი მოიპოვა. კრივის ფედერაციამ გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტში პრესკონფერენცია გამართა.

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა**, კრივის ფედერაციასა და ეროვნულ ნაკრებს ბაქოური წარმატებები მიულოცა და პეკინის ოლიმპიადამდე აღებული ტემპის შენარჩუნება უსურვა. თავის მხრივ, ნამგალაური მოკრივეებს ყოველგვარ თანადგომას დაჰპირდა.

ნაკრების მწვრთნელმა **ავთანდილ შოშიაშვილმა** და კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** დეტალურად ისაუბრეს ტურნირსა და სამომავლო პერსპექტივებზე.

ავთანდილ შოშიაშვილი: - მოხარული ვარ, რომ ნაკრების თავკაცის პოსტზე, ესოდენ წარმატებული დებიუტი გამომივიდა, მაგრამ ისიც მესმის, რომ წინ საკმაოდ რთული სეზონია და კიდევ უამრავი სამუშაო გვაქვს. რაც შეეხება ტურნირის შედეგებს, წონითი კატეგორიების მიხედვით მივყვეთ,

48 კილოგრამში, **ზვიად ხადური** შესანიშნავად გამოვიდა. მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნაკრები გუნდების პირველი ნომრები. აი, ფინალში კი ფილიპინელთან თანაბარ ბრძოლაში, მსაჯების ცოტა საეჭვო გადაწყვეტილების გამო, ვერცხლის მედალს დასჯერდა.

ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ახალგაზრდა **მერაბ თურქაძემ** (51 კგ), რომელმაც საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ, ბაქოშიც კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ერთი ეგ არის, ცოტა წონის "დაჭერა" უჭირს და თუკი 51 კილოგრამში დარჩენას შეძლებს, კარგი მომავალი აქვს.

**კობა ფხაკაძე** (57) ბოლო ხანს, საქართველოს ნაკრებში, თავისი წონის გამოკვეთილი პირველი ნომერია და ამას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ამტკიცებს. ბაქოს ტურნირი მან საკმაოდ ძლიერად, ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და ჩემპიონობა არავის დაუთმო. წონის მატების გამო, ამავე წონაში გამოვიყვანეთ **ნიკოლოზ იზორია**. სამწუხაროდ, პირველსავე შეხვედრაში, არბიტრების არაობიექტურობის გამო, აზერბაიჯანელთან წააგო და უმედლოდ დარჩა.

არანაკლები არაობიექტურობის მსხვერპლი გახდა **ვასილ ყაზიშვილი** (60). ფილიპინელთან მისი შეხვედრისას, ყველა წინასწარ გვილოცავდა გამარჯვებას, მაგრამ არბიტრები, რატომღაც, სულ სხვაგვარად სჯიდნენ. **ლევან ღვამიჩავამ** (64) პირველ შეხვედრაში თურქს მოუგო, რომელსაც ყაზახი მიაყოლა, ნახევარფინალში კი მასპინძელთან დაძაბულ შეხვედრაში დამარცხდა და ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

საკადრო დილემის წინაშე ვიდექით 75 კილოგრამში. ამიტომაც, ბაქოში წავიყვანეთ ორივე კანდიდატი - **რევაზ ქარელიშვილი და გიორგი ნაკანი**. აზერბაიჯანელებთან მეგობრული ურთიერთობის წყალობით, ისინი პირველსავე წრეში შევახვედრეთ ერთანეთს. მთელი სამი რაუნდი, ქარელიშვილი იგებდა მინიმალური სხვაობით, მაგრამ ბოლო რაუნდში ნაკანმა აჯობა და სამი ქულით მოუგო. ნახევარფინალში ნაკანი რუს ოლიმპიური ჩემპიონს, **შჩერბაკოვს** ხვდებოდა. იმის გამო, რომ ახალგაზრდა ნაკანს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა, ისიც კი გავიფიქრე, რუსთან შეხვედრაზე უარი ხომ არ ვთქვათ მეთქი, თუმცა, გიორგიმ სასიამოვნოდ გაგვაოცა - 4 რაუნდი ვაჟკაცურად იჩხუბა და მხოლოდ ქულებით დამარცხდა.

იგივე პრობლემა გვქონდა 81 კილოგრამში და აქაც ბაქოში გადაწყდა ყველაფერი. **დავით წიკლაურმა** მეორე რაუნდში ნოკაუტით მოუგო **თორნიკე იველაშვილს**. ნახევარფინალში დათოს მეტოქე იყო რუსი **ჩუდინოვი**, რომელიც ძალიან ძლიერი მოკრივეა - ისე ჩხუბობს, თითქოს კარგად დაპროგრამებული მანქანა იყოს. წიკლაურმა მასთან ვერაფერი გააწყო, მაგრამ ჩემთვის ახლა მთავარი ის არის, რომ ამ წონაში საკადრო პრობლემა გადავჭერით, წიკლაურს კი კარგად მუშაობის შემთხვევაში, გაცილებით მეტი შეუძლია.

**იაგო კილაძე** (91 კგ) პირველსავე შეხვედრაში აზერბაიჯანელ ოლიმპიური თამაშების ფინალისტსა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორს გადაეყარა. ასეთ მრისხანე მეტოქეს 4 რაუნდი გაუძლო და 9 ქულაც აართვა, მაგრამ აშკარად აკლდა გამოუცდელობა, რამაც გვარიანად დაალალატა.

ბოლოს, მძიმეწონოსან **ბექა ლობჟანიძეზე** ვიტყვი, რომელმაც გვარიანად დამაიმედა. ბაქოში მან აზერბაიჯანის ნაკრების პირველ ნომერს, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორ ალეკპეროვს მოუგო. ფინალში ლობჟანიძის მეტოქე იყო მოკრივე, რომელზეც რუსები დიდ იმედებს ამყარებენ. მიუხედავად ამისა, ბექასგან უეჭველ გამარჯვებას ველოდით და რეალურად მოიგო კიდეც. ბრძოლის შემდეგ, დარბაზში მყოფი მაყურებელი ჩვენს მოკრივეს უკრავდა ტაშს, ჩემმა რუსმა კოლეგამაც აღიარა, რომ მის შეგირდს ნამდვილად არ მოუგია...

ვლადიმერ ახალკაცი: - ქართული კრივის არსებობის ისტორიაში უპრეცედენტო შედეგი მოიტანა მოკრივეებისა და მწვრთნელების უდიდესმა შრომამ. ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ მაქსიმალურ ყურადღებას ვგრძნობთ ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტ პეტრე ცისკარიშვილისგან, სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპური კომიტეტის ხელმძღვანელობისგან. სპორტის დეპარტამენტმა წლეულს ბიუჯეტი გაგვისამმაგა და 200 000 ლარი გამოგვიყო, დაფინანსება 50 000 ლარამდე გაგვიზარდა ოლიმპიურმა კომიტეტმაც.

ამას გარდა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური აპირებს, შეგვიძინოს 2 ოლიმპიური რინგი - თითოეული 40 000 დოლარი ჯდება. ეს ჩვენთვის დიდი საჩუქარი იქნება. ნამგალაურისვე ინიციატივით, სპორტის დეპარტამენტში გამოგვიყვეს კრივის დარბაზი, რომელიც მთლიანად ჩვენს განკარგულებაშია, შევიძინეთ 3 ახალი რინგიც. აქვე იმასაც დავძენ, რომ პირველად ჩვენი კრივის ისტორიაში, საქართველოს ეროვნული ნაკრების სამივე მწვრთნელი ხელფასს იღებს...

საქართველოს ნაკრებს პეკინის ოლიმპიადის სალიცენზიო მსოფლიო ჩემპიონატამდე მაქსიმალურად კარგი პირობები ექნება. მომდევნო შეჯიბრება კიევის ძმები კლიჩკოების სახელობის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირია, რომელიც 16 აპრილს დაიწყება. რაც შეეხება მსაჯობას, ეს მუდამ ჩვენი აქილევსის ქუსლი იყო და ამ პრობლემის მოგვარებასაც ვგეგმავთ. ჩვენი მიზანია, ქართველ არბიტრებს ჩავუტაროთ სემინარები, მივაღებინოთ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებზე წასასვლელი ლიცენზიები და როცა ჩვენი არბიტრები გვეყოლება, ადვილად ველარავინ დაგვჩაგრავს.

**კობა ხატისაშვილი**

ჭიდაობა

# ბელარუსიდან კმაყოფილები დაბრუნდნენ

კვირა დილით საქართველოს "ანტიკოსთა" ნაკრები დაბრუნდა მინსკიდან, სადაც სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე ორკვირიანი შეკრება გაიარა. ჩვენებთან ერთად იქ ბალტიის სამივე ქვეყნის, საბერძნეთის, საფრანგეთის, ისრაელისა და ბელარუსის გუნდებიც ვარჯიშობდნენ. მოგეხსენებათ, ევროპელები 17-22 აპრილს სოფიაში გასამართი კონტინენტის პირველობისთვის ემზადებიან და მინსკში ყველა ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა. ჩვენი ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** ერთობლივი ვარჯიშებით კმაყოფილია. მისი თქმით, ფალავნებმა მეტად ნაყოფიერი ორკვირეული გაიარეს და ძლიერი სპარინგებიც ჩაატარეს.

არადა, დარჩია მინსკში გვარიანად შეფიქრიანებული წავიდა. მიზეზი, გუნდში მომრავლებული ტრავმები გახლდათ - **რამაზ ნოზაძის (96)**, **ირაკლი ჭოჭუასა** (55) და **მანუჩარ კვირკველიასი** (74). იყო სხვა, შედარებით მსუბუქი ტრავმებიც, თუმცა მინსკში ეს პრობლემებიც მოგვარდა. მწვრთნელი ნაკრების ექიმ **ზურაბ კახაბრიშვილს** ემადლიერება. მართალია, მიკროტრავმები ჯერ ისევ რჩება, მაგრამ არც ერთი არაა იმდენად საშიში, ან ევროპის პირველობისთვის მზადება შეაფერხოს, ან - იქ გამოსვლა.

სამაგიეროდ, დარჩიაცა და კახაბრიშვილიც გაკვირვებულნი დარჩნენ ოლიმპიურ ბაზაზე დახვედრილი ჩინებული პირობებით. კახაბრიშვილმა სინანულით აღნიშნა, რომ იმ დონეს წარმოუდგენლად ჩამოვრჩებით, ეს კი საბოლოოდ ოლიმპიადაზე, მსოფლიოსა თუ ევროპის პირველობებზე იჩენს ხოლმე თავს.

ჩვენი ნაკრები ხვალ ბორჯომში დასკვნით შეკრებას დაიწყებს, სოფიაში კი 17 აპრილს გაემგზავრება. დარჩია შემადგენლობის გამოცხადებას ჯერ არ ჩქარობს. ბუნებრივია, მწვრთნელებისთვის თითქმის ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ მაინც ბოლო შეკრების დამთავრებას ელოდებიან. ანტიკური ჭიდაობის ტურნირი ეროპის ჩემპიონატზე 19-20აპრილს გაიმართება.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი

# რაგბი ქუთაისში და ჩეხებთან



კოკა ლაზიშვილი, მალხაზ ჭეიშვილი

**საქართველოში რაგბის მიმართ ხელისუფლების ყურადღება დღითიდღე იზრდება. დიდი ხანი არაა, რაც რაგბის კავშირს ავჭალის "სინათლის" სტადიონი გადაეცა. დედაქალაქს ახლახან ქუთაისმაც მიბაძა. ამის თაობაზე რაგბის კავშირში გამართულ პრესკონფერენციაზე, ვიცე-პრეზიდენტმა კოკა ლაზიშვილმა გვიამბო:**

- გასულ უქმეებზე რაგბის კავშირის პრეზიდენტ **მერაბ ანთაძესთან** ერთად ქუთაიაში იმერეთის გუბერნატორ **აკაკი ბობოხიძეს** შევხვდით. მას ამ რეგიონში ჩვენი რწმუნებული **გია გორგასლიძე** წარვუდგინეთ. ქუთაისში უკვე დიდი ხანია მუშაობს 27-ე სარაგბო სკოლა, რომლის ბაზაზეც საბავშო ფესტივალი გაიმართა. ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სამი მოედანი სწორედ ამ სკოლას გადაეცა. უკვე დაიწყო დოკუმენტაციის შეგროვება, რათა ქუთაისის "აიას" ყოფილი ბაზაც რაგბს დაუბრუნდეს. მისი რეკონსტრუქციისთვის ხარჯებს რაგბის კავშირთან ერთად ქუთაისის მერიაც გაიღებს.

დაგვპირდნენ, რომ ბიუჯეტში რაგბისთვის გამოყოფილ თანხებსაც გაზრდიან. ერთი სიტყვით იმერეთში დიდი ენთუზიაზმით არიან განწყობილი. რაც იმედს გვაძლევს, რომ ამ ტრადიციულად ძლიერ სპორტულ რეგიონში რაგბი ისევ დაიბრუნებს თავის კუთვნილ ადგილს.

**ამის შემდეგ, სიტყვა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა მალხაზ ჭეიშვილმა აიღო და ჩეხეთის გუნდთან მომავალი თამაშისთვის მზადების თაობაზე ისაუბრა:**

- წლეულს ოპტიმალური შემადგენლობის შეკრება ვერაფრით მოვახერხეთ. განვლილი სამი მატჩი, სამი სხვადასხვა შემადგენლობით ვითამაშეთ. ეს ცხადია საწვრთნელ პროცესს ხელს უშლის და გუნდის თამაშის ხარისხს დაღს ასვამს. სწორედ ესაა ნაკრების არასტაბილურობის მიზეზი. პრობლემებს ვერც ჩეხებთან მატჩის წინ ავცდით. კარგი ისაა, რომ უკანა ხაზში მოთამაშეების ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ. აქ მხოლოდ ერთი ცვლილებაა, ისიც ტრავმის გამოა გამოწვეული. გიორგი ელიზბარაშვილის ნაცვლად ოთარ ელოშვილი გამოვიძახეთ. რამდენიმე ცვლილებაა შერკინებაში.

ჩეხებთან, ვეცდებით, გავბედოთ და ძირითადად ხელდახელ ვითამაშოთ. კარგი იქნება თუ დიდი ანგარიშით მოვიგებთ, რადგან ორი წლის ჯამში ერთა თასის ბედი შესაძლოა, ქულათა უკეთესმა სხვაობამ გადაწყვიტოს.

**საქართველოს ნაკრები ვაკეში, სასტუმრო "ლიზიში" დაბანაკდება და ვარჯიშებს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართავს.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# მელიქიშვილი დარჩა, დევიძე გავარდა

**ჩოგბურთი.** ამერიკის ქალაქ პელემში მიმდინარეობს ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარი. საკვალიფიკაციო ბადეში ორი ჩვენებური იყო: **სოფიო მელიქიშვილი** და **სალომე დევიძე**. დევიძე პირველ წრეში რუს **მარია კონდრატიევას** (296) შეხვდა და ლამის უბრძოლველად დამარცხდა 1:6, 2:6. სოფიო მელიქიშვილის და კანადელი ჰაიდი ელ ტაბახის მატჩმა სულ ექვს გეიმს გასტანა, 4:2-ის შემდეგ ელ ტაბახმა ტრავმის გამო ბრძოლა შეწყვიტა. ძირითად ბადეში მოსახვედრად მელიქიშვილს კიდევ ერთი წინაღობის დაძლევა მოუწევს, მისი მეტოქეა არგენტინელი **ერიკა კრაუტი** (576).

ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. U-16

# ხუთოსანი ორია

მეხუთე ტურიც მიილია. აქამდე უდანაკარგო ლიდერებს - **ლუკა პაიჭაძესა** და **ქეთი ნაწალაშვილს** ბუზიც ვერ აუფრინეს - ორივეს ხუთი ქულა აქვს. გამოსარჩევი ისიც არის, რომ პაიჭაძემაც და ნაწალაშვილმაც შავებით აჯობეს მეტოქეებს, - ლუკას ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტთან, მეოთხე ნომერ **ზვიად ფაციასთან** ჰქონდა საქმე გასარკვევი, ნაწალაშვილს კი ჯერაც გამოუცდელ, 11 წლის **თეკლა მაჭარაშვილთან** უწევდა რენომეს შენარჩუნება. თუმცა, ტურნირის ძირითადი და დასკვნითი ნაწილი სწორედ მეექვსე ტურიდან იწყება. დღეს ნაწალაშვილს თეთრებით უწევს **სალომე ხაჲომიასთან** შეხვედრა, ლუკა პაიჭაძე თეთრებით ხვდება **დავით ლომსაძეს**.

სხვა გამოსარჩევი მეხუთე ტურში ის გახლდათ, რომ **ირაკლი ბერაძემ** შავებით მოუგო ასაკით და რეიტინგით მასზე უფროს **არჩილ ამირხანაშვილს** და 4 ქულით ლიდერებს დაუახლოვდა. ახლა მას მხოლოდ პაიჭაძე და ლომსაძე უსწრებენ - შესაბამისად ერთიდა ნახევარი ქულით, ირაკლი კი **დიმიტრი კვარაცხელიასთან** და **დავით ბენიძესთან** ერთად კი მესამე-მეხუთე ადგილებს იყოფს.

გოგონებში ყოჩაღობს **თინათინ ბერიძე**, რომელმაც გუშინ თეთრებით **ანა კუჭავა** დაამარცხა და 4 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს. მისი უშუალო მოცილე **ლელა უგულავაა**, რომელსაც დღეს შავებით შეხვდება. უგულავას წინსვლა გამოსარჩევია, ხოლო **ელისაბედ ზარქუას** სუსტი თამაში კი - მოულოდნელობა. ელისაბედმა ბოლო დროს იმდენად მოუმატა, რომ ბევრად უფროს ქალ მოჭადრაკეებსაც არ უდებდა ტოლს და ბიჭებსაც ეტოქებოდა. ამჯერად ფორმაში ვერ არის - რამდენიმე ხანი ავადმყოფობის გამო გაუცდა და ჩანს, რომ კონდიციებში შესვლა ვერ მოასწრო. ელისაბედს უკვე ორი მარცხი და მხოლოდ 2.5 ქულა აქვს. პირველობისთვის ალბათ ველარ, მაგრამ მეორე ადგილისთვის ბრძოლის შანსი ჯერაც შერჩენია.

**ზვიად შათირიშვილი**

მეექვსე ტური. **გოგონები: ქეთი ნაწალაშვილი (5)-სალომე ხაჲომია (4.5); ლელა უგულავა (4)-თინათინ ბერიძე (4); ნინო ანაკიძე (3.5)-მერი არაბიძე (3.5); თეკლა მაჭარაშვილი (3.5)-ფატი რიჟამაძე (3.5); ნათია ჯალაბაძე (3)-მარიამ თევზაძე (3); ანა კუჭავა (3)-ანა შამათავა (3);** მარიამ სულამანიძე (2.5)-ანა გალდავაძე (3); თეკლა ფარჯიანი (2.5)-ელისაბედ ზარქუა (2.5); მარიამ ბაიაძე (2.5)-ანა ლიპარტელიანი (2).

ჭაბუკები: ლუკა პაიჭაძე (5)-დავით ლომსაძე (4.5); დიმიტრი კვარაცხელია (4)-დავით ბენიძე (4); ირაკლი ბერაძე (4)-ზურაბ ჯავახაძე (3.5); გიორგი ლაცაბიძე (3.5)-ზვიად ფაცია (3.5); ნოდარ დავარაშვილი (3.5)-ნოდარ ლორთქიფანიძე (3.5); ირაკლი ჯანიაშვილი (3.5)-თორნიკე გაბუნია (3.5); გიორგი ნიკოლიშვილი (3.5)-ელგუჯა ლალიაშვილი (3.5); თორნიკე ხურციძე (3.5)-არჩილ ამირხანაშვილი (3); ალექსანდრე მერაბიშვილი (3)-გიორგი ქანთარია (3); თორნიკე ფანცულაია (3)-ბექა ნემსაძე (3); ლევან ბერაია (3)-ილია ხვიტია (3); მერაბ ცომაია (3)-ნიკოლოზ შენგელია (3).

საუბრები სპორტის ისტორიაზე

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ლელო N 56 (2006)

**სპორტის** სათამაშო სახეობებიდან 1982 წელს ყველაზე თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს კალათბურთში, ხელბურთსა და წყალბურთში სსრკ ნაკრების წევრებმა.

**კალათბურთი.** საბჭოთა ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა **ნიკოლოზ დერიუგინი**. იმ წელს, სპორტის ამ სახეობაში სხვა მიღწევები მოზარდ კალათბურთელთა წილად მოდის, და ისიც, მხოლოდ სსრკ მასშტაბით გამართულ ტურნირებში. თბილისის "დინამოს" ჭაბუკებმა დნეპროპეტროვსკში ყველას აჯობეს საქალაქთაშორისო შეჯიბრებაში. ჩვენი ყმაწვილები უძლიერესები იყვნენ კიევშიც, თანატოლთა საკავშირო პირველობაზეც, "ნორჩი დინამოელი" კი სევასტოპოლში საკავშირო ტურნირის ლაურეატი გახდა. ანალოგიურ საკავშირო ტურნირში პირველ ადგილზე გავიდა თბილისის 53-ე საშუალო სკოლის გუნდი "მართვე", თბილისის "ნორჩი დინამო" კი მესამე პოზიციას დასჯერდა. თბილისელი გოგონების (1967/68-წლიანები) გამარჯვებით დასრულდა ქ. კალუგაში გამართული საკავშირო ტურნირი მსხვილი ქალაქების ნორჩ კალათბურთელთა ნაკრები გუნდებისთვის.

**ფეხბურთი.** თბილისის "დინამო" 1982 წლის საფეხბურთო სეზონში მეოთხე ადგილზე გავიდა. ჭაბუკთა წარმატებებზე ქვემოთ ვიტყვით. მანამდე კი გავიხსენოთ სტუდენტთა ერთი, მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება. საქართველოს ზოოტექნიკურ-კვლევითი ინსტიტუტის საფეხბურთო გუნდი მთავარ პრიზს დაეუფლა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე. იმავე პერიოდში, სოფლის სპორტსმენთა მეოთხე საკავშირო თამაშებში, მეორე ადგილზე გავიდა მახარაძის "მერცხალი". ტაშკენტში გამართულ მე-13 საერთაშორისო ტურნირზე, მხოლოდ ფინალში დათმო პირველი ადგილი საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრებმა გუნდმა თბილისის "ავაზამ", რომელიც ის-ის იყო, იმკვიდრებდა სახელს. ამას გარდა, წარმატებით იასპარეზა და პირველობა მოიპოვა ერევანში ჩატარებულ განათლების სისტემის სპორტსკოლების საკავშირო პირველობაზე; მოიგო აგრეთვე საკავშირო ტურნირი ტაშკენტში. "ტყავის ბურთის" პრიზის საკავშირო გათამაშებაში უმცროს ასაკში, თბილისის "მართვე" მეორე ადგილზე გავიდა, საშუალო ასაკში კი რუსთავის "იმედი" - მესამეზე. საქართველოს ნაკრები "სიჭაბუკის თასზე" მეორე იყო (ქ. ბელგოროდი). პირველობა, ჭაბუკთა როგორც უმცროს, ისე უფროს (1968-1971) ასაკში, მინსკის საქალაქთაშორისო ტურნირში თბილისის ნაკრებ გუნდებს ხვდათ წილად.

1982 წლის სუსხიანი დეკემბერი სამუდამოდ სუსხიანი დარჩა ფეხბურთის მოყვარულთა გულებში: ტრაგიკულად დაიღუპა დიუსელდორფის ლეგენდალური მატჩის გმირი **ვიტალი დარასელია**. ეს იყო აუნაზღაურებელი დანაკლისი არა მხოლოდ ფეხბურთისთვის, არამედ ზოგადად ქართული სპორტისთვის.

ფეხბურთში სსრ კავშირის 1982 წლის სეზონის შედეგების მიხედვით, ტრადიციულად შედგა და დამტკიცდა "33 საუკეთესო" ფეხბურთელის სია. თბილისის "დინამოდან" რჩეულთა შორის ამჯერად მოხვდნენ: **ალექსანდრე ჩივაძე** პირველ, **ნოდარ ხიზანიშვილი, ვიტალი დარასელია** და **გრიგოლ ცაავა** მესამე ნომრებად.

**ჩოგბურთი.** ქართული ჩოგბურთი თაობათა ცვლის პროცესშია. სპეციალისტები იმედის თვალით შეჰყურებენ **ვლადიმერ გაბრიჩიძეს**, რომელიც კიშინიოვში ჭაბუკთა (1968/69-წლიანები) საკავშირო ტურნირზე საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა - მოიპოვა პირველობა, როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა შორის. ვლადიმერი მაშინ თბილისის 66-ე საშუალო სკოლის მოსწავლე იყო. წყვილთა შეჯიბრებაში იაპონიაში გამართული 18-წლამდელთა საერთაშორისო ტურნირი მოიგო თბილისელმა **ვიქტორ ხურდამ**.

**წყალბურთი.** საქართველოდან მსოფლიო ჩემპიონთა რიგებს შეემატა **მიხეილ გიორგაძე**. წარმატებული გამოდგა საკავშირო თასის გათამაშება საქართველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრებისთვის, რომელიც ამ ასაკში მთავარი პრიზს დაეუფლა.

**რაგბი**. ერთადერთი ხელშესახები გამარჯვება მოიპოვეს მხოლოდ ჭაბუკებმა 13-15-წლიანთა საკავშირო პირველობაზე ("ოქროს ოვალის" პრიზი). ჩვენი გუნდი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა.

**მაგიდის ჩოგბურთი.** შედეგები აქაც მოკრძალებული იყო. მხოლოდ ყრუ-მუნჯთა საკავშირო პირველობაზე (რიგა) ხვდათ წილად წარმატება საქართველოს წარგზავნილებს - მეორე გუნდური ადგილი. ვაჟთა პირად პირველობაში, ერთეულთა შორის, **ნ. გარანკინი** ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა, ქალთა ტურნირში კი, წყვილთა თანრიგში, **გ. მუმლაძე** ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

**ხელბურთი.** მსოფლიო ჩემპიონი ხდება **ალექსანდრე ანპილოგოვი**, სსრკ ნაკრებთან ერთად, გფრ-ში. ჭაბუკთა საკავშირო ტურნირი (1966/67-წლიანები) საქართველოს ნაკრებმა მოიგო.

**ცურვა.** "ცისფერ ბილიკებზე" ქუთაისელი მოცურავე **ირინა გერასიმოვა** კვლავ ლიდერობდა მაღალი რანგის ასპარეზობებში. საკავშირო ჩემპიონატში, კიევში, ირინამ 100 და 200 მ თავისუფალი სტილით, აგრეთვე 200 მ და 400 მ კომპლექსურ ცურვაში ოქროს ოთხი მედალი მოიგო. ბატერფლაით 200 მ ცურვაში, ზამთრის საკავშირო ჩემპიონატში (მოსკოვი), მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი **დ. იაკოვლევი**. შემდეგ, ამ სპორტსმენმა, იმავე პროგრამაში, ასევე მეორე ადგილი დაიკავა ზაპოროჟიეში, სსრკ თასის გათამაშებაში. გერასიმოვა აქ პირველი იყო 200 მ თავისუფალი სტილით ცურვაში და მეორე - 200 და 400 მ კომპლექსურ ცურვაში.

**წყალში ხტომა.** სარბიელზე დამაჯერებლად იმკვიდრებს ადგილს **გიორგი ჩოგოვაძე**. ის თამამად შეჰყავთ სსრკ ნაკრებში და მიუხედავად იმისა, რომ გფრ-ში გამართული საერთაშორისო ტურნირში (1964-წლიანებისთვის) ყველაზე უმცროსი მონაწილე იყო, 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში პირველობას არავის უთმობს, მესამე პრიზიორი ხდება 3- მეტრიანი ტრამპლინიდან ასპარეზობაში, ასევე, უფროსებთან პაექრობაში ის ეუფლება ბრინჯაოს მედალს კოშკურიდან ხტომაში (სსრკ ჩემპიონატი, სარატოვი). იმ წელს სსრ კავშირის თასის გათამაშებას თბილისმა უმასპინძლა. **ლიანა ცოტაძემ** კოშკურიდან და **ნანა ქარდავამ** ტრამპლინიდან ხტომებში პირველობა და თასი დაიმსახურეს. "კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე (მინსკი) 10 მ კოშკურიდან ხტომაში ვერცხლის მედალს დაეუფლა თბილისელი **ე. ბილიოვა**.


1982 წელი, ლიუცერნი

**აფროსნობა.** ყველა ასპარეზობაში საქართველოს კვლავ **გურამ ბიგანიშვილი** წარმოადგენს. იმ წელს მან ბრწყინვალედ მოიგო ჯერ "ვარსკვლავის კლასის" საკავშირო პირველობა (სოჭი), შემდეგ საერთაშორისო ტურნირი (ტალინი) და ბოლოს, აფროსანთა საკავშირო ჩემპიონატი (ტალინი).

**ძალოსნობა.** 57-ე საკავშირო ჩემპიონატი (დნეპროპეტროვსკი) აკვრაში მოიგო საჩხერელმა **ამირან ჭიტაძემ**, მასვე, ბრინჯაოს მედალი ხვდა იმავე პროგრამაში, სსრკ ჩემპიონატში. ახმეტელი **ვაჟა ყორჩაშვილი** უძლიერესი იყო სოფლის სპორტსმენთა მე-5 საკავშირო თამაშებში. ცხინვალელი **ალექსანდრე მედოევი** ოქროს მედალს დაეუფლა იუნიორ ძალოსანთა ევროპის პირველობაზე (ბულგარეთი).

**ცხენოსნობა.** საქართველოს სპორტის ისტორიაში ქართველი მხედარი **ხარლამ სიმონია** დაბრკოლებათა გადალახვაში პირველად ეუფლება სსრ კაშირის ჩემპიონის ტიტულს. გუდაუთელი ცხენოსანი (სოფ. ლიხნიდან) მაშინ 26 წლის იყო. იმავე წელს, და იმავე ცხენით, ("კასპია") ის პროფკავშირების საკავშირო პირველობასაც იგებს. მისმა სტაბილურმა გამოსვლამ, დაბრკოლებათა გადალახვაში, საქართველოს ნაკრებს საერთო გუნდური პირველობა მოუტანა. ესეც პირველი შემთხვევა იყო სამამულო სპორტის ისტორიაში. საკავშირო სარბიელზე თავი გამოიჩინა აგრეთვე ოჩამჩირელმა **თამაზ ჯლარკავამ**, რომელმაც "მეგობრობის პრიზზე" გაიმარჯვა დაბრკოლებათა გადალახვაში. დავძენთ, რომ ზემოხსენებული შეჯიბრებები მოსკოვში ჩატარდა.

**ფარიკაობა.** არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საკავშირო ნაკრების ერთ-ერთი დასაყრდენი მოფარიკავის სტატუსს იძენს **ვლადიმერ აფციაური** (რაპირა). 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატი რომში ჩატარდა. საბჭოთა ნაკრების ერთადერთი, უკანასკნელი ბრძოლა დარჩა ჩასატარებელი. საფარიკაო ბილიკზე უხმობენ ვლადიმერ აფციაურს. თუ ქართველი ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს, სსრკ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონობა და ოქროს მედალი გარანტირებული აქვს. მიუხედავად უდიდესი ფსიქოლოგიური წნეხისა, ვლადიმერი იგებს ამ ორთაბრძოლას - მსოფლიო ჩემპიონი საბჭოთა ნაკრებია! მანამდე, აფციაურს მოგებული ჰქონდა სსრკ პირველობა კიევში და 1962-წლიანთა ასპარეზობა სარატოვში.

**სპორტული ტანვარჯიში.** გახშირდა სსრკ პირველობების, ჩემპიონატებისა და ტურნირების ჩატარება თბილისში. ახალგაზრდულ საკავშირო პირველობაზე, რომელსაც საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა, ბჯენით ხტომებში, ოსტატობის კანდიდატის პროგრამით, საუკეთესოთა შორის საუკეთესო იყო **ამირან ბერიანიძე**. სხვა მიღწევა საქართველოს ტანმოვარჯიშეებს იმ წელს არ ჰქონიათ.

**მხატვრული ტანვარჯიში.** სპორტში თავის გამოჩენის სურვილი საბჭოთა კავშირის ყველა უწყებას ჰქონდა. რიგაში, არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად-გუნდური პირველობაც კი ჩატარდა, თანაც ტანვარჯიშში. საქართველოს წარმომადგენლებმა გუნდური მეორე ადგილი დაიკავეს. **მაია ნადიბაიძე** პირველ ადგილზე გავიდა პირად პირველობაში. კაუნასმა უმასპინძლა სპორტსკოლების საკავშირო ტურნირს. გუნდური პირველობა თბილისის მოსწავლეთა სასახლის სპორტსკოლის აღსაზრდელებს ხვდათ წილად - პირადში **ფ. ფანქველაშვილი** ოქროს მედლით დაჯილდოვდა, **ვ. დარბაიძე** კი მესამე პრიზიორი გახდა.

**აკრობატიკა.** ტოლიატიში გაიმართა სსრკ თასის გათამაშება აკრობატულ ხტომებში. მთავარ პრიზს ეუფლება **ფ. სულაქველიძე**. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირში, ჯგუფურ ვარჯიშში, პირველ ადგილს **ნინო ბერიანიძე, ირმა დემურიშვილი** და **ინგა ჩოხელი** ეუფლებიან. **სვეტლანა მკრტიჩიან-ფეიქრიშვილი** მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს იხვეჭს.

**ფიგურული სრიალი.** 1969-70 წლიანთა საკავშირო ტურნირმა (ოდესა), რომელიც ჩატარდა "ბროლის ციგურების" სახელდებით, ოქროს მედალი არგუნა **ლია სამხარაძეს** (ცალკეული ელემენტებისა და ნებისმიერ ვარჯიშთა კომპლექსში), სავალდებულო ხუთი პროგრამით კი ქართველი გოგონა მესამე ადგილზე გავიდა. რიგაში, "ქარვის ციგურების" პრიზზე, ერთეულთა თანრიგში ვერცხლის მედალს დაეუფლა **ნელი დვალიშვილი**.

**საპარაშუტო სპორტი.** ამჯერად, **ნ. უშმაევმა** ჩეხოსლოვაკიაში იასპარეზა მსოფლიო ჩემპიონატში და 2000 მეტრიდან დაშვებისას სიზუსტეზე ხტომაში მეორე იყო, მესამე ადგილი კი აბსოლუტურ პირველობაში ერგო.

**ავტოსპორტი**. ავტომრავალჭიდში პირველად ჩატარდა თბილისში სსრკ თასის გათამაშება. ამ შეჯიბრებაში საქართველოს სპორტული ღირსება წარმატებით დაიცვა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა, რომელმაც თასი თბილისში დატოვა.

**სამთომოთხილამურეობა.** შესანიშნავი იყო 16 წლის წალვერელი სპორტსმენის **გია ორჯონიკიძის** გამოსვლა ჩეხოსლოვაკიაში, სოცქვეყნების "მეგობრობის თასზე". ქართველი ყმაწვილი უძლიერესი იყო სწრაფდაშვებაში. მანამდე, ის ტერსკოლაში, ზამთრის სპორტული სეზონის გახსნისადმი მიძღვნილ ტურნირში მეორე ადგილზე გავიდა გიგანტურ სლალომში.

**თანამედროვე ხუთჭიდი.** საქართველოს ნაკრები კვლავ ინარჩუნებს მოწინავე პოზიციას საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ჩვენმა გუნდმა მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე.

**ველოსპორტი.** წლის სპორტული სეზონი დაიწყო სსრკ ზამთრის პირველობით ტრეკზე რბოლაში. ქართველებმა სამი პირველი და ერთი მეორე ადგილი მოიპოვეს. 20 წრეზე ჯგუფური რბოლა მოიგო **გ. დვალიშვილმა**, 45 წრეზე - **ჯ. მუზაშვილმა**, სპრინტი - **ე. გელაშვილმა**, მასვე მეორე ადგილი ხვდა წყვილთა გიტში. ე. გელაშვილი, საკავშირო პირველობაზე (მოსკოვი), სპრინტში ვერცხლის მედალს დასჯერდა. შემდეგ, იგივე ჯილდო მოიპოვა მსოფლიო პირველობაზეც (სპრინტი). ლვოვის ტრეკზე. საკავშირო ტურნირის გუნდური ასპარეზობა მოიგო საქართველოს "კოლმეურნის" გუნდმა. პირადში მეორე იყო **ს. რეშეტოვი** (50 კმ), **მ. სურმავა** (სპრინტი) - მესამე. ლვოვმა უმასპინძლა ტრეკზე ჭაბუკთა საკავშირო პირველობასაც. **ა. მიკუჩაძემ** ოქროს მედალი მოიპოვა 3 კმ-ზე გამოდევნებით რბოლაში, სპრინტში კი მეორე ადგილი ხვდა წილად **მ. სურმავას**. თბილისში გამართული საკავშირო შეჯიბრება, 50 კმ-ზე, მოიგო საქართველოს ნაკრებმა - **პ. ჩევარდოვის, ი. კაზაკოვის, რ. ნაქაძისა** და **ს. კუკლენკოვის** შემადგენლობით. ერევანში, ასევე საკავშირო ტურნირში, ახალგაზრდებს შორის პირველ ადგილზე გავიდნენ **მ. სურმავა** (გიტი), **ა. სხირტლაძე** (სპრინტი), 1 კმ-ზე და გიტში, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები ხვდა წილად **ი. გველესიანს**. 3 კმ-ზე გამოდევნებით მეორე იყო **დ. ტარასენკო**, მესამე - **ა. მიკუჩაძე**. ასევე მესამე ადგილზე გავიდა **თ. გოგოლაევი** (ჯგუფური რბოლა). იტალიაში, სსრკ ნაკრების შემადგენლობაში, სურმავამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**ჭადრაკი.** ყველაზე ბარაქიანი მოჭადრაკეთა მონაგარი გამოდგა. შედეგები ასეთი იყო: იაცე. ქალთა საერთაშორისო ტურნირი. პირველობას იყოფენ **ნონა გაფრინდაშვილი** და **ნანა იოსელიანი**; ოდესა. სსრკ ჩემპიონატი ახალგაზრდა ოსტატთა შორის. პირველი ადგილი - **ზურაბ სტურუა**; შემდეგ, სტურუა მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს კისლოვოდსკის საერთაშორისო ტურნირში; საქართველოს ნაკრები მესამე ადგილზე გადის საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში; სსრკ ნაკრების შემადგენლობაში, ქალაქ ბად-კისინგენში, ქალთა საზონათაშორისო ტურნირში იმარჯვებს **ნონა გაფრინდაშვილი**; პავლოდარი. სსრკ 50-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ერთადერთი საგზურის მფლობელის გამოსავლენ ტურნირში იმარჯვებს **ზურაბ აზმაიფარაშვილი**; სსრკ ჩემპიონის ოქროს მედალი საჭადრაკო ეტიუდებში, გადაეცა **დავით გურგენიძეს**; რუმინეთის ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი. გოგონებში პირველ ადგილზე გადის **ქეთევან არახამია**, ქალთა შორის პირველი-მეორე ადგილები გაიყო **თამარ ხუგაშვილმა**; ტალინი. სსრკ ჩემპიონის ტიტულს მეორედ ეუფლება **ნანა იოსელიანი**; ლიუცერნი. მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა. საბჭოთა ნაკრები ოთხი ქართველის (**მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი**) შემადგენლობით ჩემპიონის ტიტულს ეუფლება; **მაია ჩიბურდანიძე** 1981 წლის შედეგების მიხედვით ფიდე-მ წლის საუკეთესო მოჭადრაკე ქალად გამოაცხადა.

1982 წლის ბოლოს კი საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი დასახელდა. პირველ ადგილზე გავიდა ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული ოთხეული (**ნ. იოსელიანი, ნ. ალექსანდრია, მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი**); შემდეგ მოდიან: 2. **თემურ ყაზარაშვილი**, 3. **ირინა გერასიმოვა**, 4. **თემურ აფხაზავა**, 5. **ვლადიმერ აფციაური**, 6. **ალექსანდრე ჩივაძე**, 7. **ალექსანდრე ანპილოგოვი**, 8. **რაშ ხუტაბა**, 9. **ნიკოლოზ დერიუგინი**, 10. **მალხაზ ბერუაშვილი**.

*(გაგრძელება იქნება)*

თენგიზ გაჩეჩილაძე

## ომარ მერაბიშვილი



ომარ მერაბიშვილი იმ გამორჩეულ სპეციალისტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს საქართველოში ძიუდოს განვითარებასა და მაღალი კლასის ოსტატთა აღზრდაში. ის იყო ქუთაისში, და საერთოდ, იმერეთში ძიუდოს და სამბოს ფუძემდებელი.

ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მწვრთნელად წავიდა სამუშაოდ ქუთაისში განაწილებით. მის აღზრდილთა შორისაა ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი, ცნობილი ფალავნები აკაკი კიბორძალიძე, ავთანდილ გუბელაძე, გრიგოლ მამრიკიშვილი, რობერტ ლომთაძე, ბერდია გუგავა, მალხაზ ნიჟარაძე, ვიტალი გაბუნია, გურამ კეთილაძე და სხვები. რეგიონისთვის მოამზადა მწვრთნელებიც, იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, სსრ კავშირის ნაკრებში კი მთელი 13 წელიწადი ამზადებდა ძიუდოისტებს. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით.

დაბადებიდან 65 წელი 15 თებერვალს შეუსრულდა. ჯერ კიდევ სიცოცხლის ხალისითა და ენერგიით აღსავსე, მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან. უდიდესი ტკივილი დაუტოვა ახლობლებს, მეგობრებს, კოლეგებს, ყოფილ და ამჟამინდელ შეგირდებს. ომარ მერაბიშვილის ნათელი ხსოვნა და ღვაწლი დავიწყებას არასოდეს მიეცემა.

საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი,
ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



# ნოვიცკი, გასოლი, ცქიტიშვილი

შაბათს **ნიკა ცქიტიშვილის** "კახა სან ფერნანდო" ბასკეთში ჩავიდა და ესპანეთის ჩემპიონატის ლიდერ "ტაუსთან" დამარცხდა - 76:92. ვიდრე ჩვენიანზე ვიტყოდეთ, შეგახსენებთ, რომ ესპანეთის სამეფო თასიდან "კახა" სწორედ "ტაუმ" გამოთიშა.

ბასკეთში ჩატარებულმა მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ კალათბურთელის გახსნა უმთავრესად მწვრთნელზეა დამოკიდებული. *"გუნდის ახალი მწვრთნელი, მონჩო ლოპესი შეტევაში სრულ თავისუფლებას მაძლევს. ასეთ ნდობას რომ ვგრძნობ, თავისთავად თამაშიც უკეთესად გამომდის"*, - განუცხადა ცქიტიშვილმა ესპანელ ჟურნალისტებს.

ტაუს-თან ნიკამ 17 წუთი ითამაშა და საკმარისი რაოდენობის, 9 ტყორცნა შეასრულა - 2 ორქულიანი, 3 სამიანი და 4 საჯარიმო. აქედან მხოლოდ თითო სროლა ააცილა და 11 ქულას მოუყარა თავი. ამას 3 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა მიამატა. ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტის (15) მიხედვით ცქიტო თანაგუნდელთა შორის მხოლოდ **ბრანიმი ლონგინს** ჩამორჩა - 20.

ტაუ-ს რიგებში 18 ქულითა და 11 მოხსნით "სან ანტონიოს" საკუთრება **ლუის სკოლა** გამოირჩა.

**ასე რომ, მწვრთნელის ნდობას ცქიტიშვილის გახსნა მოსდევს, ამას კი პუბლიკაციები ესპანურ პრესაში. ქართველი ფორვარდის ბასკეთში ჩასვლას იქაურმა გაზეთმა "ელ კორეომ" სპეციალური სტატია მიუძღვნა, რომლის სრულ თარგმანსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

ქართევლი ფორვარდი ნიკოლოზ ცქიტიშვილი, რომელმაც NBA-ში ფეხი ვერ მოიკიდა, დღეს "ტაუ-კერამიკას" წინააღმდეგ წარსდგება.

4 წლის წინათ ძნელად წარმოსათქმელი ქართული გვარის მქონე კალათბურთელი შეუზღუდავი შესაძლებლობების ვარსკვლავის სინონიმად იქცა. მას **დირკ ნოვიცკისა და პაუ გასოლს** ადარებდნენ. NBA-ს ჭკვიანი ანალიტიკოსების მიხედვით, ნიკოლოზ ცქიტიშვილი (მეგობრულად სკიტა) კალათბურთის მომავალი იყო, რომელსაც მოედნის ნებისმიერ წერტილში თანაბრად წარმატებით თამაში შეეძლო. იგი 19 წლისა გამოეყო ბენეტონელებს გარბაზოსას, იდნის, ნიკოლას, პიტისს, მწვრთნელ მაიკ დანტონის და "დენვერ ნაგეტსში" ამოჩნდა.

მაგრამ ნაცლად იმისა, რომ პაუ გასოლად ქცეულიყო, NBA-ს ვარსკვლავებში ჩაიკარგა და სათამაშო დრო მინიმუმამდე შეზღუდა. მალე იძულებული გახდა ჩემოდნები ჩაელაგებინა და "გოლდენ სტეიტ უორიორზში" გადაბარგებულიყო. თავი ვერც იქ გამოიჩინა და "მინესოტა ტიმბერვულვზში" აღმოჩნდა. ამას მოჰყვა "ფინიქსი" და "ნიუ იორკი"... ყველა ამერიკულ გუნდში ერთი და იგივე მეორდებოდა - ქართველი ჩრდილიდან ვერ გამოდიოდა და ვერც სათადარიგოთა სკამს შორდებოდა. ასეთ ვითარებაში ყოფნას სკიტამ "ნიქსთან" კონტრაქტის გაწყვეტა და ევროპაში გადმოსვლა არჩია. რუსეთის ვიზის მიუღებლობის გამო მან "სპარტაკ პრიმორესთან" კონტრაქტი გაწყვიტა და "კანა სან ფერნანდოში" გადავიდა.

ცქიტიშვილი სევილიაში იმ იმედით მივიდა, რომ ყველაფერს ახლიდან დაიწყებს და დაკარგულ დროს მაქსიმალურად მოკლე ვადაში დააბალანსებს. ამასთან "კახაში" ფეხის მოკიდება და მწვრთნელის ნდობა სახით მომღიმარ ახალგაზრდას გულსაც გაუხსნის. მას ხომ ნაღვლიანი ღიმილი დაუტოვა ბავშვობის ორმა მოვლენამ - ავტოკატასტროფის შემდეგ მამის დაკარგვამ და რუსეთის საომარმა ჩარევამ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. პატარაობაში ნიკოლოზის ნიჭი ქართულ ნაციონალურ ბალეტში გამოვლინდა, ხოლო 12 წლიდან სიმაღლეში სწრაფად მოიმატა და მოცეკვავის კარიერას კალათბურთელისა ამჯობინა.

მიუხედავად იმისა, რომ NBA-ში წასულ ნებისმიერ კალათბურთელს თვითრწმენა და სიამაყე ემატება, ქართველი ფორვარდი სევილიაში მოკრძალებით ჩამოვიდა. *"სკიტა შესანიშნავი ბიჭია, პატიოსანი, კარგად აღზრდილი. მასთან ურთიერთობა მეტად სასიამოვნოა,"* - გვარწმუნებს "კახა სან ფერნანდოს" პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი **ნაჩო დელგადო**.

ცქიტიშვილი ესპანეთის ჩემპიონატში ცდილობს შეიძინოს ის, რისი მიღებაც მანამდე ვერ მოახერხა - თვითრწმენა და სათამაშო პრაქტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ სკიტას ნებისმიერი მოძრაობა მის ნიჭიერებაში გვარწმუნებს, "კახაში" მიზნის მიღწევა არ უნდა გაუჭირდეს.

ტაუს დარბაზში გამართული ვარჯიშის შემდეგ იგი საშხაპეში ყველაზე გვიან შევიდა, ხოლო საწვრთნელი პროცესისას ხმა ერთხელაც არ აუმაღლებია. როგორც ჩანს, მის პიროვნულ თვისებებზე ოდნავადაც არ უმოქმედია არც ოთხი წლის წინათ დრაფტის ოლიმპზე დგომას და არც NBA-ს მახრჩობელა ჭაობს.

# მონტეპასკი, როგორც აზოტი

ესპანურ ამბებსა და ნიკა ცქიტიშვილის შესახებ გვერდით მდებარე სტატიაში წაიკითხავთ, აქ კი დავძენთ **ვიქტორ სანიკიძის** "ესტუდიანტესმა" რეალი სატურნირო ცხრილის მეორე პოზიციაზე ჩამოსვა - 87:85 დაამარცხა.

ესპანეთის ჩემპიონატი. 27-ე ტური. 1. ტაუ -21, 2. რეალი - 20 მოგება, 3. ხირონა -18, 4. ბარსელონა-18, 5. ხუვენტუდი-16, 6. გრან კანარია-15, 7. უნიკახა-15, 8. ვალენსია-14, **9. ესტუდიანტესი-14, 10. კახა-13,** 11. ფუენლაბრადა-12, 12. გრანადა-11, 13. ბილბაო-11, 14. ალიკანტე-10, 15. მურსია-10, 16. ვალიადოლიდი-9, 17. ბრუესა-8, 18. მენორკა-7.

### იტალია

იტალიის პირველობაზე გასულ კვირას ორი ტური გაიმართა. ოთხივე მატჩი, რომელშიც საქართველოს ნაკრების წევრები მონაწილეობდნენ მათი გამარჯვებით დასრულდა. **ვლადიმერ ბოისას** "მონტეპასკიმ" ჯერ "კანტუს" აჯობა (93:74), შემდეგ სტუმრად ბოლონიის "ვიდივიჩის" - 84:76. თუკი ქვემოთ მდებარე ცხრილს დახედავთ, დარწმუნდებით, რომ ეს მოგება ისეთივე მნიშვნელოვანი იყო, როგორიც ანატოლი ბოისას "აზოტისა" "ავიამშენთან" - რუსთაველებმა და სიენელებმა უშუალო კონკურენტებს სძლიეს და რეგულარულ ჩემპიონატში ნაადრევად დაიჯავშნეს პირველი ადგილი. "მონტეპასკიში" ვოვა ბოისას უმთავრესად დაცვითი ფუნქციები რომ აკისრია, "კანტუსთან" მატჩშიც გამოჩნდა - 17 წუთში მეტოქის კალათის მიმართულებით ერთხელაც არ უსვრია. ხოლო ბოლონიაში 7 წუთში ერთი ორქულიანი გამოიყენა.

სტაბილურად გამოიყურება **ტაირონ ელისი**, რომელმაც ორივე მატჩი სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და ორჯერვე 13 ქულას მოუყარა თავი.

იტალიის ჩემპიონატი. 26 ტურის შემდეგ. **1. მონტეპასკი - 22 მოგება**, 2. ვიდივიჩი - 17, 3. მილანი -17, 4. რომა -17, 5. ბენეტონი - 16, 6. ვარეზე -14, 7. კანტუ-14, **8. ნაპოლი -14,** 9. პრემიატა -13, 10. სკაფატი-13, 11. ბიელა - 13, 12. კლიმამიო -11, 13. უპეა-11, 14. უდინე - 10, 15. სივილია - 10, 16. აველინო - 9, 17. რეჯო ემილია - 7, 18. ლივორნო - 6.



მანუჩარ მარკოიშვილი სლოვანის წინააღმდეგ

### სლოვენია

სლოვენიის პირველობის მეორე ეტაპის მეორე ტურში **მანუჩარ მარკოიშვილმა** სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. არანაკლებ ძლიერი "სლოვანის" კალათაში 20 ქულა მოათავსა (10-დან 8 ორქულიანი, 12-დან 8 სამქულიანი). მანუმ ეს არ იკმარა და თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი პასი (5) და ჩაჭრა (3) მიითვალა, ზედ 2 მოხსნა მიამატა. "სლოვანი" წელსაც ძლიერი გუნდია, მაგრამ სლოვენიის თასის გათამაშებამაც გვიჩვენა, რომ ქვეყნის პირველობისთვის ბრძოლაში "ოლიმპიას" მთავარი კონკურენტი "ჰელიოსი" იქნება, რომელმაც ლიუბლიანელები თასის ფინალში დაამარცხა.

სლოვენიის ჩემპიონატი. 2 ტურის შემდეგ. **1. ოლიმპია - 2 მოგება**, 2. ელექტრა - 2, 3. კრკა -1, 4. სლოვანი -1, 5. ზლატოროგი -1, 6. ჰელიოსი -1, 7. ლოკა - 0, 8. ალპოსი -0

### საფრანგეთი

საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ვატო ნაცვლიშვილი** ფეხის ტრავმისაგან სრულად განიკურნა და ჩვეული ფორმაც დაიბრუნა. სათადარიგოთა სკამიდან იგი კვლავ ნაყოფიერად ეხმარება დიჟონელებს. საფრანგეთის პირველობის 27-ე ტურში "დიჟონმა" "ორლეანი" 78:68 დაამარცხა. ამ შეხვედრაში ვატომ 16 წუთში 7 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი გააკეთა.

საფრანგეთის ჩემპიონატი. 27-ე ტური. 1. ნანსი - 20 მოგება, 2. შალონი-19, 3. როანი-18, 4. სტრასბური-17, 5. ლე მანი-16, 6. პო ორტეზი-15, 7. ორლეანი-15, 8. ვილერბანი-15, 9. შოლე-14, 10. დიჟონი-14, 11. ლე ავრი-14, 12. გრაველინი-13, 13. პარიზი-12, 14. კლერმონი-11, 15. ტულონი -10, 16. ბეზანსონი - 9, 17. ბურჟი-6, 18. რეიმსი-5.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| მოთამაშე | ტურნირი | თარ. | მატჩი | წ. | მ | პ | ჩ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | NBA | 26.03 | მაიამი-ატლანტა 106:89 | არ უთამაშია | | | | |
| | | 28.03 | შარლოტი-ატლანტა 101:87 | 25 | 5 | 3 | 3 | 6 |
| | | 1.04 | ატლანტა-ჩიკაგო 97:105 | 32 | 7 | 0 | 1 | 9 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესპანეთი (ჩ.) | 31.03 | ესტუდიანტესი-რეალი 87:85 | არ უთამაშია | | | | |
| ნიკა ცქიტიშვილი | ესპანეთი (ჩ.) | 31.03 | ტაუ-კახა 92:76 | 17 | 3 | 1 | 1 | 11 |
| ვატო ნაცვლიშვილი | საფრანგეთი (ჩ.) | 27.03 | ვილერბანი-დიჟონი 80:73 | 17 | 2 | 1 | 0 | 7 |
| | საფრანგეთი (ჩ.) | 31.03 | დიჟონი-ორლეანი 78:68 | 16 | 4 | 1 | 0 | 7 |
| ვლადიმერ ბოისა | იტალია (ჩ.) | 29.02 | მონტეპასკი-კანტუ 93:74 | 17 | 3 | 0 | 0 | 0 |
| | იტალია (ჩ.) | 1.03 | ბოლონია-მონტეპასკი 76:84 | 7 | 1 | 0 | 0 | 2 |
| ტაირონ ელისი | იტალია (ჩ.) | 29.02 | ნაპოლი-ლივორნო 92:83 | 32 | 3 | 2 | 0 | 13 |
| | იტალია (ჩ.) | 1.03 | ვარეზე-ნაპოლი 67:72 | 24 | 4 | 0 | 0 | 13 |
| მანუ მარკოიშვილი | სლოვენია (ჩ.) | 28.03 | ოლიმპია-ლოკა 101:68 | 24 | 3 | 1 | 1 | 15 |
| | სლოვენია (ჩ.) | 1.04 | ოლიმპია-სლოვანი 93:79 | 35 | 2 | 5 | 3 | 20 |
| გ. გაფრინდაშვილი | ლატვია (ჩ.) | 1.04 | ვენტსპილსი-ასკ 104:59 | 34 | 4 | 1 | 1 | 6 |

## ქართველები NBA-ში

**ატლანტა-ჩიკაგო 97:105**

31:32, 25:20, 17:23, 24:30

ატლანტა: ჯოშ სმიტი (44 წთ. 24 ქ. 12 მ. 5 დ. 3 პ. 1 ჩ), მერვინ უილიამსი (38 წთ. 16 ქ. 8 მ. 1 პ), ჩილდრესი (34 წთ. 12 ქ. 5 პ. 2 ჩ. 1 მ. 1 დ), **ზაზა ფაჩულია (31 წუთი, 9 ქულა, 7 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 4 შეცდომა, 4 ფოლი)**, ე. ჯონსონი (25 წთ. 3 ქ. 2 პ. 1 მ. 1 ჩ) – ლიუ (24 წთ. 15 ქ. 4 პ. 2 მ), ს. ჯოუნსი (18 წთ. 8 ქ. 5 დ. 4 მ), ს. სტაუდმაიერი (17 წთ. 8 ქ. 5 მ. 1 პ), შელდენ უილიამსი (5 წთ. 2 ქ. 1 მ).

ჩიკაგო: დენგი (43 წთ. 30 ქ. 6 მ. 2 პ. 1 ჩ), ჰაინრიხი (37 წთ. 22 ქ. 3 მ. 3 პ. 2 ჩ. 1 დ), გორდონი (35 წთ. 15 ქ. 7 მ. 3 მ. 2 ჩ), პი. ჯეი. ბრაუნი (23 წთ. 8 ქ. 9 მ. 1 პ. 1 დ), ბენ უოლასი (36 წთ. 5 ქ. 9 მ. 3 დ) – დიუჰონი (26 წთ. 11 ქ. 2 პ. 2 ჩ. 1 მ), ტაირუს ტომასი (25 წთ. 8 ქ. 8 მ. 3 პ. 3 დ. 1 ჩ), მ. ალენი (7 წთ. 6 ქ), სეფოლოშა (4 წთ. უქულოდ, 1 დ).

**I მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:36 | ორქულიანი ტყორცნა: 2 ქ (2:0) |
| 10:10 | ორქულიანი ტყორცნა: 4 ქ (6:2) |
| 10:10 | მოხსნა: 1 (შეტ: 1, დაც: 0) |
| 09:57 | ჩაჭრა: 1 (პი. ჯეი. ბრაუნს ჩაუჭრა) |
| 06:11 | ფოლი: 1 (ბრაუნზე დაჯარიმდა) |
| 04:33 | ორქულიანი: ბ. უოლასმა დაუფარა |
| 02:16 | მოხსნა: 2 (შეტ: 1, დაც: 1) |
| 01:43 | მოხსნა: 3 (შეტ: 1, დაც: 2) |
| 01:37 | ფაჩულია შ. უილიამსმა შეცვალა |

**II მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 08:12 | ფაჩულიამ შ. უილიამსი შეცვალა |
| 04:34 | ფოლი: 2 (დენგზე დაჯარიმდა) |
| 03:03 | მოხსნა: 4 (შეტ: 1, დაც: 3) |
| 01:06 | მოხსნა: 5 (შეტ: 2, დაც: 3) |
| 01:05 | ორქულიანი ტყორცნა: 6 ქ (54:49) |
| 00:38 | ს. სტაუდმაიერმა შეცვალა |

**III მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 12:00 | ს. სტაუდმაიერი შეცვალა |
| 10:51 | შეცდომა: 1 (3 წამის წესი დაარღვია) |
| 09:23 | მოხსნა: 6 (შეტ: 2, დაც: 4) |
| 08:02 | მოხსნა: 7 (შეტ: 2, დაც: 5) |
| 07:03 | ორქულიანი: ბრაუნმა დაუფარა |
| 07:00 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 06:18 | შეცდომა: 2 (გორდონმა ჩაუჭრა) |
| 05:51 | ფაჩულია ს. ჯოუნსმა შეცვალა |
| 03:32 | ფაჩულიამ მ. უილიამსი შეცვალა |
| 02:17 | ორქულიანი ტყორცნა: 8 ქ (68:72) |
| 02:17 | ფაჩულიაზე ტ. ტომასი დაჯარიმდა |
| 02:17 | საჯარიმო: 9 ქ (69:72) |
| 01:42 | ფოლი: 3 (ბ. უოლასზე დაჯარიმდა) |

**IV მეოთხედი**

| | |
|---|---|
| 11:21 | ფოლი: 4 (თავდასხმაში) |
| 11:21 | შეცდომა: 3 (ფოლი თავდასხმაში) |
| 10:33 | ფაჩულია მ. უილიამსმა შეცვალა |
| 07:32 | ფაჩულიამ ს. ჯოუნსი შეცვალა |
| 06:32 | შეცდომა: 4 (ტ. ტომასმა ჩაუჭრა) |
| 04:38 | ფაჩულია ე. ჯონსონმა შეცვალა |

**ატლანტა ჰოქსი:** 74 მატჩი, 27 მოგება, 47 წაგება, ბოლო ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში, XIII ადგილი აღმოსავლეთის კონფერენციაში; **მომდევნო მატჩი:** ნიუ ჯერსი-ატლანტა (4 აპრილი).

## ხელბურთი

### ახალგაზრდული ნაკრები

# დანიაში წასვლა გადაწყდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფინანსური პრობლემა, როგორც იქნა, მოგვარდა და 6-8 აპრილს, გუნდი დანიაში მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ითამაშებს. ნაკრებში საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ხელბურთელებიდან 18 საუკეთესო ახალგაზრდაა ამორჩეული. აქედან, ნაკრების თავკაცი **ირაკლი კეკელიძე** და მისი ასისტენტი **ბექა ორჯონიკიძე** თოთხმეტ საუკეთესოს შეარჩევენ. რაც შეეხება საშინაო ასპარეზს, გლდანის დარბაზში დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი 1990-91 წლებში დაბადებულ კადეტებს შორის. 8 გუნდი მონაწილეობს.

**კობა ხატისაშვილი**

ტურნირები

# მასტერ ჯოკოვიჩი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

ახლა უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ ჩოგბურთს კიდევ ერთი ვარსკვლავი შეემატა. მისი სახელი **ნოვაკ ჯოკოვიჩია**, ის სერბია და მალე დევისის თასზე საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებს. სანამ ეს მოხდებოდეს, მანამ მაიამის მასტერსი მოიგო და სწორედ ამ გამარჯვებით, საჩოგბურთო წრეების აღიარება დაიმსახურა.

ჯოკოვიჩი ამ სეზონს შესანიშნავად ატარებს. ორი კვირის წინათ მან ინდიან ველსის მასტერსის ფინალშიც ითამაშა, მაგრამ მაშინ ესპანელ **რაფაელ ნადალთან** წააგო. ამჯერად კი გადამწყვეტ შეხვედრაში მისი მეტოქე არგენტინელი **გილერმო კანიასი** იყო, ის კანიასი, ვინც ზედიზედ ორჯერ მოუგო მსოფლიოს პირველ ჩოგანს, შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**.

ჯოკოვიჩი ჯერ მხოლოდ 19 წლისაა და ის მაიამის ტურნირის ისტორიაში, ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა. აქამდე ეს საპატიო წოდება ამერიკელ **ანდრე აგასის** ეკუთვნოდა. სერბი მეჩოგნისთვის ეს ამ სეზონში მოგებული მეორე, კარიერაში კი მეოთხე ტიტულია.

თამაშის მანერით ბევრი მას ფედერერს ადარებს. ყოველ შემთხვევაში, ჯოკოვიჩი უნივერსალ მეჩოგნეთა მცირე კოჰორტას მიეკუთვნება. მაიამის ტურნირი მან სეტის წაუგებლად მოიგო, რითაც ლეგენდარული **ივან ლენდლის** (1989 წლის) მიღწევა გაიმეორა. სხვათა შორის, ამ ორის გარდა, მსგავსი გმირობა არავის ჩაუდენია.

კანიასმა ამჯერად ის შემართება ვეღარ გამოავლინა, რომლის წყალობითაც ზედიზედ ორჯერ მოუგო ფედერერს. თანაც, ის ვერაფერს უპირისპირებდა მეტოქის მრავალფეროვანსა და აგრესიულ თამაშს. თანაც, ჯოკოვიჩი მუდმივად მაღალ ტემპში ირჯებოდა და მუდმივად უცვლიდა ბურთს მიმართულებას, რითაც არგენტინელს კორტის ერთი კუთხიდან მეორისკენ გადარბენა ხშირად უწევდა.

*"ჩემს თავს ყოველთვის ვადარებ საუკეთესო ჩოგბურთელებს, რადგან მინდა, ერთხელაც მათ შორის მომიხსენიონ. ახლა სწორედ ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ მათ დონეს მივაღწიე. უფრო მეტიც, თავისუფლად შემიძლია, მსოფლიოს სამ საუკეთესო ჩოგბურთელთა ვიწრო წრეშიც შევაღწიო. ყველაფერს ვიზამ, რომ ეს ოცნებაც ავისრულო. ძალიან გახარებული ვარ ჩემი მიღწევით და ვიმედოვნებ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა, ვინც ტურნირი რეიტინგის მეათე საფეხურზე მდგარმა დაიწყო, მისი მოგების შემდეგ კი მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი გახდა.

რაც შეეხება კანიასს, მან 15-თვიანი დოპინგდისკვალიფიკაცია შარშან მოიხადა, რის შემდეგაც გასულ სეზონში ბევრი არაფრით გამოუჩენია თავი. ახლაც, მაიამის ტურნირი მან საკვალიფიკაციო ეტაპზე დაიწყო და ფინალამდე გასვლა რომ მოახერხა, ესეც დიდი გმირობაა. თანაც, გზიდან ფედერერის გარდა, კიდევ ოთხი განთესილი მეტოქე ჩამოიშორა.

ფინალში მას ხუთჯერ ჰქონდა ბრეიკის შანსი, მაგრამ ვერც ერთის გამოყენება ვერ მოახერხა. პირველ სეტში 29 წლის კანიასს ფეხების სპაზმი დაეწყო, რამაც მის თამაშზე უარყოფითად იმოქმედა. სერბმა პირველი ბრეიკი მეოთხე გეიმში მოიპოვა, მერე კი მსაჯთან კამათისას აიშალა ნერვები და ესეც მის თამაშზე აისახა. ჯოკოვიჩმა ამით შესანიშნავად ისარგებლა და მომდევნო 12 გათამაშება მოიგო.

მას პირველი სეტის მოგება არ გასჭირვებია და მეორეს მეხუთე გეიმშიც შეძლო მეტოქის სერვისზე ქულის აღება. თითქოს, წინა სეტის სცენარი ამჯერადაც უნდა გამეორებულიყო, მაგრამ მეექვსე გეიმში კანიასმა ნერვებიც მოთოკა და შემართებითაც ათამაშდა. შედეგად, ამ გეიმში ანგარიში რვაჯერ გათანაბრდა, სულ კი ის 19 წუთი გაგრძელდა. საბოლოოდ, სერბმა შეძლო თავისი სერვისის მოგება, რის შემდეგაც მაყურებელმა ორივე ჩოგბურთელი ოვაციით დააჯილდოვა.

*"ეს გადამწყვეტი მომენტი იყო, რის შემდეგაც გილერმო გატყდა. საერთოდ, ასეთი მომენტები ყოველ შეხვედრაში იჩენს ხოლმე თავს, მაგრამ სხვადასხვა სიმძაფრით. ასეთ დროს ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გაწონასწორებული ხარ"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

კანიასს კი სპაზმებმა თავი მესამე სეტშიც შეახსენა, რის გამოც კორტზე მასაჟისტს უხმო. ტრავმის მიუხედავად, ის კარგა ხანს უძალიანდებოდა ჯოკოვიჩს, მაგრამ მეცხრე გეიმში მაინც გატყდა - ორმაგი შეცდომით, მეტოქეს გადამწყვეტი ქულა აჩუქა. ამ ბრეიკის შემდეგ სერბს თავის სერვისზე გამარჯვების ქულის აღება აღარ გასჭირვებია.

*"რაც შემეძლო, ყველაფერი ვიღონე. სამივე სეტში თავი არ დამიზოგავს, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ნოვაკი შესანიშნავი ჩოგბურთელია და მას დიდი მომავალი აქვს. თუ ასე გააგრძელებს, გარწმუნებთ, რომ მალე მსოფლიოს სამ საუკეთესო ჩოგბურთელს შორის იხილავთ და ეს ძალიან მალე მოხდება"*, - ასე შეაფასა თავისი მეტოქე გამოცდილმა არგენტინელმა.

**ATP**

**სონი ერიქსონის ღია პირველობა**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 450 000 დოლარი

**ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 10)**-გილერმო კანიასი (არგ) 6:3, 6:2, 6:-4

## რეიტინგები

| ATP-ის რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 7290 |
| 2(2). რაფაელ ნადალი (ესპ) | 4875 |
| 3(3). ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4(4). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 2825 |
| 5(5). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 2755 |
| 6(6). ტომი რობრედო (ესპ) | 2645 |
| 7(10). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 2540 |
| 8(7). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 2270 |
| 9(8). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10(9). ტომი ჰაასი (გერ) | 2135 |
| 11(12). ენდი მარეი (ბრიტ) | 2125 |
| 12(11). დავიდ ნალბანდიანი (არგ) | 1805 |
| 13(13). მარიო ანჩიჩი (ხორ) | 1775 |
| 14(15). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 1715 |
| 15(16). რიშარ გასკე (საფ) | 1620 |
| 16(14). დავიდ ფერერი (ესპ) | 1615 |
| 17(17). მიხაილ იუჟნი (რუს) | 1545 |
| 18(18). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 1315 |
| 19(19). ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) | 1250 |
| 20(21). იარკო ნიემინენი (ფინ) | 1250 |

| ATP-ის საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 276 |
| 2(5). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 272 |
| 3(6). ენდი მარეი (ბრიტ) | 212 |
| 4(3). ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 5(4). რაფაელ ნადალი (ესპ) | 205 |
| 6(2). ტომი ჰაასი (გერ) | 201 |
| 7(9). ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 180 |
| 8(7). ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 170 |
| 9(8). მიხაილ იუჟნი (რუს) | 152 |
| 10(10). ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 146 |
| 11(11). ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 124 |
| 12(26). გილერმო კანიასი (არგ) | 120 |
| 12(12). დავიდ ფერერი (ესპ) | 120 |
| 14(17). ტომი რობრედო (ესპ) | 112 |
| 15(13). ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 104 |
| 16(14). მარდი ფიში (აშშ) | 96 |
| 17(15). კარლოს მოია (ესპ) | 95 |
| 18(16). მარკოს ბაღდატისი (კვი) | 92 |
| 19(18). რიშარ გასკე (საფ) | 85 |
| 20(18). რობინ სიოდერლინგი (შვედ) | 78 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიც) | 1 360 370 |
| 2. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 1 019 365 |
| 3. რაფაელ ნადალი (ესპ) | 759 845 |
| 4. ტომი ჰაასი (გერ) | 563 790 |
| 5. ფერნანდო გონსალესი (ჩილ) | 566 580 |
| 6. ენდი როდიკი (აშშ) | 540 640 |
| 7. ენდი მარეი (ბრიტ) | 529 205 |
| 8. ივან ლუბიჩიჩი (ხორ) | 506 395 |
| 9. მიხაილ იუჟნი (რუს) | 490 860 |
| 10. გილერმო კანიასი (არგ) | 385 500 |
| 11. ხუან იგნასიო ჩელა (არგ) | 375 400 |
| 12. ნიკოლაი დავიდენკო (რუს) | 307 330 |
| 13. ბობ ბრაიანი (აშშ) | 284 210 |
| 13. მაიკ ბრაიანი (აშშ) | 284 210 |
| 15. დავიდ ფერერი (ესპ) | 280 250 |
| 16. ტომი რობრედო (ესპ) | 275 190 |
| 17. ფაბრის სანტორო (საფ) | 234 425 |
| 18. მარკოს ბაღდატისი (კვი) | 221 380 |
| 19. მარდი ფიში (აშშ) | 211 800 |
| 20. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 207 010 |

| WTA-ს რეიტინგი | |
|---|---|
| 1(1). ჟუსტინ ანენ-არდენი (ბელ) | 3994 |
| 2(2). მარია შარაპოვა (რუს) | 3388 |
| 3(4). ამელი მორესმო (საფ) | 2776 |
| 4(5). კიმ კლაისტერსი (ბელ) | 2699 |
| 5(3). სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 2667 |
| 6(6). მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 2294 |
| 7(7). ნადია პეტროვა (რუს) | 2173 |
| 8(8). ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 1981 |
| 9(9). ელენა იანკოვიჩი (სერ) | 1867 |
| 10(11). ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 1847 |
| 11(18). სერენა უილიამსი (აშშ) | 1769 |
| 12(10). ელენა დემენტიევა (რუს) | 1635 |
| 13(14). დინარა საფინა (რუს) | 1597 |
| 14(12). დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 1571 |
| 15(16). შაარ პეერი (ისრ) | 1508 |
| 16(13). პატი შნიდერი (შვეიც) | 1505 |
| 17(15). ანა ივანოვიჩი (სერ) | 1400 |
| 18(17). ნა ლი (ჩინ) | 1388 |
| 19(20). ვერა ზვონარევა (რუს) | 1083 |
| 20(19). ტატიანა გოლოვინი (საფ) | 1007 |

| WTA-ს საჩემპიონო რბოლა | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1530 |
| 2. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 1050 |
| 3. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 1036 |
| 4. მარია შარაპოვა (რუს) | 1030 |
| 5. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 985 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 936 |
| 7. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 930 |
| 8. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 867 |
| 9. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 850 |
| 9. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 850 |
| 11. შაარ პეერი (ისრ) | 826 |
| 12. ამელი მორესმო (საფ) | 825 |
| 13. ნა ლი (ჩინ) | 681 |
| 14. ანა ივანოვიჩი (სერ) | 631 |
| 15. ნადია პეტროვა (რუს) | 626 |
| 16. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 540 |
| 17. დინარა საფინა (რუს) | 481 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფ) | 480 |
| 19. ტატიანა გარბინი (იტა) | 456 |
| 20. ვერა ზვონარევა (რუს) | 442 |

| ფულადი მონაგარი | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1 777 664 |
| 2. მარია შარაპოვა (რუს) | 745 440 |
| 3. ჟუსტინ ანენი (ბელ) | 724 805 |
| 4. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკ) | 578 598 |
| 5. მარტინა ჰინგისი (შვეიც) | 528 238 |
| 6. სვეტლანა კუზნეცოვა (რუს) | 511 195 |
| 7. კიმ კლაისტერსი (ბელ) | 491 810 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) | 462 063 |
| 9. შაარ პეერი (ისრ) | 381 161 |
| 10. ანა ჩაკვეტაძე (რუს) | 366 193 |
| 11. ელენა იანკოვიჩი (სერ) | 360 067 |
| 12. ლიზელ ჰუბერი (ს.აფრ) | 342 868 |
| 13. ამელი მორესმო (საფ) | 340 373 |
| 14. კარა ბლეკი (ზიმ) | 327 938 |
| 15. სამანტა სტოსური (ავტრა) | 297 903 |
| 16. ნა ლი (ჩინ) | 287 581 |
| 17. ნადია პეტროვა (რუს) | 250 860 |
| 18. ლუსი საფაროვა (ჩეხ) | 241 043 |
| 19. ვერა ზვონარევა (რუს) | 218 519 |
| 20. ანა ივანოვიჩი (სერ) | 206 720 |



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ ჯერსი-ბოსტონი 3:1**

**1:0, 1:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 პანდოლფო-12 (რასმუსენი-6, მადენი-19), 1:1 კალუსი-3 (ტენკრატი-5, კესელი-17), 2:1 ჯონტა-25 (პარიზე-30, რაფალსკი-45), 3:1 პანდოლფო-13 (მადენი-20, რასმუსენი-7).

**კოლამბუსი-დეტროიტი 1:4**

**0:0, 0:3, 1:1**

**გოლები:** 0:1 ლებდა-5 (სამუელსონი-17, ლანგი-31), 0:2 ჰოლმსტრიომი-27 (ჰუდლერი-8, ლებდა-12), 0:3 დაციუკი-27, 0:4 ჰოლმსტრიომი-28 (დრეიპერი-15, კლირი-19), 1:4 ნეში-25 (მეტოტი-4).

**ჩიკაგო-ედმონტონი 2:1**

**0:1, 1:0, 1:0**

**გოლები:** 0:1 ტორესი-15 (პულიო-7, პეტერსენი-8), 1:1 ტ. რუუტუ-17 (ვრბატა-27, სიბრუკი-20), 2:1 შარპი-20 (ჰავლატი-32).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 6:2**

**1:1, 4:0, 1:1**

**გოლები:** 1:0 ბელი-10 (მარლო-44, პაველსკი-12), 1:1 კამალერი-32 (ო'სალივანი-14, კოპიტარი-40), 2:1 ჩიჩუ-33 (რივეტი-16, ჯ. ტორტონი-85), 3:1 მ. მიხალეკი-24 (ჯ. ტორტონი-86, ვლასიჩი-23), 4:1 ჩიჩუ-34 (რივეტი-17, ჯ. ტორტონი-87), 5:1 ჩიჩუ-35 (ჯ. ტორტონი-88, მ. კარლი-30), 5:2 ფროლოვი-35 (ა. მილერი-8), 6:2 რისშილერი-7 (გრიერი-16, კ. ბრაუნი-11).

**ფლორიდა-კაროლინა 3:4 (ო)**

**2:0, 1:1, 0:2, 0:1**

**გოლები:** 1:0 შტუმპელი-22 (ო. იოკინენი-48, ვან რინი-23), 2:0 შტუმპელი-23 (ჰორტონი-29, ო. იოკინენი-49), 2:1 ტანაბე-3 (ე. სტაალი-38, რეი უიტნი-50), 3:1 გრეტონი-13 (კოლნიკი-14, ბოუმისტერი-29), 3:2 ბრინდამორი-24 (ჯასტინ უილიამსი-33, კომოდორი-22), 3:3 ლაროუზი-6 (სტილმანი-20, ფ. კაბერლე-6), 3:4 რეი უიტნი-31 (ბრინდამორი-54, სტილმანი-21).

**რეინჯერსი-ტორონტო 7:2**

**2:2, 3:0, 2:0**

**გოლები:** 0:1 პონიკაროვსკი-21 (სუნდინი-45), 1:1 შ. ეივერი-17, 2:1 ნიულანდერი-25 (ისბისტერი-3, იაგრი-63), 2:2 დევერო-8 (კუბინა-14, ტ. კაბერლე-44), 3:2 კელეჰანი-4 (ორტმაიერი-9), 4:2 სტრაკა-29 (შ. ეივერი-29, შენეჰანი-32), 5:2 შ. ეივერი-18, 6:2 როუსივალი-10 (ნიულანდერი-56, იაგრი-64), 7:2 იაგრი-29 (ისბისტერი-4).



## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ინდიანა-სან ანტონიო 100:99**

**26:32, 27:22, 24:22, 23:23**

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (21 ქ. 7 მ. 2 ჩ), მერფი (20 ქ. 2 ჩ. 2 დ), ტინსლი (20 ქ. 8 პ. 4 ჩ), დიოგუ (18 ქ. 16 მ), დ. გრეინჯერი (16 ქ. 3 პ).

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (22 ქ. 7 მ. 7 პ), დანკანი (17 ქ. 11 მ. 2 დ), ფინლი (17 ქ), ჯინობილი (13 ქ. 3 ჩ).

**დეტროიტი-მაიამი 94:88**

**13:24, 28:22, 24:23, 29:19**

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (19 ქ), ბილაპსი (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), რ. უოლასი (14 ქ. 6 მ. 2 დ), მაკდაიესი (12 ქ. 7 მ), დელფინო (12 ქ).

**მაიამი:** შ. ონილი (23 ქ. 8 მ), ჯეისონ უილიამსი (21 ქ), ჰასლემი (15 ქ. 8 მ. 5 პ), პოუსი (10 ქ. 9 მ. 4 პ).

**ატლანტა-ჩიკაგო 97:105**

**31:32, 25:20, 17:23, 24:30**

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (24 ქ. 12 მ. 5 დ. 3 პ), მერვინ უილიამსი (16 ქ. 8 მ), ლიუ (15 ქ), ჩილდრესი (12 ქ. 5 პ. 2 ჩ. 1 დ), **ფაჩულია (9 ქ. 7 მ. 1 ჩ).**

**ჩიკაგო:** დენგი (30 ქ. 6 მ), ჰაინრიხი (22 ქ. 3 პ. 2 ჩ), გორდონი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ), დიუჰონი (11 ქ).

**ფინიქსი-დალასი 126:104**

**26:29, 34:27, 29:26, 37:22**

**ფინიქსი:** ბარბოსა (29 ქ), ა. სტაუდმაიერი (24 ქ. 9 მ), ნეში (23 ქ. 11 პ. 3 ჩ), მერიონი (20 ქ. 7 მ. 4 პ. 3 დ), დიაო (16 ქ. 5 პ. 4 მ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (28 ქ. 7 მ), სტექჰაუზი (25 ქ), ნოვიცკი (21 ქ. 6 მ. 6 პ), ტერი (20 ქ. 4 პ).

**გ. სტეიტი-მემფისი 122:117**

**32:31, 24:25, 30:33, 36:28**

**გოლდენ სტეიტი:** ჯ. რიჩარდსონი (26 ქ. 8 პ. 2 ჩ. 2 დ), ს. ჯექსონი (21 ქ. 9 პ. 2 დ), მ. ელისი (17 ქ. 9 პ. 2 ჩ. 2 დ), ელ ჰარინგტონი (17 ქ), ბიედრინსი (13 ქ. 18 მ), მ. პიეტრუსი (12 ქ. 4 დ).

**მემფისი:** გასოლი (23 ქ. 9 მ. 5 პ. 2 დ), კინსი (21 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ), უორიკი (19 ქ. 9 მ), ეტკინსი (19 ქ. 4 პ), გეი (15 ქ. 7 მ. 2 ჩ).

**მილუოკი-ვაშინგტონი 107:121**

**35:25, 16:32, 34:31, 22:33**

**მილუოკი:** მო უილიამსი (25 ქ. 2 ჩ), პატერსონი (19 ქ. 10 მ. 6 პ. 2 ჩ), ჩ. ბელი (18 ქ. 4 პ), ბოიკინსი (11 ქ), სკინერი (10 ქ. 8 მ), ილიასოვა (10 ქ. 6 მ. 4 პ).

**ვაშინგტონი:** არენასი (19 ქ. 9 პ), კ. ბატლერი (19 ქ. 5 მ), ჯ. ჰეიესი (17 ქ. 3 ჩ), სონგაილა (15 ქ. 6 მ), სტივენსონი (13 ქ. 6 მ), ბუტი (11 ქ. 11 მ. 2 დ), ჯეიმისონი (10 ქ).

**ბოსტონი-კლივლენდი 98:96**

**28:16, 25:33, 27:20, 18:27**

**ბოსტონი:** ჯ. გრინი (25 ქ. 4 პ), ელ ჯეფერსონი (24 ქ. 7 მ. 5 დ. 4 პ), გომესი (17 ქ. 7 მ. 2 ჩ), პერკინსი (12 ქ. 9 მ. 5 პ. 2 დ), დელო ნტე უესტი (11 ქ).

**კლივლენდი:** ჰიუზი (24 ქ. 2 ჩ), პავლოვიჩი (17 ქ. 7 მ. 4 პ), ილგაუსკასი (14 ქ. 2 დ), ვარეჟაო (12 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ), გუდენი (12 ქ. 4 მ).

**ორლანდო-მინესოტა 104:105 (ო)**

**23:31, 30:23, 21:25, 24:19, 6:7**

**ორლანდო:** გ. ჰილი (23 ქ), მილიჩიჩი (18 ქ. 10 მ. 3 ჩ. 3 დ), არიზა (18 ქ. 6 მ. 2 დ), დულინგი (11 ქ), დ. ჰოვარდი (8 ქ. 19 მ).

**მინესოტა:** რ. დევისი (36 ქ. 3 პ), გარნეტი (22 ქ. 14 მ. 8 პ), მ. ჯეიმსი (12 ქ), იარიჩი (11 ქ. 2 დ).

**ჰიუსტონი-იუტა 83:86**

**16:20, 16:16, 29:23, 22:27**

**ჰიუსტონი:** მინი (35 ქ. 16 მ. 4 დ), მაკგრეიდი (20 ქ. 5 მ. 4 პ), ჯუვან ჰოვარდი (10 ქ).

**იუტა:** ოქური (20 ქ. 9 მ), ბუზერი (13 ქ. 10 მ. 3 პ), დ. უილიამსი (12 ქ. 11 პ. 5 მ), მილსეპი (2 ქ. 10 მ).

**ტორონტო-შარლოტი 107:94**

**27:19, 26:26, 27:26, 27:23**

**ტორონტო:** ბოში (24 ქ. 16 მ. 5 პ), დიქსონი (15 ქ), ე. პარკერი (14 ქ), კალდერონი (14 ქ. 5 პ), ჰამფრიზი (13 ქ. 8 მ. 3 ჩ), ტი. ჯეი. ფორდი (11 ქ. 8 პ. 2 ჩ).

**შარლოტი:** ერმანი (22 ქ. 8 მ. 3 პ), ოკაფორი (16 ქ. 7 მ), ჯ. უოლასი (13 ქ. 6 მ), მორისონი (10 ქ).

**სიეტლი-დენვერი 103:114**

**18:28, 33:26, 29:30, 23:30**

**სიეტლი:** უოტსონი (28 ქ. 3 ჩ), რ. ლიუისი (27 ქ. 9 მ. 2 დ), უილკოქსი (20 ქ. 4 ჩ).

**დენვერი:** ენტონი (32 . 9 მ), აივერსონი (26 ქ. 7 პ. 3 ჩ), კლეიზა (16 ქ. 2 დ), ს. ბლეიკი (13 ქ. 7 პ), კემბი (11 ქ. 12 მ. 3 პ. 2 ჩ).

**ლეიკერსი-საკრამენტო 126:103**

**27:27, 32:27, 28:27, 39:22**

**ლეიკერსი:** მ. ევანსი (21 ქ), ბრაიანტი (19 ქ. 13 პ. 3 ჩ), უოლტონი (18 ქ. 5 მ), ბინუმი (14 ქ), ს. პარკერი (13 ქ. 8 პ. 2 ჩ), კ. ბრაუნი (10 ქ. 7 მ).

**საკრამენტო:** არტესტი (26 ქ. 5 ჩ), კევინ მარტინი (23 ქ. 5 პ. 4 მ), სალმონსი (16 ქ. 5 პ), ბ. მილერი (12 ქ. 7 მ).

## აპრილის კალენდარი

**3 აპრილი**

შარლოტი-ვაშინგტონი
ინდიანა-დეტროიტი
ლეიკერსი-დენვერი
მემფისი-ფინიქსი
მაიამი-ტორონტო
მინესოტა-კლივლენდი
საკრამენტო-დალასი
სან ანტონიო-სიეტლი

**4 აპრილი**

დენვერი-საკრამენტო
დეტროიტი-ჩიკაგო
ჰიუსტონი-გ.სტეიტი
კლიპერსი-ლეიკერსი
მილუოკი-ბოსტონი
ნიუ ჯერსი-ატლანტა
ნ. ორლეანი-სიეტლი
ნ. იორკი-ფილადელფია
ორლანდო-ტორონტო
პორტლენდი-იუტა
ვაშინგტონი-შარლოტი

**5 აპრილი**

კლივლენდი-მაიამი
ს. ანტონიო-ფინიქსი

**6 აპრილი**

ატლანტა-მილუოკი
ბოსტონი-მაიამი
შარლოტი-ინდიანა
ჩიკაგო-ნიუ ჯერსი
დენვერი-დალასი
ჰიუსტონი-პორტლენდი
მემფისი-გ.სტეიტი
ნ. ორლეანი-ფინიქსი
ნიუ იორკი-მინესოტა
ფილადელ-ტორონტო
საკრამენტო-იუტა
სიეტლი-ლეიკერსი
ვაშინგტ-კლივლენდი

**7 აპრილი**

დალასი-პორტლენდი
ინდიანა-ბოსტონი
კლიპერსი-დენვერი
მილუოკი-ნიუ იორკი
მინესოტა-ნ.ორლეანი
ნ.ჯერსი-ვაშინგტონი
ორლანდო-მემფისი
ს. ანტონიო-გ. სტეიტი
იუტა-სიეტლი

**8 აპრილი**

დეტროიტი-კლივლენდი
ლეიკერსი-ფინიქსი
მაიამი-შარლოტი
ფილადელ-ატლანტა
საკრამენტო-ჰიუსტონი
ტორონტო-ჩიკაგო

**9 აპრილი**

დალასი-კლიპერსი
დენვერი-ლეიკერსი
გოლ. სტეიტი-იუტა
მილუოკი-ორლანდო
მინესოტა-ტორონტო
ნ .იორკი-დეტროიტი
ს ანტონიო-პორტლენდი
სიეტლი-ჰიუსტონი

**10 აპრილი**

ატლანტა-ბოსტონი
შარლოტი-მაიამი
ჩიკაგო-ნიუ იორკი
მემფისი-საკრამენტო
ნ. ორლეანი-კლიპერსი
ფილადელფია-ინდიანა
ვაშინგტონი-ნ. ჯერსი

**11 აპრილი**

ბოსტონი-ფილადელფია
დეტროიტი-ორლანდო
მაიამი-ვაშინგტონი
მილუოკი-ინდიანა
მინესოტა-დალასი
ფინიქსი-სიეტლი
პორტლენდი-ჰიუსტონი
ს. ანტონიო-საკრამენტო
იუტა-დენვერი

**12 აპრილი**

კლივლენდი-ნ. ჯერსი
ლეიკერსი-კლიპერსი

**13 აპრილი**

ატლანტა-ვაშინგტონი
ბოსტონი-მილუოკი
ჩიკაგო-შარლოტი
დალასი-იუტა
კლიპერსი-პორტლენდი
მაიამი-ინდიანა
მინესოტა-ს . ანტონიო
ნიუ ჯერსი-ნ. იორკი
ნ. ორლეანი-დენვერი
ფინიქსი-ლეიკერსი
საკრამენტო-გ. სტეიტი
ტორონტო-დეტროიტი

**14 აპრილი**

კლივლენდი-ატლანტა
ჰიუსტონი-ნ. ორლეანი
მემფისი-დენვერი
მილუოკი-შარლოტი
ფილადელ-ორლანდო
პორტლენდი-სიეტლი
იუტა-ფინიქსი

**15 აპრილი**

დალასი-სან ანტონიო
დეტროიტ-ფილადელფ
გ. სტეიტი-მინესოტა
ინდიანა-ნიუ ჯერსი
კლიპერსი-საკრამენტო
ლეიკერსი-სიეტლი
ორლანდო-ბოსტონი
ტორონტო-ნიუ იორკი
ვაშინგტონი-ჩიკაგო

**16 აპრილი**

დენვერი-მინესოტა
ჰიუსტონი-ფინიქსი
მემფისი-სან ანტონიო
მაიამი-ბოსტონი
მილუოკი-ატლანტა
ნიუ იორკი-ნ. ჯერსი
საკრამენტო-ნ. ორლეანი
იუტა-პორტლენდი

**17 აპრილი**

ატლანტა-ინდიანა
დეტროიტი-ტორონტო
გ. სტეიტი-დალასი
ფილადელფ-კლივლენდ
ფინიქსი-კლიპერსი
ვაშინგტონი-ორლანდო

**18 აპრილი**

ბოსტონი-დეტროიტი
კლივლენდი-მილუოკი
შარლოტი-ნიუ იორკი
ინდიანა-ვაშინგტონი
კლიპერსი-ნ. ორლეანი
მინესოტა-მემფისი
ნიუ ჯერსი-ჩიკაგო
ორლანდო-მაიამი
პორტლენდი-გ. სტეიტი
საკრამენტო-ლეიკერსი
ს. ანტონიო-დენვერი
სიეტლი-დალასი
ტორონტ-ფილადელფ
იუტა-ჰიუსტონი

მსოფლიო ჩემპიონატი. ტრეკი

# ბრიტანელთა უხვი მონაგარი




ვიქტორია პენდლტონი

პალმა დე მალიორკაში დასრულდა ტრეკზე ველომრბოლთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელზეც ყველაზე მეტი, შვიდი ოქროს მედალი ბრიტანელებმა მოიპოვეს. ტურნირის ბოლო დღეს ოქროს მედლები ალბიონელთა ყულაბაში შეიტანეს **ვიქტორია პენდლტონმა** და **კრის ჰოიმ**.

პენდლტონმა კეირინი მოიგო და კუნძულ მალიორკადან სამი ოქროს მედალი წამოიღო. ჰოის კი ბადალი არ ჰყავდა ერთკილომეტრიან დროზე რბოლაში. მისთვის ეს მეორე ოქროა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატზე მოიპოვა.

*"ეს ჩვენი გუნდისთვის ყველა დროის საუკეთესო ჩემპიონატი იყო. ჩვენ ბევრ სახეობაში ყველანაირად ვჯობდით ჩვენს მეტოქეებს. და ეს უპირატესობა გამოიხატებოდა არამხოლოდ მედლების რაოდენობით, არამედ ჩვენი მომზადების ხარისხითაც"*, - "როიტერთან" საუბარში განაცხადა ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ახლა კი ბრიტანეთის ნაკრების მწვრთნელმა **კრის ბორდმენმა**.

მისივე თქმით, მალიორკაზე ასეთი კარგი გამოსვლის შემდეგ, ერთადერთი პრობლემა წარმოიქმნა - მერმის, მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მანჩესტერში ჩატარდება, ჩვენგან ყველა უფრო მეტს მოითხოვსო. საერთო ჯამში, ბრიტანელებმა შვიდი ოქრო, ორი ვერცხლი და ამდენივე ბრინჯაო მოიპოვეს. სულ კი ჩემპიონატზე მედლების 17 კომპლექტი გათამაშდა.

26 წლის პენდლტონმა პირველი ორი ოქრო პირად და გუნდურ სპრინტში მოიპოვა, კეირინში კი ძალიან გაუჭირდა, რადგან რბოლა სხვადასხვა მიზეზით ორჯერ შეჩერდა. მაგრამ მან ნერვებიც მოთოკა და ბოლო წრეზე ისეთი ტემპი აკრიფა, ყველა კონკურენტი იოლად ჩამოიტოვა და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

ჰოიმ კი კილომეტრიან დროზე რბოლაში საერთაშორისო დონეზე უკანასკნელად იასპარეზა. ეს დისციპლინა პეკინის ოლიმპიადის პროგრამაში არაა შეტანილი. 31 წლის შოტლანდიელი კი მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე ამ დისტანციაზე აღარ იასპარეზებს. არადა, მალიორკაში მას ზღვის დონეზე მდებარე არენებისთვის მსოფლიო რეკორდამდე, რომელიც მასვე ეკუთვნის, ცოტა დააკლდა. ცნობისთვის, ამ დისტანციაზე აბსოლუტური რეკორდი (58.875 წამი) ფრანგ **არნო ტურნას** ეკუთვნის, რომელმაც ის ლა პასში (ბოლივია) დაამყარა.

ძალიან მინდოდა, რომ ამ დისტანციაზე ჩემი ბოლო გამოსვლა გამარჯვებით დამეგვირგვინებინა და ბედნიერი ვარ, რომ ეს შევძელიო, - განაცხადა ნაფინიშევს ჰოიმ, ვისაც ტრეკზე მსოფლიოს ჩემპიონის შვიდი ტიტული აქვს მოპოვებული, რომელთაგან ოთხი სწორედ კილომეტრიან დროზე რბოლაზე მოდის.

სპრინტში მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ამ სახეობის ჰოლანდიელი სპეცი **თეო ბოსი**, ვინც ოქროსთვის დუელში არანაირი შანსი არ დაუტოვა ფრანგ **გრეგორი ბუჟეს**. ქალების ქულებზე რბოლაში კი ბადალი არ ჰყავდა ავსტრალიელ **კეტრინ ბეიტსს**, რომელმაც ოზთა ბანაკს მეორე ოქრო შესძინა.

გუნდურ მედისონში კი საუკეთესო იყო შვეიცარიელების, **ფრანკო მარვულისა** და **ბრუნო რიზის** დუეტი, რომლებიც პირველად ჩემპიონები 2003 წელს გახდნენ. მათ ოდენ ქულით აჯობეს ჰოლანდიურ წყვილს. მასპინძელთათვის სამწუხაროდ, მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა ესპანური დუეტი, რომელშიც ამჯერად **ხოან ლანერასს** პარტნიორობას **კარლოს ტორენტი** უწევდა. ლანერასმა ქულებზე რბოლაში ოქრო მოიპოვა, მაგრამ ახალ პარტნიორთან ერთად, კვარცხლბეკზე ასვლაც კი ვერ შეძლო. ცნობისთვის, მისი წინა პარტნიორი **ისააკ გალვესი** იყო, რომელიც შარშან, გენტში ასპარეზობისას დაიღუპა მას შემდეგ, რაც სხვა ველომრბოლს დაეჯახა.

მალიორკა (ესპანეთი), პალმა არენა

### კაცები

**სკრეტჩი**

1. ვონ კამ პო (ჰონ კონგი, ჩინეთი); 2. ვიმ სტრიოტინგა (ჰოლანდია); 3. რაფალ რატაიჩუკი (პოლონეთი)...

**კეირინი**

1. კრის ჰოი (ბრიტანეთი); 2. თეო ბოსი (ჰოლანდია); 3. როს ედგარი (ბრიტანეთი)...

**გუნდური გამოდევნებით**

**ოქრო**

1. ბრიტანეთი 3:57.468 (57.447 კმ/სთ)
2. უკრაინა 4:03.280

**ბრინჯაო**

3. დანია 4:04.093 (58.993 კმ/სთ)
4. ახ.ზელანდია 4:06.591

**ქულებზე რბოლა**

1. ხოან ლანერას როსელო (ესპანეთი) 76 ქულა; 2. ილიო კაისე (ბელგია) 55; 3. მიხაილ იგნატიევი (რუსეთი) 52...

**მედისონი**

1. ფრანკო მარვული/ბრუნო რიზი (შვეიცარია) 14 ქულა; 2. პეტერ შეპი/დანი სტამი (ჰოლანდია) 13; 3. ალოიზ კანკოვსკი/პეტრ ლაზარი (ჩეხეთი) 11...

**დროზე რბოლა (1000 მეტრი)**

1. კრის ჰოი (ბრიტანეთი) 1.00.999; 2. ფრანსუა პერვისი (საფრანგეთი) 1.01.838; 3. ჯეიმი სტაფი (ბრიტანეთი) 1.02.074...

**სპრინტი**

**ოქრო**

1. თეო ბოსი (ჰოლანდია) 10.400, 10.606
2. გრეგორი ბუჟე (საფრანგეთი)

**ბრინჯაო**

3. მიკაელ ბურჟანი (საფრანგეთი) 10.765, 10.493
4. კრეიგ მაკლინი (ბრიტანეთი)

### ქალები

**გამოდევნებით ინდივიდუალური**

**ოქრო**

1. სარა ჰამერი (აშშ) 3:30.213 (51.376 კმ/სთ)
2. რებეკა რომერო (ბრიტანეთი) 0:03.196

**ბრინჯაო**

3. კეიტი მაკტიერი (ავსტრალია) 3:6.306 (49.929 კმ/სთ)
4. ვენდი ჰუვენაგელი (ბრიტანეთი) 0:07.193

**სპრინტი**

**ოქრო**

1. ვიქტორია პენდლტონი (ბრიტანეთი) 0.11.879
2. შუან გუო (ჩინეთი)

**ბრინჯაო**

3. ანა მირზი (ავსტრალია) 0.12.000
4. ლისანდრა გერა-როდრიგესი (კუბა)

**დროზე რბოლა (500 მეტრი)**

1. ანა მირზი (ავსტრალია) 33.588 (53.590 კმ/სთ); 2. ლისანდრა გერა-როდრიგესი (კუბა) 34.015; 3. ნატალია ცილინსკაია (ბელარუსი) 34.430...

**სკრეტჩი**

1. იუმარი გონსალეს ვალდივიესო (კუბა); 2. მარია ლუისა კალე უილიამსი (კოლუმბია); 3. ანდრი ვისერი (ჰოლანდია)...

**რბოლა ქულებზე**

1. კეტრინ ბეიტსი (ავსტრალია) 35 ქულა; 2. მიე ბეკერ ლაკოტა (დანია) 29; 3. კეტრინ ჩიტლი (ახ.ზელანდია) 27...

**კეირინი**

1. ვიქტორია პენდლტონი (ბრიტანეთი); 2. შუან გუო (ჩინეთი); 3. ანა მირზი (ავსტრალია)...

კალათბურთი

## შარლოტს მიტჩელი გაწვრთნის?

როგორც იცით, რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ აუთსაიდერ "შარლოტ ბობკეტსს" გაისად ახალი მწვრთნელი ეყოლება. გაზეთ "ნიუ იორკ პოსტის" ინფორმაციით, ამ გუნდს შესაძლოა სათავეში ჩაუდგეს "ტორონტო რეპტორზის" ამჟამინდელი დამრიგებელი - **სემ მიტჩელი**.

ამ სპეციალისტს კანადურ კლუბთან კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება. აღსანიშნავია, რომ მიტჩელმა წელს, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პირველად მოახერხა "ტორონტოს" ფლეი ოფში გაყვანა.

## ბატლერმა ხელი მოიტეხა

სააგენტო "როიტერის" ცნობით, "მილუოკი ბაქსის" წინააღმდეგ მატჩში ხელი მოიტეხა "ვაშინგტონ უიზარდსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **კერონ ბატლერმა**. გამორიცხული არ არის, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონის ლიდერმა, ფლეი ოფში 27 წლის კალათბურთელის გარეშე ითამაშოს.

აღსანიშნავია, რომ ამ სეზონში ბატლერი საშუალოდ მატჩში 19.1 ქულასა და 7.5 მოხსნას აგროვებდა. წელს, მან კარიერაში პირველად ითამაშა "ყველა ვარსკვლავის მატჩში".

## კასელმა სეზონი დაასრულა?

კვლავ ტრავმამ შეაწუხა "ლოს ანჯელეს კლიპერსის" ვეტერანი სემ კასელი. შაბათს, პორტლენდთან" მატჩში, კასელმა ზურგის ძველი ტრავმა გაიმიზეზა და მეორე მეოთხედში მოედანი დატოვა.

როგორც გაზეთი "ლოს ანჯელეს თაიმსი" წერს, დღეს კასელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის და გაირკვევა, რამდენი ხანი ვერ შეძლებს ეს მცველი თამაშს. "კლიპერსის" სამწვრთნელო შტაბი არ გამორიცხავს, რომ კასელისთვის შესაძლოა სეზონი უკვე დასრულებული იყოს.

ჰოკეი

## ზეტერბერგი ფლეი ოფამდე არ დაბრუნდება

"დეტროიტ რედ უინგზის" ერთ-ერთი ბომბარდირი, შვედი ფორვარდი **ჰენრიკ ზეტერბერგი** ფლეი ოფის დაწყებამდე ვერ გავა სათამაშოდ. თავდაპირველად, ზეტერბერგს იმედი ჰქონდა, რომ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურებში შეძლებდა კლუბისთვის დახმარების გაწევას, მაგრამ შვედმა სააგენტო "როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რეგულარულის დარჩენილ მატჩებში მისი თამაში გამორიცხულია. შეგახსენებთ, რომ ზეტერბერგი დაახლოებით თვენახევარია ხერხემლის ტრავმის გამო, არ თამაშობს.

*"ყოველდღე 35-40 წუთს ყინულზე ვატარებ, მაგრამ არანაირი გარანტია არ მაქვს იმისა, რომ მატჩის დროს ზურგი ისევ არ ამტკივდება. ამიტომაც, ფლეი ოფამდე მოედანზე გასვლას არ გავრისკავ"*, - განაცხადა ჰენრიკ ზეტერბერგმა.

რალი

### მსოფლიო ჩემპიონატი

პორტუგალიის რალი (V ეტაპი)

1. **ლოები** ("სიტროენი", საფრანგეთი) - 3:53.33,1; 2. **პ.სოლბერგი** ("სუბარუ", ნორვეგია) - +3.13,9; 3. **სორდო** ("სიტროენი", ესპანეთი) - +5.05,3; 4. **გრონჰოლმი** ("ფორდი", ფინეთი) - +5.37,1; 5. **ჰირვონენი** ("ფორდი", ფინეთი) - +7.08,1; 6. **კარლსონი** ("სიტროენი", შვეიცარია) - +8.13,2; 7. **გალი** ("სიტროენი", იტალია) - +9.39,6; 8. **ლატვალა** ("ფორდი", ფინეთი) - +10.44,9.

**საერთო ჩათვლა:** 1. **გრონჰოლმი** - 40 ქულა; 2. **ლოები** - 38; 3. **ჰირვონენი** - 32; 4. **სორდო** - 17; 5. **პ.სოლბერგი** - 13; 6. **ჰ.სოლბერგი** ("ფორდი", ნორვეგია) - 11; 7. **ატკინსონი** ("სუბარუ", ავსტრალია) - 10; 8. **ლატვალა** - 9.

**კონსტრუქტორთა თასი:** 1. **ფორდი** - 72 ქულა; 2. **სიტროენი** - 57; 3. **სუბარუ** - 24; 4. **სტობარტი** - 23; 5. **კრონოსი** - 19.

## TV სპორტი

### 3 აპრილი. სამშაბათი

**რუსთავი 2**

22:00 საფეხბურთო მიმოხილვა.
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. მილანი-ბაიერნი (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ეინდჰოვენი-ლივერპული.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
16:55 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი.
18:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:05 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:35 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ეინდჰოვენი-ლივერპული (LIVE).
00:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. მილანი-ბაიერნი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:00 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. კორინთიანსი-სერტანზინიე.
09:00 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბენფიკა-პორტუ.
11:45 ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სან პაულუ-პალმეირასი.
13:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
14:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:20 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-შალკე.
17:05 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. სპორტინგი-ბეირა მარი.
19:00 სპორტინფორმი.
19:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ცსკა-მაკაბი (LIVE).
22:15 სპორტინფორმი.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ეინდჰოვენი-ლივერპული (LIVE).
00:45 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ტაუგრესი-ოლიმპიაკოსი.
02:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:30 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ტამპა - კაროლინა (LIVE).
06:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

09:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
10:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
11:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. ინგლისი-გერმანია. ედმონტონი. კანადა.
12:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩი. ჩელსი-პორტუ.
14:00 მულტისპორტი.
14:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩი. ბაიერნი-რეალი.
15:30 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
15:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. II მატჩი. ლივერპული-ბარსელონა.
16:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
17:30 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-გერმანია. ედმონტონი. კანადა (LIVE).
20:30 პროფესიული კრივი. ზემძიმე წონა. ს. იბრაჰიმოვი (რუს)-ხ. მორა (მექ). ნიუ იორკი. აშშ.
22:00 ქიორლინგი. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-შვეიცარია. ედმონტონი. კანადა (LIVE).
01:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალია.
02:00 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

08:30 ახალი ამბები.
11:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-რეალი.
12:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
13:00 ახალი ამბები.
15:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მადრიდი. ესპანეთი.
16:00 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესტუდიანტესი-რეალი.
17:30 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
18:00 ბილიარდი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 კალათბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:00 მულტისპორტი.
20:30 ახალი ამბები.
21:00 სუპერბაიკი. მსოფლიო ჩემპიონატი. დონინგტონი. ბრიტანეთი.
23:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ლოს ანჯელესი.
00:00 ახალი ამბები.
00:15 რესტლინგი. იაპონური ლიგა.
01:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ინგლისი**

**ასტონ ვილა-ევერტონი 1:1**

ვილა: სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, კაჰილი, ბუმა, აგბონლაორი, პეტროვი, მაკენი (46. ბერგერი), ბერი, კარიუ, იანგი (41. მელონი).

ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ოსმანი, კარსლი, ნევილი, არტეტა, ჯონსონი, ვოგანი.

გოლები: 0:1 ლესკოტი (15), 1:1 აგბონლაორი (83).

გაფრთხილება: 3-3; დარტყმა: 17(10)-18(8); ჯარიმა: 18-16; კუთხური: 5-6.

მაყურებელი: 36 407

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ იუნ | 31 | 25 | 3 | 3 | 74-21 | 78 |
| 2. ჩელსი | 31 | 22 | 6 | 3 | 55-19 | 72 |
| 3. ლივერპული | 31 | 17 | 6 | 8 | 48-21 | 57 |
| 4. არსენალი | 30 | 16 | 7 | 7 | 52-28 | 55 |
| 5. ბოლტონი | 31 | 15 | 5 | 11 | 36-38 | 50 |
| 6. ტოტენჰემი | 31 | 14 | 6 | 11 | 44-44 | 48 |
| 7. ევერტონი | 31 | 12 | 11 | 8 | 39-27 | 47 |
| 8. რედინგი | 31 | 13 | 5 | 13 | 43-39 | 44 |
| 9. პორტსმუთი | 31 | 11 | 10 | 10 | 37-32 | 43 |
| 10. ბლექბერნი | 31 | 12 | 4 | 15 | 37-45 | 40 |
| 11. ნიუკასლი | 31 | 10 | 7 | 14 | 34-40 | 37 |
| 12. მიდლსბრო | 31 | 9 | 9 | 13 | 32-38 | 36 |
| 13. მანჩესტერ ს | 30 | 10 | 6 | 14 | 23-34 | 36 |
| 14. ასტონ ვილა | 31 | 7 | 14 | 10 | 30-36 | 35 |
| 15. ფულჰემი | 31 | 7 | 14 | 10 | 32-45 | 35 |
| 16. ვიგანი | 31 | 9 | 6 | 16 | 30-45 | 33 |
| 17. შეფილდი | 31 | 8 | 7 | 16 | 25-45 | 31 |
| 18. ჩარლტონი | 31 | 8 | 6 | 17 | 29-49 | 30 |
| 19. ვესტ ჰემი | 31 | 7 | 5 | 19 | 25-51 | 26 |
| 20. უოტფორდი | 31 | 3 | 11 | 17 | 19-47 | 20 |

**იტალია**

**სერია C1/B**

ტერამო-გალიპოლი 0:2

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

რეიმსი-პავრი 3:2

**პორტუგალია**

სპორტინგი-ბეირა მარი 2:0

**თურქეთი**

ერჩიესი-ტრაბზონი 0:1
გენჩლერი-ბეშიქთაში 0:2

**ჩეხეთი**

სპარტა-ბოლესლავი 4:1

**უკრაინა**

მეტალურგი (დ)-კარპატი 3:3

**უნგრეთი**

ზალაეგერსეგი-პონვედი 3:2

### ჰოკეი

**რუსეთი**

მეტალურგი (მ)-ავანგარდი 5:2
ცსკა-აკ ბარსი 1:2

**შვედეთი**

ავ 71-მოდო 2:5

### ჩოგბურთი

**WTA. ამელია აილენდი**

| | |
|---|---|
| ბარდინა-ლაგოსტერა | 2:6, 2:6 |
| ბონდარენკო-დულკო | 6:2, 6:3 |
| ვესნინა-კასტანიო | 7:5, 3:6, 1:6 |
| პენეტა-ტუ | 5:7, 1:6 |
| დუშევინა-პრატი | 6:1, 7:5 |
| კრაიჩეკი-სუნი | 6:7, 6:4, 6:4 |
| მედინა გარიგესი-ციბულკოვა | 6:7, 2:6 |
| სრებოტნიკი-კრეიბასი | 7:6, 6:1 |
| ბონდარენკო-კანეპი | 6:1, 1:6, 1:6 |
| ვაკულენკო-შრუფი | 2:6, 6:3, 6:3 |
| მოლიკი-უენგი | 4:6, 2:6 |
| სანტანჯელო-დომინგეს ლინო | 5:7, 6:3, 6:4 |
| ბამერი-ტანასუგარნი | 6:3, 6:1 |
| ბარტოლი-დანილიდუ | 0:6, 4:6 |
| შონესი-შპრემი | 4:6, 6:7 |
| შვედოვა-ბრემონი | 6:2, 3:1 (უარი) |

# შემოგვიერთდი!

## ახალგაზრდა თამადა სკეიტპარკში

რამდენიმე წლის წინათ ვინმეს რომ ჩემთვის ეთქვა, კალათბურთს თავს დაანებებ და ჟურნალისტი გახდებიო, ცხელ გულზე თავში რაიმე ბასრ და წვეტიან საგანს ჩავარტყამდი. თუ არ ჩავარტყამდი, კარგად მაინც დავცინებდი - მე ხომ კალათბურთელის კარიერასა და ევროლიგაზე ვოცნებობდი – მინდოდა, ჩემს სათაყვანებელ "ბარსელონაში" მეთამაშა და იქაური ინჩადისთვის დიადი დეიან ბოდიროგა დამევიწყებინა! მაგრამ, როგორც ჩანს, ბატონ დეიანს შეუძლია მშვიდად იყოს: მე კალათბურთს ნაადრევად შევეშვი და ბოდიროგა ბარსაში ისევ ლეგენდად დარჩება. ყოველ შემთხვევაში, მე მაინც ველარაფერს ვუზამ.

შეუძლებელი და გამორიცხულია, რომ ყოფილმა სპორტსმენმა ხელი ერთბაშად აიღოს საყვარელ საქმეზე. თუ ვერ ითამაშებს, მატჩების სანახავად მაინც ივლის. საბედნიეროდ, თამაში შემიძლია, ავდექი და სტრიტბოლს მივეძალე. ეს თითქმის ჩვეულებრივი კალათბურთია, იმ განსხვავებით, რომ აქ ერთი ფარი, სამ-სამი მოთამაშე, ბევრი "სინიაკი" (იგივე "ფინგალი"), ასფალტი და გადატყავებული მუხლებია. მოვიგე კიდევაც რალაც ტურნირები, მაგრამ სიცივის დადგომასთან ერთად ქუჩაში კალათბურთის თამაში გაძნელდა, რუსთაველიც აღარ იკეტებოდა და ასე მორჩა ჩემი სტრიტბოლი.

ალბათ, ყაზბეგური წარმოშობის ბრალია, გული რომ ყოველთვის ადრენალინს მთხოვს. ფიზიკური დატვირთვა რომ მომაკლდა, მოვიწყინე. ფაქტიურად, ცხოვრების ხალისი დავკარგე. საბედნიეროდ, მალე გამიმართლა: ვეძებე და ადრენალინის შადრევნების მისალებად საუკეთესო გზა ვიპოვე .

ჩემი აღმოჩენის სახელია XSF. მიხვდით ალბათ, რომ აბრევიატურაა - ექს–ესეფ. არ იფიქროთ, რომ ეს ქსენოფობთა საქველმოქმედო ფონდია ან რაიმე პოლიტიკური გაერთიანების შემოკლებული სახელწოდება. უბრალოდ იცოდეთ, რომ სადაც ამ აბრევიატურას დაინახავთ, ე.ი. იქ სასწაული ექსტრიმის სუნი ტრიალებს და თვალებსაც თუ გაახელ, იქვე სადმე გადარეულ სკეიტერს, ან ბიემექსსა და მთის ველოსიპედზე შემომსხდარ თავზეხელაღებულ ახალგაზრდებს დაინახავ. XSF ექსტრემალური სპორტის ფედერაციაა, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ დარეგისტრირდა და ოფიციალური სტატუსი მიენიჭა. იქს-ეს-ეფი ჯერჯერობით, ოცდაათიოდე ადამიანს აერთიანებს, მაგრამ სავარაუდოდ, სულ მალე ამ რიცხვს რამდენიმე ნული მიეწერება – საქართველოში ექსტრემალურ სპორტზე მოთხოვნილება სასწაული ტემპით იზრდება.

ექსტრემალებმა თავიანთ წრეში სიხარულით მიმიღეს და მეც მათი ახლოს გაცნობა დავიწყე. ახლა XSF-ის "ჭირ-ვარამი" მეც მეხებოდა, რადგან უკვე ექსტრემალური კასტის წევრი გახლდით. "კრუზი", ლუკა, "ყვითელი", "წითელი", "ორკი", "შკები" (ქეთოშკა და ნინოშკა), "სენსეი", "კანდელა", "კოიოტი", "ქეთის ვკარგავთ"... ეს ჩემი ახალი მეგობრების არასრული სიაა. ისინი ყველასგან გამოირჩევიან: მხიარულები, ჯანმრთელები და ძალიან ენერგიულები არიან. მათ სწორ გზაზე ფეხით წყნარად სიარულს ურჩევნიათ, რომ ტყის ოღრო-ჩოღრო გზებზე ველოსიპედებით იქროლონ, ან ვაკის სტადიონთან შეიკრიბონ და სკეიტზე ახალი ილეთები დახვეწონ. ტრიუკების გაკეთებისას ხშირად ეცემიან, მაგრამ არასოდეს წუწუნებენ. ბედნიერები იმით, რომ კისერი არ მოიტეხეს, დგებიან და ვარჯიშს ორმაგი შემართებით აგრძელებენ. მათ შორის არაა ყალბი და ნაძალადევი ურთიერთობა და ერთმანეთს ყოველთვის მეტსახელით მიმართავენ.

ექსტრემალები არ ოცნებობენ ნაადრევად გათხოვებაზე, მაგარ მანქანებსა და სხვადასხვა სტანდარტულ რამეებზე. სრულიად XSF-ს და მათ შორის მეც ძალიან გვინდა, რომ თბილისში ექსტრემალური სპორტისთვის განკუთვნილი კომპლექსი გაიხსნას, სადაც იქნება კარგი სკეიტპარკი ბევრი ტრამპლინით, მაღაზიები სადაც შეძლება შეიძინო კარგი ველოსიპედი, სათადარიგო ნაწილები, სკეიტი, სნოუბორდი, ექსტრემალური სპორტისთვის საჭირო აღჭურვილობა და ტანსაცმელი, რომელიც ზუსტად ამ სტილის მიმდევარი ადამიანებისთვისაა შეკერილი. კიდევ გვინდა, რომ ამ კომპლექსში სწრაფი კვების წერტილები გაიხსნას და ისე, როგორც ყველა ნორმალურ ქვეყანაში, ჩვენთანაც ჩამოვიდნენ სხვადასხვა ჯგუფები და წესისამებრ, სკეიტპარკში კონცერტი გამართონ. ეს ისეთი საქმეა, რომ ექსტრემალებიც ვიხეირებთ და ბევრი ბიზნესმენიც, უბრალოდ საჭიროა, რომ გადაკრული ნათქვამი ყურად ილონ და ექსტრემალურ სპორტში ინვესტიცია ჩადონ. როცა ასეთი კომპლექსი იქნება, ანტაგონისტურად განწყობილი მოქალაქეებისა და მოძველბიჭო ელემენტების შემოტევასაც გადავურჩებით.





თბილისის ქუჩებში XSF–ის წევრები ბევრ წინააღმდეგობას აწყდებიან: დედაქალაქის მოსახლეობის უმეტესობა ვერ იგებს, რა უნდა გოგოს სკეიტზე ან გორგოლაჭებზე. კიდევ უფრო ვერ იგებენ, 23 წლის კაცი რატომ ზის ველოსიპედზე, როცა წესით, სულ მალე მან უკვე ცოლი უნდა მოიყვანოს. თბილისელებს ყველაზე მეტად ბიემექსის ტიპის ველოსიპედები აბნევს. ამ ბაიკით შეგიძლია იხტუნავო კიბიდან კიბეზე, ტრამპლინიდან ასფალტზე და თუ მოახერხებ, უცნობი ჯარისკაცის საფლავთან რომ შემაღლებული ბაქნებია, იქიდანაც შეგიძლია გადმოხტე. აი ისე, როგორც ამას ჩვენი ლუკა აკეთებს. მოსახერხებელი რომ იყოს, ბიემექსს ფორმებიც შესაბამისი აქვს: პატარაა და დიდი ბორბლები აქვს. ხალხს საგონებელში სწორედ მისი ზომა აგდებს. ამას წინათ საინტერესო დიალოგს შევესწარი: ჩვენი მეგობარი "ყვითელი", რომელიც ბიემექსით სეირნობდა, ერთმა ბიძაკაცმა გააჩერა:

- შვილო, ამხელა ბიჭი ხარ, ამ პატარა ბავშვის ველოსიპედზე რა გინდა?

- იცით, ბავშვის ველოსიპედი არაა, ეს ბიემექსია, ტრიუკებისთვისაა განკუთვნილი და პატარა ამიტომაა.

- ვიცი შვილო, მე ეგ არ მესწავლება, მაგრამ ეს არის მეექვსე-მეშვიდე კლასელის ველოსიპედი, შენ რამდენის ხარ?

- ოცდასამის.

- მერე ოცდასამი წლის კაცი სუფრაზე უნდა იჯდე და თამადობდე, ან ეგ საყურეები რად გინდა...

კიდევ ერთი პრობლემა: ექსტრემალების ცოტა სხვანაირი გარეგნობა და ჩაცმის სტილი. თბილისში ბევრს არ შეუძლია გაიგოს, ადამიანს რატომ აქვს თმაზე მწვანე მელირება და არა რომელიმე სტანდარტული ფერის, ან რატომ აქვს პირსინგები ცხვირზე, წარბსა და ტუჩზე, ან ბიჭს რად უნდა ეკეთოს საყურე და რატომ უნდა ეცვას ერთმანეთზე წითელი, ყვითელი და ლურჯი მაისური. იქს-ეს-ეფის წევრები ბევრჯერ გამოულანძღიათ ქუჩასა და ტრანსპორტში ხსენებული მიზეზების გამო. როცა ასეთ შემთხვევებს ვაწყდებით, ვფიქრობ, რომ ჩვენი ბევრი თანამოქალაქე ვერ გარკვეულა დემოკრატიის პრინციპებში, არ იცის, რომ ადამიანი თავისუფალია და შეუძლია ის აკეთოს, რაც უნდა, თუ სხვას ხელს არ შეუშლის. ჩვენ სულაც არ ვაშავებთ რაიმეს, უბრალოდ, გვაცვია ის რაც მოგვწონს, დავდივართ და ადრენალინს დავეძებთ. ბევრს უთქვამს ჩვენზე, "უსაქმურებიო". არც ესაა სწორი, XSF-ში ყველას თავისი საქმე და პროფესია აქვს: გვყავს წარმატებული არქიტექტორები, დიზაინერები, სოციოლოგები, ჟურნალისტები, საინფორმაციო ტექნოლოგიების დიდოსტატები... ჩვენ ცხოვრების ჯანსაღ, სპორტულ წესს მივდევთ და დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ ბევრი ადრენალინი გვჭირდება.

მორალი: რაც უფრო მეტი ახალგაზრდა დაიწყებს სკეიტსა და ველოსიპედზე ვარჯიშს, მით უფრო ნაკლები ნარკომანი და არასრულწლოვანი დამნაშავე იქნება საქართველოში. კეთილო ადამიანებო, თუ სადმე შენიშნავთ, რომ "უცნაური" გარეგნობის ახალგაზრდები სკეიტებით, სნოუბორდით ან ბიემექსებით დასაშვებზე სახიფათოდ სრიალებენ და ხტუნაობენ, ნუ გაგვკიცხავთ, უბრალოდ, შეიძინეთ სკეიტი ან ველოსიპედი და იქს-ესეფს შეუერთდით. დროა, რომ თქვენს ცნობიერებაში სამუდამოდ ჩაბეჭდილ აბრევიატურებს: FIFA, D&G, GFF, NBA, USA, CCCP კიდევ ერთი მიამატოთ: XSF - ექსტრემალური სპორტის ფედერაცია.

**აქსელ ნებულუსი**

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა